პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 მაისი **ორშაბათი** 2010

№ 113 (13 101) ფასი 60 თეთრი



# ექვსი

## ქართველის ზეობა

ლეგიონის უქმეები » გვერდი 4

# გაკოტრილი ენერჯი

სუპერ ლიგა



## პლეი ოფი დაბალანსდა

» გვერდი 12



# ბარსა 99

## ჩემპიონი რეკორდით

მესი რონალდოს გაუტოლდა

» გვერდი 6

**სკანდალი:** თქვენ მსაჯები მოგვიძრთამეთ, ჩვენ მუნდიალზე ხელს ავიღებთო... რუსებისა და ესპანელების სკანდალური გარიგება? » გვერდი 8

# ბაიერნი და ინტერი ჰეთ-ტრიკისკენ დუბლებით მიდიან

უქმეების ნადავლი: სკუდეტო და ბუნდესთასი





» გვერდი 7,9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩემპიონო ხასიათი

15.05. რუსთავი. ფოლადი
2 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 3 |
| ზესტაფონი | 1 |

1:0 ჭედია (16. ლონლაძის პასით), 2:0 კვარაცხელია (30. მაჭავარიანის პასით), 2:1 გორგიაშვილი (48. გელაშვილის პასით), 3:1 კვარაცხელია (55)

ოლიმპი: ჭანტურია - ლონლაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ხუბუა - დობროვოლსკი, პარუნაშვილი (54. გველესიანი) - ჭედია (68. პ. დათუნაიშვილი), კვარაცხელია, იმედაშვილი - გ. მ. ხიდეშელი (72. გიგაური).

*სათადარიგოები: მერლანი, ელოხი, იაშვილი, ამაშუკელი.*

ზესტაფონი: მამალაძე - გ. ონიანი, გამეზარდაშვილი (46. ჭანკოტაძე), გ. ხიდეშელი - დაუშვილი - ბენაშვილი (76. კობახიძე), ძარია, გორგიაშვილი, ელიავა - გელაშვილი, ს. ლომია (67. ჩიხლაძე).

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ცხადაია, მაკარიანი, გ. მიქაბერიძე*

გაფრთხილება: მაჭავარიანი (10), გ. ონიანი (12), კვარაცხელია (35), გელაშვილი (35), ბენაშვილი (65), ჭედია (65), კობახიძე (89)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

...მატჩის დასრულების შემდეგ „ფოლადის" სტადიონის ტრიბუნებზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა ტაშით გააცილეს თავიანთი საყვარელი გუნდი! ეგ კი არა, თითქმის ისეთივე განწყობა სუფევდა, როგორიც ხუთ მაისს იყო, - „დინამოსთან" საჩემპიონო მატჩის შემდეგაც და ახლაც, შაბათის შეხვედრის დამთავრებისთანავე, ერთგული ქომაგები დიდხანს ზეიმობდნენ „ოლიმპის" მორიგ გამარჯვებას. ამ საზეიმო განწყობას კი მართლაც უხდებოდა „ოლიმპის" ახალი ჰიმნი, მატჩის დაწყებამდე, შესვენებისას და შეხვედრის დამთავრების დროს არაერთხელ რომ გაჟღერდა...

...ახლა კი, უშუალოდ მატჩის შესახებ, ჩემპიონის აბსოლუტურად კანონზომიერი გამარჯვებით რომ დამთავრდა. თუმცა, მანამდე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემპიონის რანგში მოასპარეზე მასპინძლები აშკარად გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე. თანაც, **სანდრო იაშვილის, აკინოსა** და **ფრაგას** არყოფნის გამო, ბევრ ფეხბურთელს ამპლუის შეცვლამ მოუნია, თუმცა, ყოველივე ეს შედეგზე არ ასახულა. სერიოზული დანაკლისი ჰქონდათ სტუმრებსაც: სხვადასხვა მიზეზის გამო გია გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი (**თორნიკე აფციაური, ჯაბა დვალი, ლევან კორღალიძე, შოთა გრიგალაშვილი**) მოისაკლისა.

სამაგიეროდ, თავის გამოჩენის შანსი სტუმართა ერთდროულად რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მიეცა, ხოლო „ოლიმპის" 17 წლის ნახევარმცველმა **ლაშა პარუნაშვილმა** სულაც სადებიუტო მატჩი ჩაატარა უმაღლეს ლიგაში; ამ შეხვედრის კიდევ ერთი ფაქტორიც არცთუ უმნიშვნელო იყო - „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** და მეკარე **გრიგოლ ჭანტურია** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას ყველანაირად შეეცდებოდნენ და ასეც მოხდა...

..."ოლიმპმა" თავიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზა მეტოქეს და მალე ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვა. ამასთან, მასპინძელთა ფეხბურთელები პირველივე შესაძლებლობიდან ცდილობდნენ ბურთის მეტოქის კარის მიმართულებით გაგზავნას. პირველი სახიფათო მომენტი მეხუთე წუთზე შეიქმნა, როცა გამოკვეთილი ცენტრფორვარდის პოზიციაზე მოასპარეზე **გიორგი ხიდეშელმა** ბურთი ოსტატურად **გია კვარაცხელიას** დაუგდო, ამ უკანასკნელმა კი მართლაც ჩინებული პასით გარღვევაზე დავით იმედაშვილი გაიყვანა, მაგრამ სტუმრები **ზურაბ მამალაძემ** გადაარჩინა. „ზესტაფონის" მეკარემ კიდევ ერთ ეპიზოდში გაიბრწყინა, როცა **თემურ ლონლაძის** ძლიერი დარტყმა მოიგერია - ამ შეხვედრაში საკმაოდ აქტიურმა მარჯვენა მცველმა ფლანგიდან ცენტრში ბურთიანად შემოიჭრა და თავისთვის „არასამუშაო" მარცხენა ფეხით ბურთი „ზესტაფონის" კარის „ცხრიანში" გაგზავნა, მაგრამ მამალაძეც არანაკლებ ჩინებულად გაისარჯა.

სწრაფი გოლი მაინც ვიხილეთ: მასპინძლების ხანგრძლივი შეტევა (ლამის მთელი გუნდი რომ მონაწილეობდა) სწრაფი და ლამაზი კომბინაციით დასრულდა; თანაც, დებიუტანტი ლაშა პარუნაშვილის დროული პასიც ეფექტური იყო, თემურ ლონლაძის გამჭოლი გადაცემაც და, რაც მთავარია, **გიორგი ჭედიას** ზუსტი დარტყმაც - 1:0! გატანილი გოლის შემდეგ „ოლიმპის" ფეხბურთელებს ტემპი არ დაუგდიათ და... შემადგენლობაში შემტევების არყოფნაში, შორი და საშუალო მანძილიდან ცდილობდნენ ბურთის მეტოქის კარისკენ გაგზავნას. ჯერ დენის დობროვოლსკიმ „გაისროლა" შორიდან, მერე - დავით იმედაშვილმა, მაგრამ ორივე ეპიზოდში მამალაძემ პოზიცია სწორად შეარჩია.

...დაახლოებით ოცდამერვე წუთი იქნებოდა, სტუმრებმა პირველად (!) რომ შეუტიეს მასპინძელთა კარს; ოღონდ, ისეთი შეტევა იყო, ცოტაც და ანგარიში გათანაბრდებოდა: **ალექსი ბენაშვილმა** ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც „ზესტაფონის" ახალგაზრდა ფორვარდმა **საბა ლომიამ** ყველას დაასწრო და თავით, ვარდნაში შეეცადა გოლის გატანას. საბა ლომია ახლო მანძილიდან ურტყამდა და, თითქოსდა, გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიამ მართლაც საოცარი რეაქციით შეძლო და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურს მორიგი სახიფათო მომენტი მოჰყვა, მაგრამ **ირაკლი ძარიას** ძლიერი დარტყმა „ოლიმპის" კარის ძელს მოხვდა.

აი, ეს იყო და ეს - მეტი სახიფათო მომენტი პირველ ტაიმში სტუმრებს აღარც შეუქმნიათ; სამაგიეროდ, მასპინძელთა მორიგი „სტანდარტული" წარმატებული აღმოჩნდა: **გელა ხუბუამ** კუთხური ოსტატურად ჩაახვია, მაგრამ ზურაბ მამალაძემ ბურთი მოიგერია. ისევ კუთხური და ისევ გელა ხუბუას შესრულებით, ოღონდ „ოლიმპის" მარცხენა მცველმა ამჯერად ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, სადაც **ნოდარ მაჭავარიანმა** თავით მეკარის ბაქნისკენ გადაგზავნა - გია კვარაცხელიას ასევე თავური დარტყმა ზუსტი იყო. რა თქმა უნდა, „ოლიმპის" ფეხბურთელების მიერ შესრულებული საგოლე კომბინაცია მართლაც აღნიშვნის ღირსია, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, თუ როგორი პოზიციური შეცდომები დაუშვეს „ზესტაფონის" მცველებმა; თანაც, არა მხოლოდ ამ ეპიზოდში...

„ზესტაფონმა" ეს მატჩი სამი მცველით დაიწყო და შესვენების შემდეგ გია გეგუჩაძე უფრო დიდ რისკზე წავიდა: ერთი ცენტრალური მცველი თამაშიდან „მოხსნა" და მის ნაცვლად მოედანზე ახალგაზრდა ნახევარმცველი **გიორგი ჭანკოტაძე** შემოიყვანა. საერთოდაც, მეორე ტაიმი სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და ეს აქტიურობაც მალე დაუფასდათ: **ნიკა გელაშვილის** პასით **თორნიკე გორგიაშვილმა** ერთი გოლი გაქვითა. მოკლედ, შეხვედრას ინტრიგა მიეცა და მოედანზეც ზომაზე მეტად ხისტი თამაში გაჩაღდა. მატჩს არც ნერვიული ფონი მოჰკლებია და მეტოქეთა შორის კინკლაობაც ხშირად იყო და განევ-გამონევაც - არბიტრი **დავით ხარიტონაშვილიც** ყვითელი ბარათების ჩამორიგებით ცდილობდა ფეხბურთელთა დაშოშმინებას.

თუმცა გია კვარაცხელიას კიდევ ერთმა გოლმა, ერთი ხანობა, მოედანზე ყველაფერი „დაამშვიდა": ცენტრალური შუამარბის პოზიციაზე მოასპარეზე „ოლიმპის" გამოცდილმა ფეხბურთელმა დავით იმედაშვილისა და გიორგი ჭედიას მიერ წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ამ გოლის შემდეგ მოედანზე ისევ დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა და ზედმეტად ხისტი თამაშის გამო მატჩიც ხშირად ჩერდებოდა. ორივე გუნდის მწვრთნელმა ცვლილებებს მიმართა, ოღონდ, ზოგი შეცვლა ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა ზოგი კი - იძულებითს. ასე, მაგალითად - გიორგი ხიდეშელმა ტრავმა რომ მიიღო, ცენტრფორვარდის პოზიციაზე... გია კვარაცხელია გამწესდა!

ამას გარდა, მეორე ტაიმში თემურ მახარაძემ კიდევ ოთხ-ხუთ ფეხბურთელს შეუცვალა ამპლუა, მაგრამ ყოველივე ამით თამაშის საერთო სურათი აღარ შეცვლილა. რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, სულ უფრო ცხადი ხდებოდა, „ზესტაფონი" ორბურთიან ჩამორჩენას რომ ვერ გააბათილებდა. სტუმრებს აქტიურობას ნამდვილად ვერ დავუწუნებდით (ერთ ეპიზოდში ახალგაზრდა გიორგი ჭანკოტაძემ სახიფათოდ დაარტყა), მაგრამ ტაქტიკური განლაგების მხრივ ერთიანად „გადასხვაფერებულმა" „ოლიმპმა" მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. თემურ მახარაძემ კი, ბევრი „სხვა" რამის გარდა, ისიც დაამტკიცა, რომ არა მხოლოდ აკინოს გარეშე, საერთოდ... უთავდამსხმელოდაც შეუძლია თამაშის მოგება...

**გია ტუხაშვილი**
*რუსთავი-თბილისი*

**სიახლე**

## ოლიმპი მსოფლიო ქსელში

რუსთავის „ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონი მეორედ გახდა. ოქროსმედალოსან გუნდს ყველაფერი ტიტულის შესაბამისი უნდა ჰქონდეს - ფინანსური მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და ასე შემდეგ. დამეთანხმებით, XXI საუკუნეში ამბიციურ კლუბს საკუთარი ოფიციალური ვებგვერდიც სჭირდება. „ოლიმპს" ინტერნეტმისამართი აქამდეც ჰქონდა, მაგრამ ის თანამედროვე მოთხოვნებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებდა.

„ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, კლუბმა ახალი ვებგვერდი დაამუშავა, რომელზეც გაცილებით მოცულობითი ინფორმაციებია განთავსებული, ვიდრე ძველზე. რუსთაველთა განახლებული ვებგვერდის მისამართია www.fcolimpi.ge.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოლუხვი ეპილოგი

15.05. თბილისი. ამერი
3 00 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 0 |
| დინამო | 3 |

0:1 ვანაძე (87. აკირემის პასით), 0:2 რობერტინიო (89), 0:3 ვანაძე (90. ჯუისის პასით)

ლოკომოტივი: ქვილითაია - ლ. ჩაგელიშვილი, ხატიაშვილი, გუშარაშვილი, ვეკუა - ჩიკვაიძე (76. ბონდო გოცირიძე), ქებაძე (88. დ. ჩაგელიშვილი), გ. ნუგ. ჭელიძე (65. ბ. მახარაძე), დიაკვნიშვილი, სარალიძე - მეტრეველი.

*სათადარიგოები: გვენცაძე, გ. მახარაძე, წულაძე, კაკულია*

დინამო: ლორია - თომაშვილი, კრსტესკი, გ. კაშია, ჩიკვილაძე - შ. კაშია, მამუჩაშვილი (65. ჯუისი), თექთურმანიძე (52. რობერტინიო), კაკუბავა, კახელიშვილი (74. ვანაძე) - აკირემი.

სათადარიგოები: შეყრილაძე, ჩადუნელი, ლექვთაძე, ზვიადაძე

გაფრთხილება: ვეკუა (63), ჯუისი (73), კაკუბავა (80), მეტრეველი (81)

არბიტრი: ლ. სილაგავა

„ლოკომოტივს" ამ მატჩამდე ჯერ კიდევ ჰქონდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის მინიმალური შანსი, რის შესანარჩუნებლადაც აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა. თავის მხრივ, სამი ქულა არც „დინამოს" აწყენდა იმის მიუხედავად, რომ **კახა კაჭარავას** გუნდს ამ სეზონის მთავარი შეხვედრა არა ჩემპიონატში, არამედ თასზე აქვს დარჩენილი.

მატჩის 85 წუთი ისე გაილია, მოედანზე დასამახსოვრებელი თითქმის არაფერი მომხდარა. შეხვედრა სწრაფ ტემპში წარიმართა და უსახური ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ თითქოს ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ თამაში ნულოვანი ფრით უნდა დასრულებულიყო.

„დინამო" თავიდან კი დაეუფლა უპირატესობას, მაგრამ ეს დაახლოებით საწყისი ოცი-ოცდახუთი წუთი გაგრძელდა, რის შემდეგაც „ლოკომოტივმა" თამაში ნელ-ნელა გაათანაბრა და თავადაც ცდილობდა მეტოქისთვის ხიფათის შექმნას. ზემოთ ნახსენები 85 წუთიდან კი მხოლოდ **დონალდ ჯუისის** თავურზე რკინიგზელთა მეკარის, **მაქსიმე ქვილითაიას** ბრწყინვალე რეაქცია უნდა გავიხსენოთ. იყო ნახევრად მომენტებიც, მაგრამ მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვისაუბრებდით, მატჩის ფინიში უაღრესად შინაარსიანი რომ არ გამოსულიყო.

ნამდვილი სანახაობა კი შეხვედრის 86-ე წუთიდან დაიწყო, როცა **ბორის მახარაძემ** მეკარესთან პირისპირ **ზვიად მეტრეველი** გაიყვანა, რომელმაც კარგად ვერ დაარტყა და **გიორგი ლორიამ** ბურთის კუთხურზე მოგერიება შეძლო. დაუწერელი საფეხბურთო კანონი მყისვე ამოქმედდა - **გელა სანაიას** გუნდმა კუთხური უხეიროდ მოაწოდა და „დინამომ" სწრაფი კონტრშეტევა განავითარა. იერიში **რობერტინიომ** წამოიწყო, რომელმაც **ჟორჟ აკირემი** მონახა, ამ უკანასკნელმა კი დასარტყამ პოზიციაზე **მათე ვაწაძე** გაიყვანა - 0:1. ამ გოლმა ლოკომოტიველები გატეხა, არადა, მეტრეველს ანგარიში რომ გაეხსნა, შესაძლოა, მის გუნდს უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება მოეხერხებინა.

მატჩის დასკვნით ნაწილში უპირველესად, ის დინამოელები გამოირჩეოდნენ, რომლებიც მოედანზე თამაშის მსვლელობისას შევიდნენ. ბუნებრივია, ასეთ დროს მწვრთნელის სწორ გადაწყვეტილებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. განსაკუთრებით რობერტინიო უნდა გამოვყოთ. ტანმორჩილი ბრაზილიელი ნახევარმცველი მეტად ტექნიკური და არაორდინარულია და ფიზიკურ კონდიციებსაც თუ გაიუმჯობესებს, ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ უახლოეს პერიოდში „დინამოს" ლიდერად ჩამოყალიბდეს.

მეორე გოლი სწორედ რობერტინიოს ოსტატობას მოჰყვა. მან ეფექტურად ჩამოიცილა ორი მეურვე და ძლიერი დარტყმით ანგარიში გააორა. იქვე მეტრეველს კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ ლორიას ვერც ამჯერად აჯობა - „დინამოს" კარის დარაჯს ბურთის მოგერიებაში ძელიც წაეხმარა.

მსაჯის მიერ დამატებულ დროში ვანაძემ დუბლის გაფორმებაც მოასწრო. მან ჯუისის მიერ მოწოდებულ კუთხურს თავი შეაგება და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. „ლოკომოტივი" ნამდვილად არ იმსახურებდა გამანადგურებელ მარცხს, მაგრამ როგორც ვთქვით, რკინიგზელებმა მატჩის ბოლო წუთები დათრგუნულებმა ჩაატარეს. მოსახდენი ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურშივე მოხდა - „დინამომ" ვერცხლის მედლები დაიბევა, „ლოკომოტივი" კი პირველი ლიგისთვის უნდა ემზადოს.

### მატჩის შემდეგ

**გელა სანაია (ლოკომოტივი)**: „იღბალმა გვაქცია ზურგი, თორემ ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. გოლი ჩვენ რომ გაგვეტანა, მატჩი სულ სხვა შედეგით დასრულდებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით მოხდა. „დინამოს" გამარჯვებას ვულოცავ".

**კახა კაჭარავა (დინამო)**: „პირველ ტაიმში ჩვენს გუნდს კონცენტრაცია აკლდა, რაც თასის მოახლოებული ფინალის წინ, გასაკვირი ნამდვილად არაა. შეხვედრის მიწურულს მაინც შევძელით მიზნის მიღწევა. შეხვედრა საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა".

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი* | 35 | 25 | 7 | 3 | 68-22 | 79 |
| 2. დინამო | 35 | 21 | 8 | 6 | 58-18 | 71 |
| 3. ზესტაფონი | 35 | 18 | 10 | 7 | 54-33 | 64 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 35 | 16 | 13 | 6 | 45-31 | 61 |
| 5. სპარტაკი | 35 | 10 | 10 | 15 | 40-57 | 40 |
| 6. სამტრედია | 35 | 10 | 7 | 18 | 42-64 | 37 |
| 7. სიონი | 35 | 7 | 14 | 14 | 25-43 | 35 |
| 8. ბაია | 35 | 7 | 11 | 17 | 29-44 | 32 |
| 9. ლოკომოტივი | 35 | 5 | 11 | 19 | 19-47 | 26 |
| 10. გაგრა | 35 | 5 | 9 | 21 | 30-57 | 24 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 26 (10პენ.) |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 16 (2 პენ.) |
| დვალი (ზესტაფონი) | 12 |
| აკირემი (დინამო) | 11 |
| ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) | 11 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯ.) | 11 (1პენ.) |

*ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა.

ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

### ბოლო ტური

**20 მაისი, ხუთშაბათი**

ზესტაფონი-ბაია
სპარტაკი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სამტრედია
სიონი-გაგრა

### საქართველოს თასი

**26 მაისი, ოთხშაბათი**

ფინალი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ადგილები გაცვალეს

15.05. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
2 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 2 |
| სიონი | 1 |

1:0 სამსეიშვილი (21-პენ), 1:1 გ. მელქაძე (25. ჯოხაძის პასით), 2:1 ტყემალაძე (36. ჩომახიძის პასით)

სამტრედია: ი. შენგელია - კუპრეიშვილი, გოგია, კირთაძე, ქორიძე (46. ნინუა) - ჩომახიძე, ფირცხალავა (86. კირკიტაძე), ბაკურაძე - ტყემალაძე (46. ბარამიძე), სამსეიშვილი, ეცადეიშვილი.

სათადარიგოები: ხარძეიშვილი, ლომიძე, დვალიშვილი, გიორგაძე.

სიონი: ზუხბაია - კობაური, ქემოკლიძე, მერებაშვილი, ლ. ჭელიძე - ჯოხაძე (46. ლ. უგულავა), გ. კვანტალიანი (46. ლ. ჩხეტიანი), გაბრიჭიძე, გოგობერიშვილი, გ. მელქაძე - რუსეიშვილი.

გაფრთხილება: ჩომახიძე (90)

არბიტრი: ი. ურუშაძე

„სამტრედიის" ლიცენზირებასთან დაკავშირებით დიდი აურზაური იყო ატეხილი, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სიტუაცია საგანგაშო სულაც არ ყოფილა. კლუბის ხელმძღვანელების თქმით, ყველაფერი მოგვარდება და „სამტრედია" მომავალ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. სპორტული პრინციპით საუკეთესოთა შორის დარჩენა კი სამტრედიელებს, „სიონის" მსგავსად, უკვე განაღდებული ჰქონდათ. ცხრილში გვერდიგვერდ მყოფი გუნდების მატჩს ერთადერთი ინტრიგა ჰქონდა შემორჩენილი. გამარჯვების შემთხვევაში „სამტრედია" „სიონს" გადაუსწრებდა, ბოლნისელებს კი მე-6 ადგილის შესანარჩუნებლად ფრეც ჰყოფნიდათ. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ სამტრედიელები უფრო მოტივირებულნი იყვნენ, ვიდრე ბოლნისელები. წინა სამ შეხვედრაში იმერლებმა ბოლნისელები ვერ დაამარცხეს და ახლა ნავსი უნდა გაეტეხათ. მატჩისადმი ქვემოქართლელთა დამოკიდებულებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ **ხვიჩა ქასრაშვილმა** იმერეთში მხოლოდ 13 ფეხბურთელი იახლა...

„ეროსი მანჯგალაძეზე" ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. თუ პირველ ნახევარში გუნდები საკმაოდ კარგ და დინამიურ ფეხბურთს თამაშობდნენ, მეორე ტაიმში ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ფეხბურთელებს ბურთის გორება ეზარებოდათ და არბიტრის საფინალო სასტვენს მოუთმენლად ელოდებოდნენ. ალბათ, მათ განწყობაზე მცხუნვარე მზემ იმოქმედა. შესაბამისად, შესვენების შემდეგ სახიფათო მომენტები კი არა, კარის მიმართულებით დარტყმაც იშვიათობა იყო.

პირველი რეალური მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მე-6 წუთზე **გიორგი მელქაძის** კუთხურს სამტრედიელთა საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ამით ისარგებლა უყურადღებოდ დარჩენილმა **გოგობერიშვილმა** საჯარიმოს კიდიდან უძლიერესად დაარტყა და მასპინძლები გოლისგან ძელმა იხსნა.

შემდეგ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა და 21-ე წუთზე ბოლნისელთა კარში გოლიც გავიდა. **ჩომახიძემ** სახიფათო საჯარიმო შეასრულა, რასაც სტუმართა კართან არეულობა მოჰყვა - **ტყემალაძე** საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც **სამსეიშვილმა** აუღელვებლად აქცია გოლად - 1:0. ბოლნისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი გაშვებულმა გოლმა არ დააბნია, ანგარიშიც მალე გათანაბრდა. გოლი კი მართლაც ლამაზი გამოვიდა - **რუსეიშვილმა** მარჯვენა ფრთაზე ორი მცველი ჩამოიცილა და **ჯოხაძეს** გადააწოდა, ამან კი სწრაფადვე მოძებნა მარცხნიდან დაძრული მელქაძე, რომელმაც მცველებს დაასწრო და ლამაზი კომბინაცია ნაყოფიერად დააგვირგვინა - 1:1.

საპასუხო შეტევისას ტყემალაძეს მართებდა გატანა, თუმცა მის მიერ სამიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი **ზუხბაიამ** მოიგერია, დამატებაზე კვლავ ტყემალაძე ურტყამდა, მაგრამ ბოლნისელთა მეკარე ამჯერზეც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. შემდეგ რუსეიშვილმა და სამსეიშვილმა გაცვალეს სახიფათო დარტყმები, ორივე ეპიზოდში მეკარეებმა იყოჩაღეს. 36-ე წუთზე კი სამტრედიელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს - **ჩომახიძემ** უზუსტესი პასით ტყემალაძე გაიყვანა მეკარესთან პირისპირ და ამ უკანასკნელმაც თანაგუნდელს ამაგი არ დაუკარგა - 2:1.

ტაიმის ბოლოს ქვემოქართლელები კვლავ გააქტიურდნენ. 45-ე წუთზე გოგობერიშვილის შორეული დარტყმა **შენგელიამ** ძლივს მოიგერია. მელქაძემ კი კუთხურიდან პირდაპირ კარის მიმართულებით ჩაახვია და იმავე შენგელიამ კვლავ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმში დასამახსოვრებელი მხოლოდ ის იყო, რომ ერთ-ერთმა სამტრედიელმა დაახლოებით ცენტრიდან „უზუსტესი პასი" გაუკეთა... **ზაურ ხაჭიპერაძეს**, ოღონდ, იმერელთა ახალნაოპერაციები ბომბარდირი იმ დღეს მოედანზე სულაც არ ყოფილა, თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს და თანაგუნდელებმა იქაც „მოძებნეს". ამ ეპიზოდმა გულშემატკივარი მცირედით გაამხიარულა და მალე ნანატრი საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

**დავით პოხრეიძე**
სამტრედიიდან

# ქულა სიმშვიდისა და სამშვიდობოსთვის

15.05. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
1 100 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

0:1 გ. დათუნაიშვილი (14. კვარაცხელიას პასით), 1:1 ეხვაია (64. ვართაგავას პასით)

ბაია: სომხიშვილი - ს. თოდუა, კვესეიშვილი, აქუბარდია, აკობია - სახოკია (58. კვეკვესკირი), გუგუჩია (67. სიხარულია), ვართაგავა, წურწუმია - ფიფია - სამადაშვილი (54. ეხვაია).

სათადარიგოები: ზარქუა, ბაკარანძე, ყველაშვილი, დ. ქირია.

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მაისაშვილი - ჩიმაკაძე (77. კორიფაძე), ზაქრაძე - ვ. კვარცხელია (70. როსტიაშვილი).

სათადარიგოები: მიქაბერიძე, გურეშიძე, ადამაძე, ჯანელიძე.

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

ამ მატჩამდე ზუგდიდელები უახლოეს მდევარ თბილისის „ლოკომოტივს" 5 ქულით უსწრებდნენ. **გელა სანაიას** გუნდს დარჩენილი ორი მატჩი რომ მოეგო და „ბაიას" ამდენივე წაეგო, ლოკომოტიველები ქულით გაასწრებდნენ ზუგდიდელებს. ამიტომ, **ელგუჯა ქომეთიანის** ბიჭებს, მშვიდად რომ ყოფილიყვნენ, მინიმუმ ქულის მოპოვება სჭირდებოდათ. „ლოკოს" დარჩენილი ორი მატჩიც რომ მოეგო, გუნდებს თანაბარი ქულები ექნებოდათ. ასეთ შემთხვევაში, უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, ვისაც მეტი მოგება, ხოლო შემდეგ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი აქვს. თუ ქომეთიანის ბიჭები დასკვნით ორ ტურში ქულას აილებდნენ და თბილისელები ორივე შეხვედრას მოიგებდნენ, მაშინ ამ გუნდებს 7-7 გამარჯვება დაუგროვდებოდათ, ურთიერთშეხვედრებში კი ზუგდიდელებს უკეთესი ბალანსი აქვთ და ისინი უმაღლესში დარჩენას დაიბევებდნენ.

ერთი სიტყვით, ზუგდიდელები უფრო მეტად იყვნენ მოტივირებულნი, სტუმრები კი აქცენტს 26 მაისს გასამართ თასის ფინალზე აკეთებენ. „გულია თუთბერიძეზე" ათასზე მეტი გულშემატკივარი შეიკრიბა მშობლიური გუნდის მხარდასაჭერად. თუმცა შეხვედრა მათთვის ცუდად დაიწყო. სტარტზე თბილისელები უკეთ წარმოჩნდნენ და სწრაფი გოლით დაწინაურდნენ. **ბესიკ ჩიმაკაძემ ვახტანგ კვარაცხელია** მოძებნა, რომელმაც თავის მხრივ **გიორგი დათუნაიშვილს** გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი „მოჭრილი" დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა - 0:1.

გაშვებულმა გოლმა მასპინძლებს ცეცხლი შეუნთო. მათ შეტევები გაამწვავეს და წონასწორობის აღდგენაც არაერთხელ შეეძლოთ, თუმცა ეს მეორე ტაიმამდე ვერ შეძლეს. **გურამ სამადაშვილმა და ზაზა სახოკიამ** (რომელიც ადრე „ვიტ ჯორჯიაში" გამოდიოდა), ყოფილ გუნდს ვერ გაუტანეს.

მეორე ნახევარი ზუგდიდელებმა უკეთ დაიწყეს და სტუმრები საკუთარ ნახევარზეც კი მიაჯაჭვეს. მასპინძელთა თავკაცმა ქომეთიანმა სამადაშვილი, რომელმაც ტრავმის შემდეგ ფორმა ვერ დაიბრუნა, **ირაკლი ეხვაიათი** შეცვალა. ამ სვლამ გაამართლა - „ბაიას" შეტევები უფრო მწვავე და ორგანიზებული გახდა, ჰოდა შედეგმაც არ დააყოვნა. 64-ე წუთზე **ლევან ვართაგავას** ჩაწოდებით **ირაკლი ეხვაიამ** თავურით წონასწორობა აღადგინა - 1:1.

დარჩენილ დროში ხიფათი ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ გამორჩეული არაფერი მომხდარა. „ბაიამ" მოიპოვა ის ქულა, რომელმაც სამშვიდობოს დატოვა.

**ნიკა გვათუა**
ზუგდიდიდან

სამტრედია

შეხვედრა გულშემატკივრებთან

# ლიცენზიის პრობლემაც მოგვარდება და სპონსორიც გვეყოლება!

„სამტრედია"-"სიონის" მატჩის წინ იმერული კლუბის პრეზიდენტი **ზაზა ადეიშვილი,** სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი **ავთანდილ სტურუა,** ყოფილი გამგებელი **ემზარ შუბლაძე** და მათი თანმხლები პირები გულშემატკივრებს შეხვდნენ და კლუბის პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ესაუბრნენ. გულშემატკივრებს განსაკუთრებით ლიცენზირებასთან დაკავშირებული საკითხები და გუნდის მომავალი აინტერესებდათ.

*„რატომ მაინცდამაინც ჩვენ შემოგვიტიეს ლიცენზიის გამო, სხვამ ზედმიწევნით დააკმაყოფილა ყველა კრიტერიუმი?! ერთი ფეხბურთი გვაქვს სამტრედიაში და ამას მაინც ნუ წაგვართმევენ!"* - ამგვარი პათოსი გამოსჭვიოდა გაცხარებულ ქომაგთაგან.

კლუბის ხელმძღვანელებმა და დეპუტატმა გულშემატკივრები დააიმედეს და დაჰპირდნენ, რომ ამ პრობლემას მალე მოევლება. *„კლუბმა რომ ლიცენზია ვერ მიიღო, ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბრალი არ არის. ჩვენ მიმართ იყო გარკვეული მოთხოვნები და უნდა შეგვესრულებინა. სხვადასხვა კრიტერიუმებთან ერთად გუნდს A ლიცენზიის მქონე მწვრთნელი უნდა წვრთნიდეს... ამ საკითხებზე აქტიურად ვმუშაობთ და ლიცენზირების პრობლემა უახლოეს ხანში მოგვარდება. შეგახსენებთ, ანალოგიური მდგომარეობა შარშანაც გვქონდა, მაგრამ ყველაფერი დალაგდა და „სამტრედიამ" უმაღლეს ლიგაში იასპარეზა"* - თქვა კლუბის პრეზიდენტმა.

ავთანდილ სტურუამ კი მიმდინარე სეზონი შეაფასა და დაფინანსებაზეც ილაპარაკა: *„გუნდის წლევანდელი გამოსვლა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგანაც ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი არ დგას, არამედ ის, მეექვსე ადგილზე გავალთ თუ მეშვიდეზე... 2004 წლიდან გუნდს ადგილობრივი თვითმმართველობა აფინანსებს. ახლა არის იმის შანსი, რომ „სამტრედიას" შეძლებული სპონსორი გამოუჩნდეს. მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივაა, უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს სერიოზული სპონსორი ჰყავდეს. ეს ეროვნული ჩემპიონატის ფეხზე დასაყენებლად და მოსაძლიერებლად კეთდება. თუ დღეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გუნდისთვის 500 000 ლარი იხარჯება, ახალი სპონსორი მინიმუმ მილიონ დოლარს დახარჯავს და შესაბამისად, კლუბში ფინანსური პრობლემები აღარ იქნება. გვეყოლება უფრო მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელები და უკეთესი შედეგებისთვისაც ვიბრძოლებთ. ამ დღეებში გადაწყდება, თუ ვინ დააფინანსებს „სამტრედიას". როცა ეს გაირკვევა, გულშემატკივრებსაც გავაცნობთ. ვიდრე „სამტრედიას" სპონსორი გამოუჩნდება, მანამდე მას ადგილობრივი თვითმმართველობა დააფინანსებს".*

ბოლოს კლუბის ხელმძღვანელებმა გულშემატკივრებს თხოვნით მიმართეს, რომ ქვების სროლისა და სხვა ვანდალური ქცევებისგან თავი შეიკავონ: *„გვესმის, რომ სტადიონი თეატრი არ არის და აქ წყნარად ვერ გაჩერდებით. გინებას ვერავის დავუშლით, მაგრამ ქვებისა და სხვადასხვა საგნების სროლა უნდა ალიკვეთოს. ამის გამო კლუბი ზარალდება და ჩვენი თხოვნაა, მაქსიმალურად კორექტულები იყოთ. სხვა მხრივ კი გულშემატკივრების მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. სტადიონი ყოველთვის ივსება და გუნდი თქვენი მხრიდან უდიდეს მხარდაჭერას გრძნობს".*

**დავით პოხრეიძე**
სამტრედიიდან



ეროვნული ნაკრები



ჯაბა დვალი

# მინუს სირაძე, პლუს ზესტაფონური ტრიო

საქართველოს ნაკრები დღეს გამთენიისას, თბილისიდან მიუნხენის გავლით, ავსტრიას გაემგზავრება, სადაც მოსამზადებელ შეკრებას გაივლის და ამხანაგურ მატჩსაც გამართავს. **თემურ ქეცბაიას** გუნდი 18 მაისიდან 24-ის ჩათვლით ზალცბურგში მოემზადება, 25 მაისს კი ქალაქ ლინცში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კამერუნის ნაკრებს შეხვდება.

ამავე დროს, არ არის გამორიცხული შეკრება გაგრძელდეს. საქმე ისაა, რომ 30 მაისს მუნდიალის კიდევ ერთ მონაწილე მექსიკის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური მატჩის ორგანიზებაზე მოლაპარაკება დასკვნით ფაზაშია. თბილისიდან უკვე გაგზავნილია თანხმობის ფაქსი, რასაც მალე პასუხი უნდა მოჰყვეს. წესით, ამ საკითხს დღეს-ხვალ უნდა დაესვას წერტილი.

როგორც იცით, ავსტრიული შეკრებისთვის ქეცბაიამ 22 ფეხბურთელს უხმო. შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო სანაკრებო სიას 4 მოთამაშე უკვე გამოაკლდა - **კახა კალაძე** („მილანმა" არ გამოუშვა), **ოთარ მარცვალაძე** (სავიზო პრობლემა), **დავით დევდარიანი** და **დავით სირაძე** (ტრავმები). იყო შანსი, სირაძეს კამერუნის წინააღმდეგ ეთამაშა, ის თბილისშიც იყო ჩამოსული ნაკრების ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილთან,** რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ამ ეტაპზე სირაძე ნაკრებს ვერ დაეხმარება.

გამოკლებული ფეხბურთელების ნაცვლად ნაკრების თავმა გუნდს 3 ფეხბურთელი დაამატა და სამივე „ზესტაფონიდან": შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური** და თავდამსხმლები - **ნიკა გელაშვილი** და **ჯაბა დვალი.** ამ ტრიოდან ნაკრებში პირველად მხოლოდ დვალია გამოძახებული. გელაშვილს ეროვნულ გუნდში 4 მატჩი აქვს ჩატარებული, აფციაურს კი ორჯერ უხმო **ალენ ჟირესმა.**

თუ 30 მაისს მექსიკასთან ამხანაგური მატჩი შედგა, მაშინ კამერუნთან მატჩის შემდეგ ნაკრებს ხუთი ფეხბურთელი დაემატება - მეკარე **გიორგი ლორია,** მცველი **გურამ კაშია** და ნახევარმცველი **ალექსანდრე კოშკაძე** - ყველა თბილისის „დინამოდან", „ზესტაფონის" მცველი **ზაალ ელიავა** და რუსთავის „ოლიმპის" შუახაზელი **დავით იმედაშვილი.** კოშკაძე ესტონეთთანაც იყო გამოძახებული, მაგრამ თამაშმა არ მოუწია; ლორია, ელიავა და იმედაშვილი ქეცბაიამ პირველად გამოიძახა, კაშიამ კი ესტონეთთან შეცვლაზე ითამაშა.

დაბოლოს, გაცნობებთ, რომ გუშინ ქეცბაია ავსტრიის თასის ფინალურ მატჩს დაესწრო, რომელშიც **ილია კანდელაკის** „შტურმი" „ვინერ ნოიშტადტ მაგნას" დაუპირისპირდა. თუ რა შთაბეჭდილება დარჩა მწვრთნელს კანდელაკის (სრულად ითამაშა და თასიც მისმა გუნდმა მოიგო) თამაშზე, ამას მალე გავიგებთ.

**დავით ცაბაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ამისულაშვილი სპარტაკს ეთხოვება

გასულ უქმეებზე რუსულ პრემიერ-ლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილისთვის** „ტომთან" ჩატარებული შეხვედრა ნალჩიკის „სპარტაკის" რიგებში უკანასკნელიც აღმოჩნდეს. მთავარ რუსულ დივიზიონში 8 ივლისამდე



პაუზა გამოცხადდა. რამდენიმე კვირაში ამისულაშვილს ნალჩიკელებთან კონტრაქტი ამოეწურება. ეროვნული ნაკრების მცველის გადაბირებით არაერთი კლუბია დაინტერესებული, მით უმეტეს, ის საიმედო თამაშით გამოირჩევა, ხშირად ხვდება ტურის სიმბოლურ ნაკრებში და თანაც - თვე-ნახევარში თავისუფალი აგენტი ხდება.

ამისულაშვილისადმი ინტერესის შესახებ რუსული ვებგვერდებიც წერენ. მაგალითად, soccer.ru-ს, championat.ru-სა და sportbox.ru-ს ინფორმაციით, გროზნოს „ტერეკს" „დნიპროდან" კიევის „არსენალში" განათხოვრებული მცველის **ბოგდან შერშუნისა** და ამისულაშვილის გადაბირება უნდა. ზემოხსენებული წყაროებიც იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ ჩვენებური მცველი მალე თავისუფალი აგენტი გახდება. ცნობისთვის, „ტერეკსა" და ნალჩიკის „სპარტაკს" შორის თბილი ურთიერთობაა. წინა სეზონის პირველი ნახევარი **გოგიტა გოგუამ** სწორედ „ტერეკში" გაატარა და მერე დაუბრუნდა **იური კრასნოჟანის** „სპარტაკს".

სხვათა შორის, რუსული სააგენტოები იმაზეც მიუთითებენ, რომ ჩეჩნური კლუბის ფინანსური შესაძლებლობები გაიზარდა. რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, 14 ქულით ის მოსკოვის „დინამოსთან" ერთად IX-X ადგილს იყოფს. ნალჩიკელები (19 ქულა) კი, რომლებიც აპრილის განმავლობაში ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობდნენ, მე-4 ადგილზე ჩამოქვეითდნენ და ლიდერს 5 ქულით ჩამორჩებიან.

შესაძლოა, ამისულაშვილი სხვა გუნდშიც ვიხილოთ. ჩვენი ინფორმაციით, რუსულის გარდა, მისით ავსტრიული, ჰოლანდიური და ბელგიური კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. თუმცა მისი აყვანის მსურველი რუსულ პრემიერ-ლიგაშიც არაერთია. სარწმუნო წყაროს ცნობით, ამისულაშვილის დამატება ყაზანის „რუბინსა" და სანკტ პეტერბურგის „ზენიტსაც" უნდათ. **ყურბან ბერდიევის** გუნდი, რომელიც ზედიზედ ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი, 20 ქულით მესამე ადგილზეა. **ლუჩანო სპალეტის** „ზენიტი" კი ცხრილის ზენიტშია. პეტერბურგელთა იტალიელი თავკაცი რამდენიმე თვის წინ **კახა კალაძის** გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

ბოლოს კი პოპულარულ transfermarkt.de-ს მოვუხმობთ, რომლის ცნობით ამისულაშვილს (10 მატჩი და ერთი გოლი ეროვნულ ნაკრებში) ნალჩიკის „სპარტაკთან" 30 ივნისს, ანუ რუსეთის ჩემპიონატის განახლებამდე ეწურება კონტრაქტი, მისი სატრანსფერო ფასი კი 1.2 მილიონი ევროა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონის ამბები



# 6 ქართველის ზეობა აზერბაიჯანში

## ბლუმფილდის ტრაგედია და მენთეშას ოქროს დუბლი

დღევანდელ მიმოხილვას, მოულოდნელად, აზერბაიჯანული ამბებით დავიწყებთ - იქ, სადაც ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, ჩემპიონატი დასრულდა, ტიტული კი ორი ქართველი მწვრთნელისა და ოთხი ფეხბურთელის „ინტერმა" მოიგო. **კახა ცხადაძემ** თავისი მოღვაწეობის პირველივე წელს გააჩემპიონა ბაქოს „ინტერი", სადაც მისი ასისტენტი **გიორგი ჩიხრაძეა**. „ინტერის" კარს საქართველოს ნაკრების გოლკიპერი **გიორგი ლომაია** იცავს, დაცვაში **კახაბერ მჟავანაძე** თამაშობს, ნახევარდაცვაში კი **გიორგი ნავალოვსკი** და **დავით ოდიკაძე**.

„ინტერი" სასწაულებრივ გაჩემპიონდა, საკმარისი იყო ბოლო ორ ტურში „ხაზარს" ერთი მატჩი მაინც მოეგო და ჩემპიონი ხდებოდა, ლენქორანელებმა კი ორივე წააგეს. განსაკუთრებით მწარე შაბათის მარცხი იყო ლენქორანში, 16 ათასი გულშემატკივრის თვალწინ („ბაქოსთან" - 0:1). ამით სრულად ისარგებლა ცხადაძის გუნდმა, „შაფას" სტადიონზე „გაბალა" 4:1 გაანადგურა და 29 ქულა დააგროვა, ერთით მეტი, ვიდრე მე-2 ადგილზე გასულმა „ბაქომ". სამი გოლი **რობერტას პოშკუსის** ანგარიშზეა, ერთიც **პეტარ ზლატინოვმა** პენალტით გაიტანა. გამარჯვებულთა რიგებში ოთხივე ჩვენებურმა 90-90 წუთი ითამაშა. დამარცხებულთა შორის მე-11 წუთზე ტრავმის გამო შეცვალეს **გოგა ბერაია**, ხოლო **რევაზ გეწაძემ** შეუცვლელად ითამაშა.

*„თამაშის წინ ჩემპიონობის მცირე შანსი გვქონდა და ჩვენ ეს შანსი სრულად გამოვიყენეთ. მადლობა „ბაქოს" ფეხბურთელებს, რომლებიც თავიანთი პრესტიჟისთვის ბოლომდე იბრძოდნენ. მოხარული ვარ ჩემპიონობის"*, - განაცხადა კახა ცხადაძემ მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე.

„ნეფთჩიმ" და „ყარაბაღმა" 0:0 ითამაშეს. მასპინძლებს ვალერი აბრამიძე სათადარიგოთა სკამზე ჰყავდათ, ხოლო სტუმარმა **გიორგი ადამიამ** შეუცვლელად ითამაშა. გიორგიმ გუნდთან ერთად (27 ქულა) ბრინჯაოს მედლები მოიგო, „ნეფთჩი" (23 ქულა) მე-5 ადგილს დასჯერდა, „გაბალა" (20) - მეექვსეს.

საფრანგეთის პირველობა დასრულდა, **გიორგი მაკარიძისა** და **ამირან სანაიას** „ლე მანი" 32 ქულით მე-18 ადგილზე გავიდა და ლიგა 1-დან გავარდა. **გია გურულის** შემდეგ ძალიან დიდი ხანი (თითქმის 16 წელიწადი) არ გვყოლია წარმომადგენელი საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში. ეს ცუდი ტრადიცია გიორგი მაკარიძემ დაარღვია, რომელმაც ჩემპიონატში ორჯერ მოირგო „ლე მანის" მაისური. და ახლა ისევ პაუზის დრო დადგა, იმედია, ამჯერად პაუზა მცირეხნიანი იქნება. ბოლო ტურში „ლე მანი" „ლიონს" ეწვია, ეომა, მაგრამ 0:2 დამარცხდა. გიორგი კვლავ სათადარიგოს როლით დაკმაყოფილდა, კარში კი **დიდიე ოვონო** იდგა. იმედია, ლიგა 2-ში ქართველი გოლკიპერი გუნდის პირველი მეკარე გახდება, ხოლო „ლე მანი" უმაღლეს დივიზიონს დაუბრუნდება.

იტალიაში სერია ა-ს გათამაშება დასრულდა, **კახა კალაძის** „მილანმა" 70 ქულით მე-3 ადგილი მოიპოვა. ბოლო ტურში „მილანმა" 3:0 მოუგო „იუვენტუსს", კახას ადგილი განაცხადში ვერც ბოლო ტურში მოიძებნა.

**ილია კანდელაკი** ავსტრიის თასის მფლობელია! ფინალში „შტურმმა" 1:0 სძლია „ნოიშტადტს". ილიამ მარცხენა მცველის პოზიციაზე შეუცვლელად ითამაშა.

დრამატულად დასრულდა ისრაელის ჩემპიონატი, რომელშიც თითქოს კარგა ხნის წინ იყო გარკვეული, რომ ჰაიფას „მაქაბი" მოიგებდა. მაგრამ ბოლო ტურში თელ ავივის „ბლუმფილდზე" ჰაპოელმა ტიტული დაკარგა და სეზონის ნაღვაწი წყალში ჩაყარა.

>> მე-5 გვერდზე



ინტერვიუ

**ბექა გოცირიძე**

# თუ შვეიცარიასთან ვითამაშე, ეს საერთოდ სასწაული იქნება

## გოცირიძე დნიპროდან იჯარით წასვლაზე ფიქრობს

**ბექა გოცირიძის დიდ ფეხბურთში დაბრუნება ნამდვილი სასწაულია. უმძიმესი ავტოავარიის შემდეგ მას თითქმის გადაეწურა კარიერის გაგრძელების იმედი, მაგრამ მაინც მოახერხა მოედანზე დაბრუნება. ელენთაამოჭრილი თავდამსხმელი ჯერ „დნიპროს" დუბლებში თამაშობს და ბოლო ტურებში გოლებიც გაიტანა...**

**უკრაინის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ბექა თბილისში დაბრუნდა, დაოჯახდა (რასაც რედაქციის სახელით ვულოცავთ) და დარწმუნებულია, რომ დიდ ფეხბურთში თავის სიტყვას იტყვის.**

**- ბექა, უპირველეს ყოვლისა, დიდ ფეხბურთში დაბრუნებას გილოცავთ...**

- დიდი მადლობა! ეს ჩემთვის მეორე სიცოცხლეს ნიშნავს. ვერ წარმოიდგენთ, თუნდაც „დნიპროს" დუბლებში თამაშმა როგორ გამახარა.

**- ეს ყველაფერი ნამდვილი საოცრებაა. როგორ მოახერხეთ ფორმის აღდგენა?**

- ჩვეულებრივად, რეჟიმს ვიცავდი და მონდომებით ვვარჯიშობდი. საერთოდ, რისკიანი ვარ და გამიმართლა კიდეც.

**- ელენთა ორგანიზმისთვის ერთგვარი სიგნალიზაციაა, რომელიც გადატვირთვის დროს ირთვება და გაჩერებს, რომ არ გადაიწვა. ელენთაამოჭრილს სწორედ ამ გადატვირთვის ზღვარის შერჩევა მოეთხოვება. ამას ახერხებ?**

- არანაირი პრობლემა არ არის, ჩვეულებრივად ვვარჯიშობ და ვთამაშობ.

**- ჩვეულებრივად?!**

- ვიგულისხმე ის, რომ პრობლემა ნაკლებად მაწუხებს. რა თქმა უნდა, როგორც ავარიამდე ვიყავი, ისე ჯერ ვერ ვიქნები. რაც არ უნდა იყოს, 9 თვე ჯანმრთელსაც რომ გაგიცდეს, კონდიციების აღდგენა მაინც გჭირდება. თუმცა ნელ-ნელა თავს საკმაოდ დიდ პროგრესს ვატყობ და ძველ ფორმას ვიბრუნებ. ვიცი და ვგრძნობ, რომ ეს



დრო მალე დადგება. ბოლო ორ ტურში ორი გოლი გავიტანე და ამან კიდევ უფრო დამაიმედა. მართალია, დუბლებში ვითამაშე, მაგრამ იქ თამაშობენ მოტივირებული ახალგაზრდები, რომელთაც ძირითადში მოხვედრის პრეტენზია აქვთ და ყველა შეხვედრაში თავს იკლავენ. ასე რომ, ეს ტურნირიც არ არის იოლი სათამაშო. სხვათა შორის, „ვორსკლასთან" საკმაოდ ლამაზი გოლიც გავიტანე.

**- როგორც თქვენმა თანაგუნდელმა უჩა ლობჟანიძემ გვითხრა, თურმე „დნიპროს" ძირითადებში ვარჯიშობთ...**

- დიახ, ძირითადში ბოლო დროს გადამიყვანეს და მაკვირდებიან. თუმცა დუბლებშიც ვვარჯიშობ და ვთამაშობ.

**- თქვენი აზრით, ზაფხულში „დნიპროში" დაბრუნება რეალურია?**

- ძირითადში მძაფრი კონკურენციაა და ჯერ კიდევ არ ვიცი, ეს ამ ზაფხულსვე მოხერხდება თუ არა. არ არის გამორიცხული, განათხოვრებით დროებით სხვა გუნდში წავიდე. უმაღლეს ლიგაში სათამაშო პრაქტიკა აუცილებლად მჭირდება. არ ვიცი, „დნიპრო" ამას დათანხმდება თუ არა. მოსამზადებელი ეტაპი რომ დაიწყება, იჯარის საკითხსაც ზაფხულში გავარკვევ.

**- რამდენი გიკლიათ სასურველ ფორმამდე?**

- რა გითხრათ... მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავია, ეს აუცილებელია და მჯერა, დაკარგულს აუცილებლად ავინაზღაურებ.

**- ბურთის შეგრძნება ხომ არ დაკარგეთ?**

- ცხრათვიანი პაუზის შემდეგ ბურთს ძველებურად მართლა ვერ ვგრძნობდი, მაგრამ ახლა ჩვეულებრივად ვიმორჩილებ. პრობლემა უფრო გამძლეობაა, მატჩის ბოლოს ვილლები, მაგრამ ესეც მოგვარდება, დრო ყველაფრის მკურნალია.

**- ფსიქოლოგიური პრობლემა ხომ არ გაქვთ?**

- როგორც კი მოედანზე დავბრუნდი და ვითამაშე, ძველებურად თავდაჯერებული გავხდი. ახლა დავოჯახდი და მეუღლეც გვერდში დამიდგება. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავია.

**- ამ ყველაფრის მიუხედავადაც მოულოდნელი იყო, ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულ ნაკრებში რომ მიგიწვიათ...**

- თქვენ არ იცით, როგორ ველოდი ამ მიწვევას. ბატონმა ოთარმა შანსი მომცა და ძალიან გამახარა. დაიწყება შეკრება, დამაკვირდება და ნახავს, როგორ გამოვიყურები. თუ შვეიცარიასთან მათამაშა, ეს საერთოდ სასწაული იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგიონის უქმეები

« მე-4 გვერდიდან

ადგილობრივი „ბნეი იეჰუდა“ „მაქაბის“ 1:1 დაუზავდა, რითაც საქმე თანაქალაქელ „ჰაპოელს“ გაუკეთა. **ლადო დვალიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, თუმცა „ბნეი იეჰუდას“ კარში გოლი ვერ გაიტანა. 24 წლის ქართველმა ფორვარდმა ჩემპიონატში 16 გოლი გაიტანა. როგორ ვთქვათ, რომ ურიგო მონაგარია, მაგრამ ლადომ ბოლო 15 თამაშში მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ „მაქაბის“ მწვრთნელის ასისტენტი **გიორგი დარასელიაა**. „მაქაბიმ“ 49 ქულა მოაგროვა, ზუსტად ამდენივე ქულა აქვს **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელს“, მაგრამ ამ უკანასკნელს გოლების უკეთესი სხვაობა აქვს (+61 +56-ის წინააღმდეგ) და „ჰაპოელი“ ისრაელის ჩემპიონია. გუნდმა ახლახან ისრაელის თასიც მოიგო. ასე რომ, ზურაბ მენთეშაშვილი ორი ტიტულით დაიხუნძლა. ბოლო ტურში მენთეშაშვილის გუნდი იერუსალიმის „ბეითარს“ ესტუმრა და 2:1 მოუგო, ჩვენებური სათადარიგო იყო და ის მოედანზე არ შემოსულა.

რანგით დაბალ ლეუმითლიგაში სეზონში მე-14 გოლი გაიტანა **გაგა ჩხეტიანმა**, თუმცა ჩემპიონატის ბომბარდირი 18 გოლით სხვა ქართველი, **კოკა მიკუჩაძე** გახდა. ლეუმითლიგის შესახებ დაწვრილებით ხვალ მოგითხრობთ.

ჩეხეთში დასრულდა გამბრინუსლიგის მორიგი სეზონი. ბოლო ტურის წინ უკვე გადარჩენის ყველა შანსი ჰქონდა დაკარგული **დიმიტრი ტატანაშვილის** „კლადნოს“. ქართველი ფორვარდის გუნდმა ბოლო ტურშიც წააგო შინ „ლიბერეცთან“ და ტურნირი 25 ქულით ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა. ჩვენებურს ბოლო ტურში აღარც უთამაშია.

უნგრეთში შოპრონილიგის 28-ე ტურში „დიორი ეტომ“ ბუდაპეშტის მტკ 2:0 დაამარცხა. „ეტო“ 53 ქულით მე-3 ადგილზეა და ევროპის ლიგის საგზურის შესანარჩუნებლად ორ ტურში 2-ქულიანი ჰანდიკა-



პი არ უნდა გაანიავოს („უიპეშტი“ 51 ქულით მე-4 ადგილზეა). ამ მატჩში 91-ე წუთზე შეცვალეს **რატი ალექსიძე** (შეფასება - 5), მის ნაცვლად **თეიმურაზ შარაშენიძე** გამოვიდა. სხვა ქართველებს კი „ეტოს“ ძირითად გუნდში არ უთამაშიათ. 84-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა კოლტაიმ რატის პასით გაიტანა მეორე გოლი მტკ-ს კარში.

დანიაში დიდი ხანია ტრავმის გამო ვერ თამაშობს **დავით დევდარიანი**, მის არყოფნაში კი „ორჰუსმა“ ისე გაიუარესა საქმე, რომ სასლიგიდან გავარდა. ბოლო ტურში „ორჰუსი“ 0:3 დამარცხდა „ოდენსესთან“. ქართველის გუნდი 38 ქულით ბოლოსწინაზე გავიდა და მომავალ ტურში ვიასატლიგაში ითამაშებს, **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგთან“ ერთად.

პოლონეთში დასრულდა ექსტრაკლასა, **კობა შალამბერიძის** „ოდრა“ 27 ქულით ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და დაემშვიდობა უმაღლეს დივიზიონს. ბოლო ტურში „ოდრა“ „ვისლას“ კრაკოვში ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. ჩვენებურს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

რუმინეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში „გაზ მეთანმა“ 5:0 გაანადგურა „ალბა“. ამ შეხვედრაში გოლი გაიტანა **აკაკი ხუბუტიამ**, 71-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური ჩამოაწოდეს და ქართველმა მცველმა თავით გაიტანა. „გაზ მეთანი“ 42 ქულით მე-10 ადგილზეა.

რუსულ პრემიერლიგაში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. ნალჩიკის „სპარტაკი“ ნელ-ნელა შორდება ლიდერებს, შაბათს ქართველთა გუნდმა სტუმრად „ტომთან“ 0:1 დათმო. ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ **დავით სირაძეს** (ტრავმირებულია) და **გოგიტა გოგუას**. გოგუას გარეშე „სპარტაკი“ უკბილოდ უტევდა. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** (შეფასება - 5,5) შეუცვლელად ითამაშა. „სპარტაკი“ 19 ქულით მე-4 ადგილზეა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ „ამკარი“ 2:0 დაამარცხა. მე-16 წუთზე **მალხაზ ასათიანის** (შეფასება - 6) ნაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო გოლად **ალექსანდრ ალიევმა** აქცია. „ლოკომოტივს“ 15 ქულა აქვს და მე-8 ადგილზეა, გუნდის ქართველი ვიცე-კაპიტანი კი ყველას აფრთხილებს, ჯერ ნუ ჩამოგვწერთ საჩემპიონო დოლიდანო. წინა დღით „რუბინი“ შინ ცსკა-სთან დამარცხდა - 0:1 (**ლაშა სალუქვაძე** განაცხადშიც არ იყო), ხოლო „ტერეკმა“ 2:0 მოუგო „სატურნს“ (**ლევან გვაზავა** სათადარიგო იყო). „რუბინი“ 20 ქულით მე-3 ადგილზეა, „ტერეკი“ 14 ქულით მეცხრეზეა. რუსეთის ჩემპიონატში ივლისამდე შესვენება გამოცხადდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საფრანგეთი

XXXVIII ტური

| | |
|---|---|
| ბულონი-რენი | 1:0 |
| ლანსი-ბორდო | 4:3 |
| ლორიანი-ლილი | 2:1 |
| ლიონი-ლე მანი | 2:0 |
| მარსელი-გრენობლი | 2:0 |
| ნანსი-ვალანსი | 1:1 |
| ნიცა-სტ. ეტიენი | 1:1 |
| პსჟ-მონპელიე | 1:3 |
| სოშო-ოსერი | 1:2 |
| ტულუზა-მონაკო | 0:0 |

### II დივიზიონი

XXXVIII ტური

გინგამი-აიაჩო 2:1; დიჟონი-ანჟერსი 2:2; ლავალი-ბრესტი 1:2; ნანტი-კაენი 1:3; არლი-კლერმონი 1:0; ბასტია-ისტრი 2:0; ჰავრი-სედანი 3:1; შატორუ-სტრასბური 2:1; ნიმი-ტური 1:1; მეცი-ვანი 0:1.

## ჰოლანდია

### უეფას პლეი ოფი

| | |
|---|---|
| უტრეხტი-როდა | 4:1 |

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ვილემი-იგლზი | 3:0 დ.დ. |
| სპარტა-ექსელსიორი | 1:1 |

## ბელგია

### უეფას პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სტ. ტრუიდენი-გენკი | 2:3 |

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ეუპენი-ლომელი | 1:0 |
| მონსი-რუზელარე | 2:2 |

## ბელგიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| სერკლი-გენტი | 0:3 |

## პორტუგალიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| შავეში-პორტუ | 1:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-კოუდენბითი | 0:3 |

### II დივიზიონი. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ფორფარი-არბროთ | 2:0 |

## შოტლანდიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| როსი-დანდი | 0:3 |

## ავსტრია

### II დივიზიონი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| სტ. პოლტენი-ლუსტენაუ | 3:0 |
| ავსტრია (ლ)-ავსტრია II | 2:1 |
| ლორნბირნი-ადმირა | 1:8 |
| ჰარტბერგი-ალტახი | 1:1 |
| ზალცბურგი II-გრატკორნი | 1:2 |
| ვენა-ტიროლი | 0:1 |

## კვიპროსის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| აპოელ-აპოლონი | 2:1 |

## დანია

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ჰერფოლგე | 0:0 |
| ორჰუსი-ოდენსე | 0:3 |
| ესბიერგი-ნორდშელანდი | 3:3 |
| კოპენჰაგენი-სონდერილი | 3:1 |
| მიდტიულანდი-სილკებორგი | 3:0 |
| რანდერსი-ბრონდბიუ | 1:3 |

### II დივიზიონი

XXV ტური

ვეილე-აკადემისკი 0:0; ბრაბრანდი-ჰორსენსი 0:2; როსკილდე-ფრედერისია 0:1; ვესტსიელანდი-ფინი 2:0; ჰვიდოვრე-ლუნგბიუ 0:0; კოლდინგი-ვიბორგი 2:0; სკივე-ფრემი 0:1; ტისტედი-ნაესტვედი 0:3.

## ფინეთი

V ტური

| | |
|---|---|
| ლაჰტი-მიუპა | 0:2 |
| ტურკუ-ინტერი | 2:2 |
| ოულუ-მარიეჰამნი | 0:0 |
| იარო-ვაასა | 3:2 |
| ჰონკა-ჰიკ | 3:1 |
| ტამპერე-ჰაკა | დღეს |
| კუოპიო-იევასკილა | დღეს |

### II დივიზიონი

IV ტური

კლუბი 04-ოპს 1:4; ჰოპა-როვანიემი 0:2; კპვ-ესპოო 1:2; იიპო-ტპვ ტამპერე 0:0; ჰამეენლინა-მიკელი 0:1; კემი-ვიიკინგიტი 1:0; ჰკ35-კოტპვ 1:2.

## მექსიკა

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| სანტოსი-მორელია | 7:1 |
| ტოლუკა-პაჩუკა | 1:0 |

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

V ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-არისი | 0:0 |
| პაოკ-აეკ | 1:0 |

### II დივიზიონი

XXXIV ტური

ანაგენისი-კალამატა 2:0; ეგალეო-აგროტიკოსი 0:2; ეთნიკოსი (ა)-დიაგორასი 1:0; ეთნიკოსი (პ)-ოლიმპიაკოსი (ვ) 2:1; კერკირა-პიერიკოსი 0:0; ოფი-დოხა 3:1; პანაიტოლიკოსი-ილიუპოლი 4:1; როდოსი-იონიკოსი 1:2; ტრასივულოსი-პანსერაიკოსი 0:0.

## ისლანდია

II ტური

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ფრამი | 2:2 |
| ფილკირი-სტიარნანი | 3:1 |
| რეიკიავიკი-სელფოსი | 1:2 |
| ჰაუკარი-ჰაფნარი | 0:1 |
| ვალური-ვესტმანაეიარი | დღეს |
| გრინდავიკი-კეფლავიკი | დღეს |

## ირლანდია

XIV ტური

| | |
|---|---|
| დანდალკი-გალვეი | 0:0 |
| უნივერსიტი-შემროკი | 1:2 |
| სლიგო-დროგედა | 6:0 |

### II დივიზიონი

XII ტური

ლიმერიკი-მერვუ 2:0; ფინ ჰარბსი-ლონგფორდი 2:0; მონეგანი-შელბურნი 0:2; უექსფორდი-უოტერფორდი 1:0; კორკი-დერი 1:1; ეთლონი-სოლტჰილი 2:2.

## ნორვეგია

XII ტური

| | |
|---|---|
| მოლდე-ჰაუგესუნდი | 2:1 |
| ვოლერენგა-ოლესუნდი | 3:0 |
| ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 1:1 |
| რუსენბორგი-ჰონეფოსი | 3:0 |
| სანდეფიორდი-ვიკინგი | 0:0 |
| სტარტი-კონგსვინგერი | 3:0 |
| სტრიომსგოდსეტი-სტაბეკი | 1:3 |
| ბრანი-ლილესტრიომი | 1:1 |

### II დივიზიონი

VIII ტური

სტრიომენი-სოგნდალი 1:2; მიონდალენი-ალტა 0:1; ფრედრიკსტადი-ლოვ ჰამი 1:0; ტრიომსდალენი-სარპსბორგი 1:3; ბოდო გლიმტი-ფოლო 4:0; ლინი-რანჰეიმი 2:3; ნილი-მოსი 4:2; სანდნესი-ბრინი 1:2.

## შვედეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-ჰაკენი | 2:1 |
| ჰალმსტადი-იურგორდენი | 2:0 |
| მიალბიუ-მალმიო | 4:2 |
| გაის-ელფსბორგი | 0:2 |
| გეფლე-გიოტებორგი | 0:0 |
| კალმარი-ჰელსინგბორგი | 1:0 |
| აიკ-ატვიდაბერგი | დღეს |
| ერებრო-ტრელებორგი | დღეს |

### II დივიზიონი

VII ტური

ნორჩოპინგი-დეგერფორსი 3:2; ანგელჰოლმი-ლანდსკრონა 0:1; ასირისკა-ვასბი 1:2; ბრაგე-იონჩოპინგი 4:1; სუნდსვალი-სირიანსკა 5:2; ტროლჰატანი-ლიუნგსკილე 0:1; ფალკენბერგი-იორგრიტე დღეს.

## შვეიცარია

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ბელინცონა-აარაუ | 1:2 |
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 0:1 |
| ქსამაქსი-ციურიხი | 3:3 |
| სიონი-სტ. გალენი | 5:1 |
| იანგ ბოიზი-ბაზელი | 0:2 |

### ჩელენჯლიგა

XXX ტური

გოსაუ-თუნი 2:6; კრინსი-ლოკარნო 6:2; ლე მონი-სერვეტი 1:2; ლუგანო-ვადუცი 1:1; შაფჰაუზენი-სტად ნიონე 1:3; ვილი-ლოზანა 4:2; ვინტერტური-ვოლენი 4:3; ივერდონი-ბილი 2:0.

## თურქეთი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| ანტალია-კაისერი | 4:0 |
| დენიზლი-გაზიანთეპი | 1:1 |
| დიარბაკირი-ესკიშეჰირი | 0:2 |
| ბუიუქშეჰირი-ანკარა | 3:0 |
| სივასი-ანკარაგიუჯუ | 3:3 |
| მანისა-კასიმფაშა | 0:0 |
| ბურსა-ბეშიქთაში | 2:1 |
| ფენერბახჩე-ტრაბზონი | 1:1 |
| გენჩლერი-გალათასარაი | 2:1 |

## ბელარუსი

X ტური

| | |
|---|---|
| ნემანი-ნაფტანი | 0:0 |
| შახტიორი-ბატე | 0:0 |
| ბელშინა-ვიტებსკი | 0:0 |
| დინამო (ბრ)-დინამო (მნ) | 1:2 |
| მინსკი-პარტიზანი | 3:0 |
| ტორპედო-დნეპრი | 2:3 |

## რუსეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ამკარი | 2:0 |
| ტომი-ნალჩიკი | 1:0 |
| დინამო-ალანია | 2:0 |

## ბოსნია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ცელიკი-ზვიეზდა | 4:2 |
| ლაკტაში-სლავია | 4:1 |
| ლეოტარი-ზრინსკი | 2:3 |
| მოდრიჩა-სლობოდა | 0:4 |
| სარაევო-ჟელეზნიჩარი | 0:0 |
| ველეჟი-ბორაცი | 2:0 |
| ოლიმპიკი-რუდარი | 3:1 |
| ტრავნიკი-შიროკი ბრიეგი | 1:2 |

## ბულგარეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბეროე-სლავია | 0:1 |
| ჩერნო მორე-მონტანა | 2:1 |
| ჩერნომორეცი-ცსკა | 2:0 |
| ლევსკი-სლივენი | 2:0 |
| ლოკომოტივი (მ)-მინიორი | 0:1 |
| ლოკომოტივი (პ)-ლოკომოტივი (ს) | 2:1 |
| პირინი-ბოტევი | 3:0 |
| სპორტინგი-ლიტექსი | 2:4 |

## ჩეხეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბრნო-ბოჰემიანსი 1905 | 1:2 |
| იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| კლადნო-ლიბერეცი | 1:2 |
| ბოლესლავი-სლავია | 0:1 |
| სიგმა-ბოჰემიანსი | 3:0 |
| პლზენი-სლოვაცკო | 2:2 |
| პრშიბრამი-ბანიკი | 1:1 |
| სპარტა-ტეპლიცე | 1:0 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

დუკლა-ზლინი 3:2; ვიტკოვიცე-კარვინა 1:1; სოკოლოვი-ვიქტორია 1:2; სპარტა II-უსტი 1:2; ტრშინეცი-ვლაშიმი 2:1; მოსტი-პრადეცი 1:1; ოპავა-ჰლუჩინი 0:1; ჩასლავი-იჰლავა 0:3.

## ესტონეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-ფლორა | 1:2 |
| ტრანს ნარვა-პაიდე | 4:1 |
| კალიუ-კალევი | 2:1 |
| ლევადია-ლოოტუსი | 5:1 |
| ტამეკა-ტულევიკი | 2:0 |

## უნგრეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-ვაშაში | 3:0 |
| დიოშდიორი-ფერენცვაროში | 0:1 |
| უიპეშტი-დებრეცენი | 2:1 |
| ჰონვედი-ნირეღიჰაზა | 1:1 |
| ლომბარდ პაპა-პაქში | 1:0 |
| დიორი-მტკ | 2:0 |
| ჰალადაში-ზალაეგერსეგი | 1:1 |
| კეჩკემეტი-კაპოშვარი | გადაიდო |

## ლატვია

VI ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-ვენტსპილსი | 1:0 |
| ტრანზიტსი-იურმალა | 1:1 |
| სკონტო-იაუნიბა | 7:0 |
| მეტალურგსი-იელგავა | 3:1 |
| ბლაზმა-ოლიმპსი | 2:0 |

## მოლდოვა

XX ტური

| | |
|---|---|
| ცსკა-ოლიმპია | 0:0 |
| დინამო-სფინტული | 5:3 |
| აკადემია-დაჩია | 3:1 |
| ვიიტორული-ისკრა | 1:3 |
| ზიმბრუ-ნისტრუ | 2:1 |
| ტირასპოლი-შერიფი | 0:2 |

## პოლონეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| კორონა-რუხი | 3:0 |
| ლეხი-ზაგლები | 2:0 |
| ლეჩია-იაგელონია | 2:0 |
| ლეგია-ბელხატოვი | 2:2 |
| პიასტი-კრაკოვია | 0:1 |
| პოლონია (ბ)-პოლონია (ვ) | 1:0 |
| შლიონსკი-არკა | 2:1 |
| ვისლა-ოდრა | 1:1 |

## რუმინეთი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-უნირეა (ა) | 5:0 |
| კლუჟი-ინტერნაციონალი | 2:1 |
| გლორია-პოლიტეხნიკა | 5:0 |
| დინამო-ასტრა | 3:3 |
| ბრაშოვი-რაპიდი | 1:1 |
| სტიაუა-უნივერსიტატეა | 2:0 |
| ოტელული-ვასლუი | დღეს |
| უნირეა (უ)-ჩახლაული | დღეს |
| პანდური-ტიმიშოარა | დღეს |

## სერბეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ბორჩა-ოფკ | 1:0 |
| ჩუკარიჩკი-ბორაცი | 1:0 |
| სპარტაკი-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ჰაიდუკი-იავორი | 1:1 |
| იაგოდინა-სარტიდი | 2:0 |
| პარტიზანი-მლადი | 6:0 |
| რადი-მეტალაცი | 3:0 |
| ვოივოდინა-ნაპრედაკი | 7:0 |

## რუსეთის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ზენიტი-სიბირი | 1:0 |

## სლოვაკეთი

XXXIII ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ჟილინა | 1:1 |
| დ. სტრედა-ტრნავა | 2:1 |
| დუბნიცა-კოშიცე | 1:1 |
| ნიტრა-სლოვანი | 2:5 |
| პეტრჟალკა-ინტერი | 1:2 |
| ტატრანი-რუჟომბეროკი | 0:0 |

## სლოვენია

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-კოპერი | 1:2 |
| დომჟალე-პუბლიკუმი | 2:2 |
| მარიბორი-ინტერბლოკი | 1:0 |
| ოლიმპია-დრავა | 2:0 |
| რუდარი-გორიცა | 2:3 |

## უკრაინის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ტავრია-მეტალურგი (დ) | 3:2 დ.დ. |

## არგენტინა

XIX ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-გოდოი | 1:2 |
| სან ლორენსო-ნიუელსი | 2:1 |
| ბანფილდი-ბოკა ხუნიორსი | 3:0 |
| ჩაკარიტა-რასინგი | 1:2 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ატლეტიკო | 3:3 |
| რივერ პლეიტი-ტიგრე | 1:5 |
| ინდეპენდიენტე-ლანუსი | 1:0 |
| როსარიო-ველესი | 0:0 |
| კოლონი-ესტუდიანტესი | 1:4 |
| ურაკანი-არგ. ხუნიორსი | 1:2 |

## ბრაზილია

II ტური

| | |
|---|---|
| ფლუმინენსე-ატ. გოიანიენსე | 1:0 |
| გრემიო პრუდენტე-ატ. მინეირო | 4:0 |
| ვიტორია-ფლამენგო | 1:1 |
| გოიაში-ინტერნასიონალი | 2:3 |
| გრემიო-კორინთიანსი | 1:2 |
| სანტოსი-სეარა | 1:1 |
| სან პაულო-ბოტაფოგო | 1:2 |

## კოლუმბია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კინდიო-დეპ. პერეირა | 1:0 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. ტოლიმა | 1:0 |
| მილიონარიოსი-ინდეპენდიენტე | 3:1 |
| ატ. უილა-სანტა ფე | 3:0 |
| ხუნიორი-ენვიგადო | 2:0 |
| ჩიკო-ამერიკა | 1:0 |
| კუკუტა-რეალ კარტახენა | 2:0 |
| დეპ. კალი-ლა ეკიდადი | 0:0 |
| ონსე კალდასი-კორტულუა | 2:1 |

## პერუ

XIV ტური

| | |
|---|---|
| ტოტალ ჩალაკო-სესარ ვალეხო | 0:0 |
| ინტი გასი-კ. ნასიონალი | 2:0 |
| სპორტ ბოისი-მელგარი | 2:0 |
| ალ. ატლეტიკო-სპორტი | 2:1 |
| სიენსიანო-ტოტალ ჩალაკო | 5:2 |
| სან მარტინი-უნივერსიტარიო | 1:1 |
| ხუან აურიჩი-ხოსე გალვესი | 3:0 |

## ურუგვაი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ნასიონალი-პენიაროლი | 0:1 |

## აშშ

IX ტური

| | |
|---|---|
| ფილადელფია-დალასი | 1:1 |
| ნიუ ინგლენდი-სან ხოსე | 0:0 |
| კოლამბუსი-ჩივასი | 1:0 |
| დი სი იუნაიტედი-კოლორადო | 0:1 |
| ნიუ იორკი-სიეტლი | 0:1 |
| კანზასი-ჩიკაგო | 2:2 |
| ლოს ანჯელესი-ტორონტო | 0:0 |

## იაპონია

XII ტური

| | |
|---|---|
| ნიიგატა-იამაგატა | 3:1 |
| ტოკიო-შიმიცუ | 2:2 |
| იოკოჰამა-კიოტო | 2:2 |
| სერეზო-კობე | 2:1 |
| ვეგალტა-ურავა | 1:1 |
| ჯუბილო ივატა-კავასაკი | 3:1 |
| ომია-ჰიროშიმა | 0:0 |
| ნაგოია-კაშიმა | 1:4 |
| შონანი-გამბა | 1:3 |

## ინგლისი

### I ლიგა. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ჰადერსფილდი-მილუოლი | 0:0 |

### II ლიგა. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-როტერემი | 0:1 |
| დაგენემი-მორეკამბი | 6:0 |

### კონფერენსი. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ოქსფორდი-იორკი | 3:1 |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ნიურნბერგი | 0:2 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| პარაგვაი-ჩრ. კორეა | 1:0 |
| ს. კორეა-ეკვადორი | 2:0 |
| ს. აფრიკა-ტაილანდი | 4:0 |
| მექსიკა-ჩილე | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარსა 99: ჩემპიონი რეკორდით

## მესი რონალდოს გაუტოლდა

ესპანეთის ჩემპიონი გახდა ის, ვინც ეს უფრო დაიმსახურა - „ბარსელონამ" ბოლო ტურში მშობლიურ „კამპ ნოუზე" 100 ათასი გულშემატკივრის გასახარად 4:0 გაანადგურა „ვალიადოლიდი" და ესპანეთის ახალი რეკორდით (99 ქულით) ზედიზედ მეორედ გახდა ჩემპიონი. გენიალურმა **ლეო მესიმ** კასტილია ლეონის პროვინცია მომავალი სეზონისთვის პრიმერაში კლუბის გარეშე დატოვა, მან დუბლი შეასრულა და **რონალდოს** მიღწევა გაიმეორა - 1996-97 წლების სეზონში ბრაზილიელმა ფორვარდმა 34 გოლი გაიტანა „ბლაუგრანას" მაისურით. მესიმ ამ გოლებით „პიჩიჩისთან" ერთად ევროპის მთავარი გოლეადორისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუციც" დაიმსახურა.

სეზონის ბოლომდე სდია მადრიდის „რეალმა" „ბარსელონას", მაგრამ ველარაფერს გახდა, ბოლო ტურში „სამეფო კლუბმა" წაიფორხილა, თუმცა კატალონიელთა დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა - ბევრი კი ამტკიცეს, რომ „ელ კლასიკოს" მეორე მატჩი სეზონში გადამწყვეტი ვერ იქნებოდა, მაგრამ ასე კი გამოდგა - „რეალმა" ჩემპიონატი მაშინ წააგო, როცა აპრილში „ბარსასთან" 0:2 დამარცხდა.

„ბარსელონამ" კი სეზონი ისე განვლო მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, 14 თებერვალს „ვისენტე კალდერონზე" „ატლეტიკომ" 2:1 მოუგო **პეპ გვარდიოლას** გუნდს, სულ ეს იყო, 38-დან 31 მატჩში „ბლაუგრანა" გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო 6 შეხვედრა ფრედ დასრულდა. და, რაც მთავარია, მესიმ და კომპანიამ მოუგო ორივე დაპირისპირება უშუალო კონკურენტ „რეალს" (ჯამში 3:0). ეს ტიტული „ბარსელონასთვის" საიუბილეო, მე-20-ეა.

„ვალიადოლიდთან" მატჩი სიკვდილ-სიცოცხლის კატეგორიისა იყო სტუმართათვის, **ხავიერ კლემენტეს** გუნდი პრიმერადან დაქვეითების საფრთხის წინაშე იდგა. თავის მხრივ, „ბარსას" აპელაციამ ვერ გაჭრა და **ჩავი ერნანდესს** გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება არ დართეს. ამ ორი მიზეზით თამაში მასპინძლებმა ნერვიულად, სტუმრებმა კი შემტევ სტილში დაიწყეს.

მე-5 წუთზე სტუმრებს გატანის ასპროცენტიანი შანსი **ვიქტორ ვალდესმა** აჩუქა. ის **ჟერარდ პიკეს** პასმა დააბნია, **ანტონიო ბარაგანმა** მას ბურთი მოპარა, მაგრამ **მანუჩომ** ცარიელ კარში ვერ გაიტანა - **კარლეს პუიოლმა** იხსნა „ბარსელონა" აშკარა გოლისაგან. შემდეგ ვალდესის მორიგი შეცდომით **ხავიერ ბარახამ** ისარგებლა, მისი დარტყმული კი კუთხურზე გადავიდა. მე-9 წუთზე ახლა პიკემ ითამაშა სუსტად, ბურთი **პელეს** მიუვიდა, მაგრამ პორტუგალიელის დარტყმული კუთხურზე მოიგერიეს.

ბოლოს და ბოლოს ეს უნდა დასრულებულიყო და პირველი სიგნალი **სეიდუ კეიტას** შორეული გასროლა იყო, ნელ-ნელა „ბარსელონამ" ბურთის კონტროლი ჩაიგდო ხელთ და სინათლეზე ლეო მესიც გამოვიდა. მე-17 წუთზე არგენტინელის პირველი დარტყმა **ხაკობომ** იოლად აიღო. 22-ე წუთზე მას გატანა მართებდა, **ტურეს** შორეული დარტყმული პელემ თავის თავზე მიიღო, მაგრამ ბურთი მესის მიუვიდა, არგენტინელმა ფორვარდმა არაზუსტად დაარტყა საკმაოდ ხელსაყრელი პოზიციიდან.

სტუმართა კარში გოლი „მწიფდებოდა", მაგრამ ის მოულოდნელ სტილში გავიდა, **პედრო** მარცხნიდან შეიჭრა და მეკარის ბაქანზე ჩააწოდა, მაგრამ **ლუის პრიეტომ** საკუთარ გოლკიპერს ერთი შეხებით ისე დაურტყა, რომ ბურთის ამღები დედამიწის ზურგზე არც ერთი მეკარე არ იყო - 1:0. ამ ავტოგოლმა **ხავიერ კლემენტეს** გუნდი გატეხა და, როგორც აღმოჩნდა, „ვალიადოლიდს" სეგუნდა დივიზიონის საგზურიც მოუპოვა. 4 წუთში კატალონიელებმა ორამდე გაზარდეს უპირატესობა, ყველაფერი მესიმ გააკეთა, თუმცა ვერც საფინიშო დარტყმას დავუწუნებთ ახალგაზრდა ფორვარდს - 2:0. ტაიმი ასე დასრულდა და, ალბათ, გამოუსწორებელ მადრიდისტას თულა სჯეროდა, რომ სასწაული მოხდებოდა. მით უფრო, რომ კონკურენტმა „რეალმა" სულაც წააგო პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში გულშემატკივარს სანახაობა სურდა და მესიზე უკეთ ამ მისიას ვინ იტვირთავდა? 61-ე წუთზე მესიმ სეზონში 33-ე გოლი ახლო მანძილიდან გაიტანა. არგენტინელისთვის მნიშვნელოვანი მეორე გოლი კი 76-ე წუთზე გავიდა, მესიმ პასი იაია ტურესგან მიიღო, ორ მცველს გასცდა და „ფენომენის" რეკორდი გაიმეორა - 4:0. ამის შემდეგ მატჩს მხოლოდ ერთი ინტრიგა შერჩა - შეძლებდა თუ არა მესი რონალდოს რეკორდის დამხობას, „ლა პულგამ" ეს ვერ შეძლო. „ვალიადოლიდი" ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და პრიმერას დაემშვიდობა.

**ჟოან ლაპორტა** („ბარსელონას" პრეზიდენტი): *„ჩვენ ეს დავიმსახურეთ. წლევანდელი სეზონი იყო საჩემპიონო რბოლით ყველაზე მეტად გამორჩეული და ეს რბოლა „ბარსამ" მოიგო. დღეს ყველაფერი ჩვენზე იყო დამოკიდებული და არც კი გვაინტერესებდა სხვაგან რა ხდებოდა. ვიპ ლოჟაში ხეირიანად ვერ ვიზეიმე, რადგან „ვალიადოლიდი" გავარდა და გუნდის პრეზიდენტი ძალიან ნერვიულობდა. მე კლუბს საუკეთესო წლები ვაჩუქე მისი ისტორიის, იმედია, სხვებიც ასევე გააგრძელებენ".*

**პეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„მადლობა გუნდის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს. მადლობა თქვენ, გულშემატკივრებს. დღეს სხვანაირად არ შეიძლებოდა, ჩვენ უნდა მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც".*

„გალაქტიკოსი" ბოლომდე იბრძოდა, ბოლოს კი წაიფორხილა, „მალაგას" 1:1 დაუზავდა და საბოლოოდ „ბარსას" სამი ქულით ჩამორჩა. „რეალს", რომ მოეგო „სამეფო კლუბისთვის" ბევრი არაფერი შეიცვლებოდა, აი, მეტოქე ,კი ამ ქულის დაკარგვით სეგუნდა დივიზიონში გავარდებოდა. მე-9 წუთზე პორტუგალიელმა ნახევარმცველმა **დუდამ იკერ კასილიასის** კარი დალაშქრა. დუდამ **კაისედოსგან** ქუსლური პასი მიიღო და კასილიასს მარჯვენა კუთხეში გაუტანა. „რეალმა" ამას მხოლოდ ერთი გოლით უპასუხა - 48-ე წუთზე **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** პასი **მარსელოსგან** მიიღო, მის წინ ეგრევე სამი ანდალუსიელი მცველი გაჩნდა, მაგრამ ჰოლანდიელის დარტყმული აუღებელი იყო - 1:1. „მალაგამ" მატჩი ათი კაცით დაასრულა გოლის ავტორი დუდა **ჩაბი ალონსოსთან** ჩხუბისთვის გააძევეს. მატჩის შემდეგ „რეალის" თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** პირველად აღიარა, რომ შეიძლება ამით მისი მწვრთნელობა დასრულდეს „სამეფო კლუბში".

ესპანეთში ყველაფერი გაირკვა, გარდა სამეფო თასის მფლობელისა - ფინალში „ატლეტიკო" „სევილიას" ხვდება, თუკი მადრიდული კლუბი მოიგებს ევროპის ლიგის საგზურს „ვილიარეალი" მოიპოვებს.

ბოლო ტურმა ბევრ კითხვას უპასუხა - მე-4 საჩემპიონთალიგო საგზური „სევილიამ" მოიპოვა. შეცვლაზე შესულმა **როდრიმ** მატჩის 93-ე წუთზე აკრობატულ ნახტომში გაიტანა „ალმერიას" კარში გადამწყვეტი გოლი, რომლის წყალობითაც „სევილიამ" ანდალუსიური დერბი სტუმრად 3:2 მოიგო და „მალიორკას" საშინაო გამარჯვება წყალში ჩაუყარა, ბალეარული გუნდი მე-5 ადგილითა და ევროპის ლიგის საგზურით დაკმაყოფილდა. ამ გათამაშების მეორე საგზური კი **მიჩელის** „ხეტაფეს" დარჩა, რომელმაც მადრიდულ დერბიში სულ თამაშ-თამაშით მოუგო მოზეიმე „ატლეტიკოს".

პრიმერას დატოვებამ საბოლოოდ იმ გუნდებს მოუწიათ, რომლებიც 1-2 თვის წინათ აშკარა აუტსაიდერები იყვნენ, მაგრამ შემდეგ დიდებულად იბრძოლეს და ლა ლიგას ინტრიგა შემატეს. საბოლოოდ მაინც „ვალიადოლიდი", „ტენერიფე" და „ხერესი" ტოვებენ უძლიერესთა კოჰორტას, „რასინგმა" და „მალაგამ" კი ბოლო ტურში გადაირჩინეს თავი. პრიმერა აგვისტოს ბოლომდე დაგვემშვიდობა...

**გვერდი მოამზადა**
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




დამსახურებულ ჩემპიონობას ხარობენ

### ბილბაო-დეპორტივო 2:0

**ბილბაო (4-4-2):** არმანდო - ირაოლა, სან ხოსე, უსტარისი, კოიკილი - სუსაეტა, იტურასპე (60. მუნიოსი), მარტინესი (78. გურპეგი), მუნიაინი - ეჩებერია (71. ტოკერო), ფ. ლორენტე.

**დეპორტივო (4-2-3-1):** მანუ - მ. პაბლო, ლოპო, ზე კასტრო, ფილიპე - სერხიო (81. ჟუკა), ტომასი - როდრიგესი, ვალერონი, ადრიანი (26. პერესი) - ლასადი (66. მისტა).

**გოლები:** 1:0 მუნიაინი (19), 2:0 მარტინესი (77)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 12-0; **ჯარიმა:** 17-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 19-13 (5-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 28 000

### სარაგოსა-ვილიარეალი 3:3

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - პულიდო, გონი, იაროშიკი, ობრადოვიჩი - ედმილსონი, გაბი - ანდერი, ხ. ლოპესი, ელიზეუ (78. აგილარი) - კოლუნგა.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა - კანი (77. ესკუდე), იბაგასა (46. სენა), ბრუნო (83. ფუსტერი), კასორლა - ნილმარი, როსი.

**გოლები:** 1:0 ელიზეუ (3), 2:0 კოლუნგა (29), 3:0 პულიდო (35), 3:1 კასორლა (40), 3:2 კასორლა (56), 3:3 როსი (82)

**გაფრთხილება:** 6-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 21-8; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 10-20 (6-13); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 21 000

### ატლეტიკო-ხეტაფე 0:3

**ატლეტიკო (4-2-3-1):** ხოელი - ვალერა, ხუანიტო, დომინგესი, კაბრერა - კამაჩო, ტიაგო (57. ბორხა) - სალვიო, ხურადო (57. რ. გარსია), კოკე - იბრაჰიმა.

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - კორტესი (29. მ. ტორესი), დიასი, ბელენგერი, მანე - კასკერო, სელესტინი - პ. ლეონი, გონსალესი, მანუ (66. პარეხო) - სოლდადო (84. გავილანი).

**გოლები:** 0:1 სოლდადო (13), 0:2 სოლდადო (53), 0:3 პარეხო (86)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** ჽ-11 (4-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 50 000

### ალმერია-სევილია 2:3

**ალმერია (4-3-3):** ესტებანი - მასედო, ჩიკო, აკასიეტე, ხუანმა ორტისი - ბორძანი, კორონა, სორიანო (74. ნიეტო) - კრუსატი (74. კვილო), როდრიგესი, პიატი (74. ხოსე ორტისი).

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი (81. როდრი), სკილაჩი, ესკუდე, ლუნა - ხ. ნავასი, ზოკორა, რენატო, კაპელი (70. პეროტი) - ნეგრედო, კანუტე.

**გოლები:** 0:1 კანუტე (16), 1:1 სორიანო (44), 1:2 ჩიკო (52 ს.კ.), 2:2 ხუანმა ორტისი (78), 2:3 როდრი (93)

**გაძევება:** ნეგრედო (64. სევილია)

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 000

### მალიორკა-ესპანიოლი 2:0

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - მატიონი, ნუნიესი, რამისი, აიოსე ვარელა (55. სუარესი), მარტი, ბ. ვალერო (86. პეზოლანო), კასტრო - ადურისი, ვიქტორი (75. ვებო).

**ესპანიოლი (4-4-2):** ალვარესი - რონკალია, ამატი, რუისი, დ. გარსია - მარკესი, ვერდიუ, ფორლინი, ლ. გარსია (63. კორომინასი) - საჰარი (78. აზრაკი), ოსვალდო (47. კალეხონი).

**გოლები:** 1:0 ვიქტორი (23), 2:0 სუარესი (77)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 13-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 12 000

### ბარსელონა-ვალიადოლიდი 4:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში (79. იბრაჰიმოვიჩი), პუიოლი, პიკე, აბიდალი - ტურე, ბუსკეტსი, კეიტა - მესი, კრკიჩი (77. ანრი), პედრო (85. ინიესტა).

**ვალიადოლიდი (5-4-1):** ხაკობო - პ. ლოპესი, პრიეტო (61. ფონტი), რ. ნავასი, სერენო, ბარაგანი - სესმა (46. ალემანი), ბარახა, პელე, დ. კოშტა - მანუჩო (77. კეკო).

**გოლები:** 1:0 პრიეტო (27-საკ. კარში), 2:0 პედრო (31), 3:0 მესი (61), 4:0 მესი (75)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-20; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14-10 (7-4); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 98 772

### მალაგა-რეალი 1:1

**მალაგა (4-2-3-1):** მუნუა - გამესი, გონსალოსი, როსარიო, მტილიგა - ფერნანდო, აპონიო - ხ. ლოპესი (78. ხუანიტო), ბენაშური (82. ლუკე), დუდა - კაისედო (59. ობინა).

**რეალი (4-4-2):** კასილიასი - ს. რამოსი, ალბიოლი, გარაი, მარსელო - გრანერო (71. ბენზემა), გაგო (59. გუტი), ვან დერ ვაარტი (80. დრენტე) - იგუაინი, რონალდო.

**გოლები:** 1:0 დუდა (9), 1:1 ვან დერ ვაარტი (48)

**გაძევება:** დუდა (90. მალაგა)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 24-20; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 8-19 (3-9); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 27 000

### ვალენსია-ტენერიფე 1:0

**ვალენსია (4-2-3-1):** მოია - მიგელი, მადურო, ალექსისი, ალბა (70. მატიო) - ფერნანდეში (75. მარჩენა), ბარახა (88. ბანეგა) - პ. ერნანდესი, დომინგესი, ვისენტე - ჟიგიჩი.

**ტენერიფე (4-2-3-1):** არაგონესესი - ლუნა, კულებრასი, სისილია, რიკარდო (74. დინეი) - მ. ალონსო, რომანი - ხუანლუ (60. ომარი), ალფარო (85. ანხელი), ექტორი - ნინო.

**გოლი:** 1:0 ალექსისი (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 13-6; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 20-11 (8-2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 40 000

### რასინგი-სპორტინგი 2:0

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - პინილიოსი, ტორეხონი, ორიოლი, კრისტიანი - არანა (66. მორალი), ლასენი, დიოპი, კანალესი - ბოლადო (81. ბედია), ტჩიტე (65. სისკო).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - სასტრე, ერნანდესი, გრეგორი, ანხელი - ლოლა, ალვარესი - პედრო, კარმელო (54. მალდონადო), დე ლას კუევასი (46. მუნისი) - ბარალი (57. ნავარო).

**გოლები:** 1:0 ტჩიტე (34), 2:0 ტჩიტე (54)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 12-0; **ჯარიმა:** 15-8; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 23-8 (8-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ოსასუნა-ხერესი 1:1

**ოსასუნა (4-2-3-1):** რობერტო - ასპილიკუეტა, ხოსეჩო, ფლანიო, მონრეალი - პუნიალი, რუპერი - მასუდი, ვადოში, კალეხა (67. ესკარსა) - დადი (67. გალანი).

**ხერესი (4-2-3-1):** რენანი - ფრანსისი (57. მომო), პრიეტო, ხიოდა, კასადო - სანჩესი, ბერგანტინიოსი (75. მიჩელი) - ორელანა, კალვო (57. ანტონიტო), არმენტეროსი - ბერმეხო.

**გოლები:** 1:0 დადი (55), 1:1 ანტონიტო (61)

**გაძევება:** ორელანა (92. ხერესი)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 9-17 (4-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 16 000

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 38 | 31 | 6 | 1 | 98-24 | 99 |
| 2. რეალი | 38 | 31 | 3 | 4 | 102-35 | 96 |
| 3. ვალენსია | 38 | 21 | 8 | 9 | 59-40 | 71 |
| 4. სევილია | 38 | 19 | 6 | 13 | 65-49 | 63 |
| 5. მალიორკა | 38 | 18 | 8 | 12 | 59-44 | 62 |
| 6. ხეტაფე | 38 | 17 | 7 | 14 | 58-48 | 58 |
| 7. ვილიარეალი | 38 | 16 | 8 | 14 | 58-57 | 56 |
| 8. ბილბაო | 38 | 15 | 9 | 14 | 50-53 | 54 |
| 9. ატლეტიკო | 38 | 13 | 8 | 17 | 57-61 | 47 |
| 10. დეპორტივო | 38 | 13 | 8 | 17 | 35-49 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 38 | 11 | 11 | 16 | 29-46 | 44 |
| 12. ოსასუნა | 38 | 11 | 10 | 17 | 37-46 | [illegible] |
| 13. ალმერია | 38 | 10 | 12 | 16 | 43-55 | 42 |
| 14. სარაგოსა | 38 | 10 | 11 | 17 | 46-64 | 41 |
| 15. სპორტინგი | 38 | 9 | 13 | 16 | 36-51 | 40 |
| 16. რასინგი | 38 | 9 | 12 | 17 | 42-59 | 39 |
| 17. მალაგა | 38 | 7 | 16 | 15 | 42-48 | 37 |
| 18. ვალიადოლიდი | 38 | 7 | 15 | 16 | 37-62 | 36 |
| 19. ტენერიფე | 38 | 9 | 9 | 20 | 40-74 | 36 |
| 20. ხერესი | 38 | 8 | 10 | 20 | 38-66 | 34 |

**ბომბარდირები:** 34 - მესი (ბარსელონა); 27 - იგუაინი (რეალი); 26 - რონალდო (რეალი); 21 - ვილია (ვალენსია); 18 - ფორლანი (ატლეტიკო); 16 - იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა), სოლდადო (ხეტაფე); 15 - ლ. ფაბიანო (სევილია); 14 - ნინო (ტენერიფე), ფ. ლორენტე (ბილბაო); 12 - აგუერო (ატლეტიკო), პედრო (ბარსელონა), ადურისი (მალიორკა), ბერმეხო (ხერესი), კანუტე (სევილია); 11 - პანდიანი (ოსასუნა), ნილმარი (ვილიარეალი), ნეგრედო (სევილია), ტჩიტე (რასინგი); 10 - როსი (ვილიარეალი), კასტრო (სპორტინგი).

### სეგუნდა დივიზიონი

### XXXVII ტური

**სოსიედადი-კასტელონი 0:0**

გაძევება: მანტეკონი (74. კასტელონი), რაფიტა (90. კასტელონი), პენდინი (90. კასტელონი)

**კორდობა-უელვა 1:1**

გოლები: 1:0 დიასი (1), 1:1 ფიდელი (83)

**ლევანტე-ალბასეტე 1:1**

გოლები: 0:1 მიგელი (75), 1:1 რაფა (87)

**სალამანკა-კარტახენა 1:0**

გოლი: 1:0 ლინარესი (65)

გაძევება: სიგანი (54. კარტახენა)

**უესკა-უნიონი 2:3**

გოლები: 1:0 ვიეირა (5), 1:1 ბრიტი (47), 1:2 გოიკოეჩეა (83), 1:3 გოიკოეჩეა (86), 2:3 მოისესი (88)

**ხიმნასტიკი-ბეტისი 0:1**

გოლი: 0:1 ემანა (83)

**მურსია-ვილიარეალი B 2:2**

გოლები: 1:0 გილერმო (4), 1:1 რუბენი (32-პენ), 2:1 ესკუდერო (39-პენ), 2:2 ტომასი (89)

**ლას პალმასი-კადისი 1:1**

გოლები: 0:1 ოგბეჩე (20), 1:1 გერერო (60)

გაძევება: ორმასაბალი (59. კადისი)

**ელჩე-სელტა 1:0**

გოლი: 1:0 მოლინა (90)

**ნუმანსია-რაიო ვალეკანო 1:1**

გოლები: 0:1 კასტრო (29), 1:1 ლოპესი (32)

გაძევება: ნაგორე (68. ნუმანსია)

**ხირონა-ერკულესი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 37 | 17 | 14 | 6 | 45-30 | 65 |
| 2. ლევანტე | 37 | 16 | 14 | 7 | 52-34 | 62 |
| 3. კარტახენა | 37 | 17 | 10 | 10 | 53-38 | 61 |
| 4. ერკულესი | 36 | 16 | 11 | 9 | 51-31 | 59 |
| 5. ბეტისი | 37 | 15 | 13 | 9 | 52-37 | 58 |
| 6. ვილიარეალი B | 37 | 15 | 12 | 10 | 56-50 | 57 |
| 7. ელჩე | 37 | 16 | 9 | 12 | 56-47 | 57 |
| 8. ნუმანსია | 37 | 14 | 11 | 12 | 47-42 | 53 |
| 9. უელვა | 37 | 12 | 13 | 12 | 36-37 | 49 |
| 10. კორდობა | 37 | 12 | 13 | 12 | 32-38 | 49 |
| 11. ხიმნასტიკი | 37 | 13 | 9 | 15 | 38-47 | 48 |
| 12. სელტა | 37 | 11 | 13 | 13 | 33-36 | 46 |
| 13. ხირონა | 36 | 12 | 10 | 14 | 42-50 | 46 |
| 14. ვალეკანო | 37 | 11 | 13 | 13 | 58-52 | 46 |
| 15. ლას პალმასი | 37 | 10 | 15 | 12 | 44-45 | 45 |
| 16. ალბასეტე | 37 | 9 | 16 | 12 | 48-54 | 43 |
| 17. უესკა | 37 | 9 | 15 | 13 | 30-36 | 42 |
| 18. სალამანკა | 37 | 10 | 11 | 16 | 36-51 | 41 |
| 19. კადისი | 37 | 9 | 14 | 14 | 40-57 | 41 |
| 20. მურსია | 37 | 8 | 16 | 13 | 41-47 | 40 |
| 21. უნიონი | 37 | 10 | 10 | 17 | 34-46 | 40 |
| 22. კასტელონი | 37 | 7 | 12 | 18 | 33-52 | 33 |

**ბომბარდირები:** 18 - მილინა (ელჩე); 17 - ვერდიუ (კარტახენა); 16 - სტუანი (ალბასეტე); 15 - რუბენი (ვილიარეალი); 13 - დიასი (კორდობა); 12 - დე ლუკასი (კარტახენა), ს. გარსია (ბეტისი), ულოა (კასტელონი), კასტრო (რაიო ვალეკანო), ბრიტი (უნიონი).




ინტერი მე-18 სკუდეტოს ზეიმობს

# ...და მაინც, ჩემპიონი ინტერია

## მილანი შავ-ლურჯად შეიღება. სამპდორია ჩემპიონთა ლიგაში

„ინტერი" იტალიის ჩემპიონია - მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო. მადლობა „რომას" იმისთვის, რომ ბოლომდე იბრძოლა და საჩემპიონო ინტრიგა უკანასკნელ ტურამდე შეინარჩუნა. თუმცა, სკუდეტო მაინც „ნერაძურის" დარჩა და ამაში გასაკვირი არაფერია, მილანური გრანდი იტალიაში აშკარად საუკეთესოა. მხოლოდ იტალიაში თუ სრულიად ევროპაში, ეს მალე გაირკვევა, იქამდე კი მილანის შავ-ლურჯი ნაწილი მიმდინარე სეზონში რიგით მეორე ტიტულის მოპოვებას ზეიმობს...

ბოლო ტურში მილანელები ტოსკანაში ჩავიდნენ, სადაც „სიენას" ბარიერი უნდა გადაელახათ. **ჟოზე მოურინიომ** ტრადიციული ტაქტიკა აირჩია და მეტოქეს 4-2-3-1-ით შეერკინა. შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტო** ვიხილეთ, რომელსაც უკნიდან **მარიო ბალოტელი, სამუელ ეტოო** და **ვესლი სნეიდერი** ეხმარებოდნენ. ეს ის ოთხეულია, რომელსაც ჟოზე დასკვნით მატჩებში ეყრდნობა და ისინიც ამართლებენ მწვრთნელის მიერ გაცემულ ავანსებს.

შეხვედრამ სტუმართა სრული უპირატესობით ჩაიარა. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, დღეს ეს ნაკლებად აქტუალური და საინტერესოა - უბრალოდ, გოლის ეპიზოდზე გავამახვილოთ ყურადღება: 57-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ხავიერ ძანეტი** დაიძრა მეტოქის საჯარიმოსკენ, გზად რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და თანამემამულე მილიტოს შესანიშნავი გადაცემა გაუკეთა - ამ უკანასკნელის დარტყმული უზადო გამოდგა, 0:1. მილიტოს ერთადერთმა გოლმა „ინტერს" სანუკვარი სკუდეტო მოაპოვებინა. „არტემიო ფრანკის" სტადიონზე მილანელებმა დიდი ზეიმი გამართეს და ამაში თვით **მასიმო მორატიმ** მიიღო მონაწილეობა. „ინტერის" პრეზიდენტი ბავშვივით გახარებული იყო და როდესაც ემოციები ოდნავ გაუნელდა, ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა:

„ბრწყინვალე შეგრძნებაა, რომელსაც ვერაფერი შეედრება. დიდი მადლობა ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, რომლებმაც მიზნის მისაღწევად ყველაფერი გაიღეს. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებიც ბოლომდე მხარში დაგვიდგნენ და ჩვენთან ერთად ზეიმობენ სკუდეტოს მოპოვებას. სიენა შესანიშნავი ქალაქია, სადაც ადრეც მოვიგეთ ჩემპიონის ტიტული. ულამაზესი საღამოა, რომელიც არასდროს დამავიწყდება".

მორატის ასეთი კითხვა დაუსვეს: „მორიგი სკუდეტო მოურინიოს დამსახურებაა"? - აქვე, „ინტერის" პრეზიდენტის პასუხი: „ის, რომ გუნდმა უკვე ორი ტიტული მოიპოვა, ამაში მოურინიოს დიდი წვლილი მიუძღვის, ორი აზრი არ არსებობს და არც არავინ დავობს, თუმცა ჟოზესთან ერთად არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი ასევე ფასდაუდებელია. რას აპირებს მოურინიო? ვერ გეტყვით, ის მილანში ბედნიერია და მჯერა, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს".

მორატის დიდი იმედი აქვს, რომ მოურინიო „ინტერში" დარჩენის გადაწყვეტილებას მიიღებს. თუმცა, დღეს ამაზე გადაჭრით ლაპარაკი ძალიან რთულია. სულ უფრო და უფრო ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ჟოზე მომავალი სეზონიდან „რეალს" დამოძღვრავს. თუმცა, ამაზე სასაუბროდ კიდევ მოვიცლით და უმჯობესია, „ინტერს" დავუბრუნდეთ.

უბედნიერესი გახლდათ ხავიერ ძანეტი, რომელმაც მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ცრემლები ვერ შეიკავა. დიდმა კაპიტანმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „ყოველი ახალი ტიტული სრულიად განსხვავებულ შეგრძნებებს ბადებს. ჩვენ ისტორიაში შევედით და საბედნიეროდ, ეს გზა კიდევ გრძელდება. ყველა თასს და ყველა ტიტულს გულშემატკივრებს ვუძღვნი, მათ დაიმსახურეს ის, რასაც ჩვენგან იღებენ. ისინი კიდევ უფრო მეტს იმსახურებენ და დარწმუნებული ვარ, მალე ბოლომდე დავუფასებთ გვერდში დგომას".

ესეც ძანეტის მიერ „ბაიერნის" ბოსტანში ნასროლი კენჭი - „ინტერმა" შიდა ასპარეზზე ყველაფერი მოიგო და სრული ბედნიერებისთვის მილანელ გულშემატკივრებს ჩემპიონთა ლიგა სჭირდებათ. ორიოდე სიტყვა ჟოზე მოურინიოზეც ვთქვათ, რომელმაც სკუდეტოს გაფორმებისთანავე გასახდელს მიაშურა. დიახ, პორტუგალიელმა სპეციალისტმა სწორედ ამგვარად აღნიშნა დიდი გამარჯვება - უფრო სწორად, მოედანზე დიდად არც აღუნიშნავს და გასახდელში რით გახლდათ დაკავებული, ძნელი სათქმელია.

Piazza Duomo-ზე ზეიმი დილამდე გაგრძელდა. ეს ის ადგილია, სადაც „ინტერის" გულშემატკივრები ყოველ მოგებულ ტიტულს აღნიშნავენ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ინტერი" იტალიის ჩემპიონი მეთვრამეტედ გახდა. სკუდეტოების რაოდენობით „ნერაძური" მხოლოდ „იუვენტუსს" ჩამორჩება, „მილანი" კი გუშინდელი გამარჯვებით უკან მოიტოვა. საოცარია, ჯერ კიდევ 5-6 წლის წინ „მილანს" სოლიდური უპირატესობა ჰქონდა, მიჯრით მოგებული სკუდეტოების შემდეგ კი მორატის გუნდმა თანაქალაქელი ჩამოიტოვა.

რაც შეეხება „მილანს" და „იუვენტუსს", უკანასკნელ ტურში მათ ერთმანეთთან მოუწიათ თამაშმა და „სან სიროზე" მეტად თვალსასეირო ბურთაობაც გაჩაღდა. უფრო სწორად, ფეხბურთი ერთმა გუნდმა ითამაშა, მეორე კი უბრალოდ, ფონის როლს ასრულებდა. **ლეონარდოს** შეგირდებმა ლაღად იბურთავეს და პრინციპული მეტოქე 3:0-ზე გაანადგურეს. შესანიშნავად წარმოჩნდა **რონალდინიო**, რომელმაც „იუვეს" ორი გოლი გაუტანა და თავისივე სიტყვები გაამყარა - მიმდინარე სეზონში ძალიანაც კარგად ვთამაშობ. რონის ნამდვილად არ ჰქონდა ურიგო სეზონი, „ვეკია სენიორას" კი მართლაც ეფექტური გოლები გაუტანა და სტადიონი მქუხარე ტაშის ფონზე დატოვა. თითქმის გადაჭედილი „სან სირო" გაუჩოს სახელს სკანდირებდა, რის გამოც ბრაზილიელს თვალებზე ცრემლები მოადგა. „მილანი" მესამეა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს, „იუვე" კი მეშვიდე პოზიციას დასჯერდა.

აქვე „რომაზე" უნდა ვთქვათ, გუნდზე, რომელმაც ჩემპიონობისთვის ბოლო ტურამდე იბრძოლა. **კლაუდიო რანიერიმ** მოგებაზე დაგეშა შეგირდები და მიაღწია კიდეც მიზანს. რომაელებმა ორჯერ გაისროლეს ზუსტად და „კიევო" სოლიდური უპირატესობით დაამარცხეს. რომაელთაგან შეტევის წინა ხაზზე **ფრანჩესკო ტოტი** და **მირკო ვუჩინიჩი** გაისარჯნენ. ორივე დიდებული გახლდათ, ჩერნოგორიელმა კი სულაც გოლი მიითვალა აქტივში - გრძელი გადაცემა დაიმორჩილა და უძლიერესი დარტყმით ვერონელთა კიპერს შანსი არ დაუტოვა, 0:1. იგივე შეიძლება ითქვას **დანიელე დე როსიზე**, რომელმაც ბურთი პირდაპირ ცხრიანში ჩაჭედა, 0:2. მიუხედავად იმისა, რომ „ჯალოროსი" პირველ ადგილს ვერ შესწვდა, გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს მაინც ოვაციები მოუწყვეს - ესეც მოსალოდნელი გახლდათ.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა ჩემპიონთა ლიგის ზონაზეც ვთქვათ. უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართა გენუაში, სადაც „სამპდორიამ" „ნაპოლის" უმასპინძლა. გამარჯვების შემთხვევაში **ლუიჯი დელ ნერის** შეგირდები ლიგის საგზურს ინაღდებდნენ და გაინაღდეს კიდეც - მომავალ სეზონში „სამპა" ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში იასპარეზებს. გენუელებმა ნეაპოლელებს მინიმალური ანგარიშით სძლიეს, ერთადერთი გოლი კი **ჯამპაოლო პაცინიმ** გაიტანა. შესაბამისად, „პალერმოს" მიერ „ატალანტას" ძლევას ფასი დაეკარგა - **ედისონ კავანიმ** თავი გამოიდო და ბერგამოელებს ორი გოლი გაუტანა, მაგრამ სიცილიელები მეოთხე პოზიციას მაინც ვერ შესწვდნენ. ანუ, ევროპის ლიგაში მოუწევთ ასპარეზობა.

**ლაშა ნიკლაური**

### მილანი-იუვენტუსი 3:0

**მილანი (4-2-1-3):** დიდა 6 (87. აბიატი) - ძამბროტა 6.5, ტიაგო სილვა 6.5, ფავალი 6.5 (62. ნესტა 6), ანტონინი 7 - გატუზო 6.5, პირლო 6.5 - ზეედორფი 6.5 - პატუ 6.5, ბორიელო 6.5, რონალდინიო 8 (70. ფ. ინძაგი).

**იუვენტუსი (4-3-1-2):** ბუფონი 6 (46. მანინგერი 6) - ძებინა 5 (75. კასერესი 5.5), კიელინი 5.5, ფ. კანავარო 5, გროსო 5 - სალიჰამიჯიჩი 5 (46. კამორანეზი 5.5), პოულსენი 5, მარკიზიო 5 - კანდრევა 5 - დელ პიერო 5, იაკუინტა 5.5.

**გოლები:** 1:0 ანტონინი (14), 2:0 რონალდინიო (29), 3:0 რონალდინიო (67)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 11-14; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 11-21 (5-6); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 66 108

### ლაციო-უდინეზე 3:1

**ლაციო (3-5-2):** ბერნი 6 - ბიავა 6, ანდრე დიასი 6, სივილია 5.5 - სკალონი 6, ბროკი 7.5 (88. ბარონიო), კ. ლედესმა 6, ჰიტცლშპერგერი 6, დელ ნერო 6.5 (74. დიაკიტი 6.5) - ფლოკარი 6, როკი 6.5 (66. სარატე 5).

**უდინეზე (4-3-2-1):** რომო 6.5 - ფერონეტი 5, საპატა 5.5 (71. სიკეირა 6), დომიცი 5.5, პასკუალე 5.5 - ასამოა 6, ისლა 5.5, პეპე 5 (80. ლოდი) - სანჩესი 5.5, დი ნატალე 6.5 - ფლორო ფლორესი 5.5 (42. კუადრადო 6.5).

**გოლები:** 1:0 ჰიტცლშპერგერი (16), 1:1 დი ნატალე (30), 2:1 ფლოკარი (45), 3:1 ბროკი (52)

**გაძევება:** ისლა (38. უდინეზე)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 18-8; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 25-13 (9-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 25 000

### სიენა-ინტერი 0:1

**სიენა (4-1-4-1):** კურჩი 7.5 - როზი 7, ტერცი 6, კრიბარი 6 (46. ბრანდაუ 6), დელ გროსო 5.5 - კოდრეა 6 (81. რეჟინალდო) - გეზალი 5.5, ვერგასოლა 6, ექდალი 6.5, იაიალო 7 - მაკარონე 7 (54. კალაიო 5).

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი 6.5 - მაიკონი 6.5, მატერაცი 6, სამუელი 6.5, ხ. ძანეტი 7 - ტიაგო მოტა 6 (54. პანდევი 6), კამბიასო 6.5 - ბალოტელი 7.5 (59. სტანკოვიჩი 6.5), სნეიდერი 5.5 (73. კივუ 6), ეტო'ო 6.5 - მილიტო 7.

**გოლი:** 0:1 მილიტო (58)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 12-8; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 6-26 (2-6); **ბურთის ფლობა:** 27%-73%.

**მაყურებელი:** 15 353

### კიევო-რომა 0:2

**კიევო (4-3-1-2):** სკუფეტი 6 - სარდო 5.5, იეპესი 6.5, სკარდინა 6, ჯოკიჩი 6 - ლუსიანო 6, იორი 5.5 (78. მორო), არიატი 6.5 (58. დე პაულა 6.5) - ბენტივოლიო 6 - პელისიერი 6, გრანოკე 5 (68. ბოგდანი 6).

**რომა (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი 6.5 - მ. მოტა 6 (75. მექსე), ბურდისო 6.5, ჟუანი 7, კასეტი 6 (69. ტონეტო 6) - პისარო 6.5, დე როსი 7 (70. ბრიგი 6) - ტადეი 6.5, პეროტა 7, ვუჩინიჩი 7.5 - ტოტი 6.5.

**გოლები:** 0:1 ვუჩინიჩი (39), 0:2 დე როსი (45)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 9-16 (2-6); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 28 000

### სამპდორია-ნაპოლი 1:0

**სამპდორია (4-4-2):** სტორარი 8 - ძაური 6, ლუკინი 6, გასტალდელო 6, ციგლერი 5.5 (64. კაჩატორე) - სემიოლი 6.5 (63. გუბერტი 6), პალომბო 6.5, ტისონე 6.5, მანინი 6 - კასანო 7 (87. პოცი), პაცინი 7.

**ნაპოლი (3-5-2):** დე სანქტისი 6 - სანტაკროჩე 6, პ. კანავარო 6, გრავა 6 - მაჯო 5.5 (63. ჰოფერი 5), ჩიგარინი 6 (86. მაიელო), პაციენცა 6, დოსენა 6.5, სუნიგა 6.5 (69. ბოლიაჩინო 5.5) - დენისი 6, კვალიარელა 6.5.

**გოლი:** 1:0 პაცინი (52)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 5-8 (5-4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 31 000

### ატალანტა-პალერმო 1:2

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი 7 - ბელინი 5.5, ბიანკო 5, თ. მანფრედინი 5.5, პელუზო 5 - პინტუ 5 (63. დარიჩი 6), რადოვანოვიჩი 5.5, პადოინი 6, ჩერავოლო 6.5 (77. გაბიადინი) - კ. დონი 6.5 (72. კაზერტა 6) - ტირიბოკი 5.5.

**პალერმო (4-3-1-2):** სირიგუ 6.5 - კასანი 5.5, კიაერი 6, ბოვო 6, ბალცარეტი 6 - ნოჩერინო 6, ლივერანი 6.5 (70. ბლაზი 6), ბერტოლო 6 (75. ჯოვ. ტედესკო 6) - პასტორე 7 - კავანი 7, ერნანდესი 5.5 (64. ბუდანი 5).

**გოლები:** 0:1 კავანი (12), 1:1 ჩერავოლო (48), 1:2 კავანი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 26-13 (7-6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 9 000

### ბარი-ფიორენტინა 2:0

**ბარი (4-4-2):** ჟილე 7 - ა. მაზიელო 6, სტელინი 7, ბონუჩი 7, პარიზი 6, ე. ალვარესი 7, ალმირონი 7 (68. დონატი 6), გაცი 6, ს. მაზიელო 6, პ. ბარეტო 6 (82. ე. რივასი 65), კასტილიო 5 (85. კამატა 6).

**ფიორენტინა (4-3-2-1):** ავრამოვი 7.5 - დე სილვესტრი 5, ფელიპე 5.5, ნატალი 5.5, გობი 6 (27. გამბერინი 4.5), მონტოლივო 6.5, დონადელი 5.5 (47. აგიეი 6), ბოლატი 6.5, მარკიონი 6, ლიაჯიჩი 6 (65. კარარო 6), იოვეტიჩი 5.5.

**გოლები:** 1:0 სტელინი (35), 2:0 ე. რივასი (90)

**გაძევება:** გამბერინი (90. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 9-1; **კარში დარტყმა:** 14-19 (5-7); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 000

### კატანია-ჯენოა 1:0

**კატანია (4-3-3):** კამპანიოლო 7 - პ. ალვარესი 6, სილვესტრი 6, ტერლიცი 6, კაპუანო 6 - პ. ლედესმა 6, ბიაჯანტი 6, რიკიუტი 5.5 (78. მარკეზე) - მარტინესი 6 (58. ბარიენტოსი 5.5) - მაქსი ლოპესი 7 (84. რუსო), მასკარა 6.5.

**ჯენოა (4-3-3):** ამელია 6 - მესტო 6, ტომოვიჩი 6, კრიშიტო 6.5, პაპასტატოპულოსი 6 - მილანეტო 6 (67. საპატერი 6), იურიჩი 5, პალადინო 5 (42. ფატიჩი 5.5) - სკული 6, აკვაფრესკა 6, სუასო 6.5 (51. ბოიაკი 6.5).

**გოლი:** 1:0 მაქსი ლოპესი (65)

**გაძევება:** იურიჩი (64. ჯენოა)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 22-17 (5-4); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

### პარმა-ლივორნო 4:1

**პარმა (3-4-3):** მირანტე 6 (46. პავარინი 6) - ძაკარდო 6, დელაფიორე 6, ა. ლუკარელი 6.5 (64. ლ. ხიმენესი) - ვალიანი 6, მორონე 6.5, გალოპა 6, ლ. ანტონელი 6 - ლანცაფამე 6.5, ბიაბიანი 6.5 (64. ბოჟინოვი 6), კრესპო 6.5.

**ლივორნო (3-5-1-1):** ბარდი 6 - ბერნარდინი 6, მოდიცა 6, გალანტე (27. ოსუ 6) - რაიმონდი 6, ლინიანი 6 (55. სიმეონი 6), ბერგვოლდი 6, პრუტში 6, ვიტალი 6 - ბელუჩი 6 (64. მარკინი 6), დანილევიჩუსი 6.5.

**გოლები:** 1:0 ლანცაფამე (45), 2:0 ლანცაფამე (47), 3:0 მორონე (49), 3:1 დანილევიჩუსი (72), 4:1 კრესპო (90)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 25-28 (10-12); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 17 272

### კალიარი-ბოლონია 1:1

**კალიარი (4-3-1-2):** ვიგორიტო 6.5 - კანინი 6, ლოპესი 6 (46. დესენა 6), ასტორი 6, აგოსტინი 6.5 - ბიონდინი 6, კონტი 5.5, ნაინგოლანი 5.5 (55. ლაძარი 6) - კოსუ 6 - მატრი 5 (72. ლარივეი 5.5), რაგატცუ 6.5.

**ბოლონია (4-4-2):** კოლომბო 6 - რაჯი 6, პორტანოვა 6, რაფაელ სანტოსი 6, ლანა 6 - ბუშე 6.5, გუანა 6, აპია 6 (65. მუტარელი 6), პიზანუ 6 (65. სავიო 6) - ადაილტონი 7 (77. ბასოლი 6), სუჩი 6.

**გოლები:** 0:1 ადაილტონი (3), 1:1 რაგატცუ (65)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 9-11; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 11-9 (4-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 5 000

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 38 | 24 | 10 | 4 | 75-34 | 82 |
| 2. რომა | 38 | 24 | 8 | 6 | 68-41 | 80 |
| 3. მილანი | 38 | 20 | 10 | 8 | 60-39 | 70 |
| 4. სამპდორია | 38 | 19 | 10 | 9 | 49-41 | 67 |
| 5. პალერმო | 38 | 18 | 11 | 9 | 59-47 | 65 |
| 6. ნაპოლი | 38 | 15 | 14 | 9 | 50-43 | 59 |
| 7. იუვენტუსი | 38 | 16 | 7 | 15 | 55-56 | 55 |
| 8. პარმა | 38 | 14 | 10 | 14 | 46-51 | 52 |
| 9. ჯენოა | 38 | 14 | 9 | 15 | 57-61 | 51 |
| 10. ბარი | 38 | 13 | 11 | 14 | 49-49 | 50 |
| 11. ფიორენტინა | 38 | 13 | 8 | 17 | 48-47 | 47 |
| 12. ლაციო | 38 | 11 | 13 | 14 | 39-43 | 46 |
| 13. კატანია | 38 | 10 | 15 | 13 | 44-45 | 45 |
| 14. კალიარი | 38 | 11 | 11 | 16 | 56-58 | 44 |
| 15. უდინეზე | 38 | 11 | 11 | 16 | 54-59 | 44 |
| 16. კიევო | 38 | 12 | 8 | 18 | 37-42 | 44 |
| 17. ბოლონია | 38 | 10 | 12 | 16 | 42-55 | 42 |
| 18. ატალანტა | 38 | 9 | 8 | 21 | 37-53 | 35 |
| 19. სიენა | 38 | 7 | 10 | 21 | 40-67 | 31 |
| 20. ლივორნო | 38 | 7 | 8 | 23 | 27-61 | 29 |

**ბომბარდირები:** 29 - დი ნატალე (უდინეზე); 22 - მილიტო (ინტერი); 19 - მიკოლი (პალერმო), პაცინი (სამპდორია); 15 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 14 - პ. ბარეტო (ბარი), ბორიელო (მილანი), ტოტი (რომა), ვუჩინიჩი (რომა); 13 - კავანი (პალერმო), მატრი (კალიარი); 12 - დი ვაიო (ბოლონია), ეტო'ო (ინტერი), ფლოკარი (ლაციო), ჰამშიკი (ნაპოლი), მაკარონე (სიენა), პატუ (მილანი), რონალდინიო (მილანი).

### სერია B

### XL ტური

**ლეჩე-ჩეზენა 1:2**

გოლები: 1:0 მუნარი (8), 1:1 მალონგა (80), 1:2 მალონგა (83)

**ანკონა-ჩიტადელა 2:3**

გოლები: 1:0 მასტრონუნციო (12), 1:1 არდემანი (44), 1:2 პეტინარი (55), 1:3 არდემანი (66-პენ), 2:3 მირამონტესი (71)

**ემპოლი-ალბინოლეფე 1:3**

გოლები: 0:1 ფოლიო (10), 0:2 ჯერონი (18), 0:3 ჩოფი (45), 1:3 ედერი (90-პენ)

გაძევება: ჩა (83. ალბინოლეფე)

**ფროზინონე-გროსეტო 1:0**

გოლი: 1:0 სანტორუვო (90)

გაძევება: ფედერიჩი (37. გროსეტო), ტურატი (61. გროსეტო)

**მოდენა-ბრეშა 1:2**

გოლები: 0:1 ბეგა (45), 0:2 რისპოლი (70), 1:2 ტრიოიანო (90)

**პიაჩენცა-ტრიესტინა 0:0**

**რეჯინა-გალიპოლი 2:1**

გოლები: 1:0 ბარილა (11), 2:0 ბონაცოლი (59), 2:1 ლაძარი (62)

**ტორინო-ვიჩენცა 1:0**

გოლი: 1:0 პია (14)

**სალერნიტანა-სასუოლო 1:4**

გოლები: 0:1 კუადრინი (16), 0:2 ნოსელი (34), 0:3 ნოსელი (47), 0:4 ნოსელი (67), 1:4 სიანო (80)

**კროტონე-მანტოვა 2:2**

გოლები: 0:1 კარუსი (2), 1:1 დეგანო (5), 2:1 რუსოტო (54), 2:2 პელიკორი (90)

**პადოვა-ასკოლი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეჩე | 40 | 20 | 13 | 7 | 66-47 | 73 |
| 2. ბრეშა | 40 | 20 | 9 | 11 | 57-42 | 69 |
| 3. ჩეზენა | 40 | 18 | 14 | 8 | 52-28 | 68 |
| 4. ჩიტადელა | 40 | 18 | 12 | 10 | 60-41 | 66 |
| 5. სასუოლო | 40 | 17 | 14 | 9 | 57-40 | 65 |
| 6. ტორინო | 40 | 18 | 10 | 12 | 52-36 | 64 |
| 7. გროსეტო | 40 | 14 | 17 | 9 | 62-59 | 61 |
| 8. კროტონე (-2) | 40 | 17 | 11 | 12 | 52-45 | 60 |
| 9. ემპოლი | 40 | 15 | 10 | 15 | 62-51 | 55 |
| 10. ალბინოლეფე | 40 | 14 | 13 | 13 | 57-51 | 55 |
| 11. ასკოლი | 39 | 14 | 12 | 13 | 53-51 | 54 |
| 12. ანკონა | 40 | 15 | 8 | 17 | 52-52 | 53 |
| 13. მოდენა | 40 | 13 | 12 | 15 | 35-43 | 51 |
| 14. რეჯინა | 40 | 14 | 8 | 18 | 46-53 | 50 |
| 15. პიაჩენცა | 40 | 12 | 14 | 14 | 36-43 | 50 |
| 16. ვიჩენცა | 40 | 11 | 16 | 13 | 39-41 | 49 |
| 17. ტრიესტინა | 40 | 12 | 11 | 17 | 37-48 | 47 |
| 18. მანტოვა | 40 | 10 | 16 | 14 | 44-56 | 46 |
| 19. ფროზინონე | 40 | 13 | 7 | 20 | 45-65 | 46 |
| 20. პადოვა | 39 | 9 | 15 | 15 | 37-45 | 42 |
| 21. გალიპოლი | 40 | 10 | 10 | 20 | 40-67 | 40 |
| 22. სალერნიტანა | 40 | 5 | 8 | 26 | 40-75 | 23 |

**ბომბარდირები:** 25 - ედერი (ემპოლი); 24 - ანტენუჩი (ასკოლი), რ. ბიანკი (ტორინო), პინილია (გროსეტო); 22 - კარაჩოლო (ბრეშა); 20 - არდემანი (ჩიტადელა), მასტრონუნციო (ანკონა); 17 - კორვია (ლეჩე), ნოსელი (სასუოლო); 16 - კორალი (ემპოლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი — ასოციაციის თასი. ფინალი



ჩელსიმ მეორე ინგლისური ჯილდოც მოიგო

# ლურჯი დუბლი უემბლიზე

**დიდიე დროგბამ** „ჩელსის" ისტორიაში პირველი დუბლი მოუტანა. ახლა ლონდონელები გარდა იმისა, რომ პრემიერლიგის ჩემპიონები არიან, ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელებიც გახლავან. დროგბას გოლი - სეზონში 37-ე - საჯარიმო დარტყმით გავიდა. ეს იყო სნაიპერული სიზუსტით გასროლა. შთამბეჭდავია კოტ დივუარის ნაკრების ფორვარდის პირადი სტატისტიკაც - მას „უემბლიზე" ექვსი თამაში აქვს ჩატარებული და ექვსივეში გოლი გაიტანა. არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რასაც „სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგების პირველსავე სეზონში მიაღწია იტალიელმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ**. მისი წყალობით „ლურჯები" გახდნენ ინგლისის მეშვიდე გუნდი, რომელმაც ერთ სეზონში ჩემპიონობაც მოიგო და ფეხბურთის ასოციაციის თასიც.

რაც შეეხება შეხვედრას... როგორ გინდა სრულ ფერებში აღწერო თამაში, რომლის განმავლობაშიც „ჩელსიმ" შესვენებამდე ხუთჯერ გაარტყა ბურთი ძელს (აქედან ერთხელ, დროგბას დარტყმის მერე ბურთი თითქოსდა ხაზს უკან ჩაეშვა), ამას დაამატეთ **სალომონ კალუს** მიერ ხელიდან გაშვებული საუცხოო შესაძლებლობა - ესეც ძელს მოხდა - და ორი ვერგატანილი პენალტი, ერთი აქეთ, ხოლო მეორე იქით კარში. არადა, „პორტსმუთის" ნახევარმცველ **კევინ-პრინს ბოატენგს** დროგბას გოლამდე სამი წუთით ადრე თავისი პენალტი რომ შეეგდო, ვინ იცის, **ავრამ გრანტის** დატანჯულ გუნდს სეზონის ბოლოს კუდი მართლაც მოექნია. ახლა, გაკოტრებული და პრემიერლიგიდან გავარდნილი გუნდი, ვინ იცის, როდისღა მიაღწევს რომელიმე დიდი შეჯიბრების ფინალს...

„პორტსმუთს" პენალტის გარდაც შეეძლო გოლის გატანა. ასე მაგალითად **ფედერიკ პიკიონს პეტრ ჩეხმა** რეაქტიული მოძრაობით აული საგოლე დარტყმა, **არუნა დინდანემ** კი იმავე პიკიონის ეფექტურად დაგორებულს ფეხი ვერ მიჰკრა, კარში რომ შეეგდო...

*„მომავალ სეზონში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება, „ჩელსის" ხომ ეს ტიტული არასდროს მოუგია, -* თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა თავკაცმა, *- თუმცა წლევანდელი მიღწევა, პრემიერლიგის ჩემპიონობა და ფეხბურთის ასოციაციის თასი ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ამ სეზონშიც გვინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. ისე, ამ გუნდს უდიდესი ჯილდოების მოპოვება ახალი ფეხბურთელების დამატების გარეშეც შეუძლია, მაგრამ ჯერჯერობით დღევანდელი წარმატებით გვინდა გახარება. ეს საოცარი გამარჯვება იყო".*

შემდეგ ანჩელოტის ძელისთვის ბურთის ხუთჯერ გარტყმის ამბავი ჰკითხეს. მან მიუგო: *„ეს ძალიან უცნაური იყო. ასეთი რამ კარიერაში არ მქონია - გუნდმა ერთ ტაიმში ხუთჯერ გაარტყა ბურთი ძელს. სხვათა შორის, შემდეგ, მეორე ტაიმი ცუდად დავიწყეთ. მოვლენებს ვერ ვაკონტროლებდით, მაგრამ არ მინერვიულია, იმიტომ, რომ გუნდი მაინც კარგად თამაშობდა და საგოლე მომენტებსაც ქმნიდა. ინგლისურ ფეხბურთში დიდი ზეწოლა თუ ვიგრძენი? ნორმალური ზეწოლა იყო და მიხარია, რომ იმედები გავამართლეთ. იმედი მაქვს მომავალ სეზონშიც იგივე განმეორდება. წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ ძალიან კარგი გუნდი და ძალიან კარგი ფეხბურთელები მყავდა. ყველამ მაქსიმუმი გაიღო. რთულ მომენტებშიც კი ერთსულოვანნი და შეკრულნი ვიყავით. ვფიქრობ, გამიმართლა ცხოვრებაში, ასეთ მშვენიერ კლუბს რომ მივაგენი. აქ მწვრთნელად მუშაობა ძნელი არ არის, რადგან მეპატრონეც და ფეხბურთელებიც მაქსიმალურად გიჭერენ მხარს".*

ავრამ გრანტი კი გასული სეზონის განმავლობაში „პორტსმუთის" თავს გადახდენილი ამბების გამო ვერ მალავდა სიბრაზეს:

*„პრემიერლიგაში, წესით, ყველა უნდა მოდიოდეს ჩემს ფეხბურთელებთან, ხელს ართმევდეს მათ და მადლობას უხდიდეს, რომ ინგლისური ფეხბურთის ღირსება იხსნეს. მათ კი გუნდი დასაჯეს. ეს რომ მახსენდება, ვბრაზდები და ვცდილობ, თავგამოდებით ვიბრძოლო იმის წინააღმდეგ, რაც დიდ უსამართლობად მიმაჩნია. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, მეტს ვიმსახურებდით. ჩვენ ზედგამოჭრილ დროს გვქონდა ხელსაყრელი მომენტი. „ჩელსი" ძალიან ძლიერი კლუბია და „პორტსმუთს" შეუძლია იამაყოს იმით, თუ როგორ ითამაშა მის წინააღმდეგ. ამხელა მოწინააღმდეგე ისეთ დღეში ჩავაგდეთ, რომ ბოლო ათი წუთი დროის გაყვანას ცდილობდა".*

**ჩელსი-პორტსმუთი 1:0**

**ჩელსი:** ჩეხი, ივანოვიჩი, ტერი, კოული, ალექსი, ბალაკი (44. ბელეტი), მალუდა, ლემპარდი, ანელკა (90. სტარიჯი), კალუ (71. ჯ. კოული), დროგბა.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ბრაუნი, როჩა, ფინანი, დიოპი (81. კანუ), ბოატენგი (73. უტაკა), მალინსი (81. ბელჰაჯი), ბრაუნი, მოკოენა, ოჰარა, დინდანე, პიკიონი.

**გოლი:** 1:0 დროგბა (59)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 24-2 (10-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 88 335

სკანდალი

# თქვენ მსაჯები მოგვიქრთამეთ, ჩვენ მუნდიალზე ხელს ავიღებთო...

## რუსებისა და ესპანელების სკანდალური გარიგება?

შაბათს ლონდონში დიდი ვნებათაღელვა იყო - ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ ესპანეთსა და რუსეთს ქრთამის გაცემაში დასდო ბრალი. რა ქრთამზეა ლაპარაკი? მოგეხსენებათ, რუსები და ესპანელები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას ცდილობენ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ყველაფერი მარტივი სქემით მიდის და ხსენებული ქვეყნების წარმომადგენლები მავან დიდმოხელეთა კომისიას მათი პროექტების დამტკიცებაში უხდიდნენ ფულს. ყოფილმა სამთავრობო მინისტრმა, ლორდმა **ტრისმენმა** საოცარი კორუფციული სქემის შესახებ თავის... ყოფილ საყვარელთან ილაპარაკა და არ იცოდა, რომ ამ საუბარს იწერდნენ - მოგახსენებთ, რომ ლორდი ტრისმენი თავის დროზე ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარეობას იმიტომ დათანხმდა, რომ ორგანიზაციის სკანდალური რეპუტაციის გამოსწორება უნდოდა.



ლორდი ტრისმენი და დევიდ ბექჰემი

რუსთა და ესპანელთა კომბინაცია ასეთი ყოფილა: იმ შემთხვევაში, თუ რუსები კარსმომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მსაჯებს მოუქრთამავდნენ, ესპანელები 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბრძოლას თავს დაანებებდნენ.

სენსაციური ბრალდება ლორდმა ტრისმენმა მისი და **დევიდ ბექჰემის** მიერ ინგლისური პროექტის წარდგენიდან ორი დღის შემდეგ წარმოთქვა. ინგლისური ფეხბურთის თავმჯდომარემ და სახელგანთქმულმა ნახევარმცველმა 1752-გვერდიანი გეგმა ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** გადასცეს.

ბრალდების ამბავი ინგლისურმა გაზეთმა „დეილი მეილმა" შეიტყო (სავარაუდოდ, სწორედ „დეილი მეილმა" ჩაუდო ქალს ჯიბეში ფული და ჩანთაში დიქტოფონი) და რასაკვირველია, სტატიის გამოქვეყნება განიზრახა, რაც ფეხბურთის ასოციაციამ შეიტყო, ეს ამბავი ძალიან არ მოეწონა და უმაღლეს სასამართლოს მიმართა, რათა მას კანონით დაშვებული მეთოდების გამოყენებით გაზეთისთვის პუბლიკაცია აეკრძალა. საათ-ნახევარში ასოციაციამ მიმართვა უკანვე წამოიღო.

ამ ამბავში ჩარეულია ახალგაზრდა ქალი **მელისა ჯეკობსი** რომელიც კარგა ხნის განმავლობაში ლორდი ტრისმენის მდივნად მუშაობდა. როგორც მელისა ჯეკობსმა „დეილი მეილს" განუცხადა, 2008 წლის იანვარში, როდესაც ისინი ფეხბურთის ასოციაციაში გადავიდნენ (მანამდე ქალი ლეიბორისტ არისტოკრატთან ერთად ინოვაციათა სამინისტროში მუშაობდა), მათი ურთიერთობა ინტიმურში გადაიზარდა, თუმცა მას ცოლიანი კაცის საყვარლობა არ სიამოვნებდა და ყველაფერს მალევე მოუღო ბოლო. როგორც მის ჯეკობსის მონაყოლიდან გახდა ცნობილი, დაშორების შემდეგ ის ლორდ ტრისმენისგან უამრავ მესიჯს იღებდა, სადაც ლორდი წერდა, რომ მის გარეშე ცხოვრება უჭირს და ასე შემდეგ.

გავიდა დრო, ლორდი ტრისმენი და 37 წლის მელისა მეგობრებად დარჩნენ, ხოლო ორი კვირის წინ რესტორანში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ თავს ნება მისცა, ათას დელიკატურ წვრილმანზე ესაუბრა და სწორედ აქედან გახდა „დეილი მეილისთვის" ყველაფერი ცნობილი. როგორც ირკვევა, მათი საუბარი ქალმა ფირზეც კი ჩაიწერა.

ლორდმა ტრისმენმა საუბრისას **ჯონ ტერის** კაპიტნობიდან გადაყენების ისტორიაც ახსენა და ისიც, თუ როგორ ებრძოდა პრემიერლიგის შეფებს, რათა მათ ინგლისური კლუბების უცხოელთათვის მიყიდვა რამენაირად შეეზღუდათ.

*„ვფიქრობ, ტერის საქციელი გუნდს შეურაცხყოფდა და ფეხბურთელებიც ამავე აზრზე იყვნენ",* - ამბობს ჩანაწერში თავმჯდომარე, შემდეგ კი ჰყვება, რომ როდესაც მან და ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ტერი სალაპარაკოდ დაიბარეს, ფეხბურთელმა კაპელოს ჰკითხა: *„სად მოვიდე, შინ თუ „სტემფორდ ბრიჯზე?" - „უემბლიზე",* - უპასუხა იტალიელმა მწვრთნელმა.

ლორდი დასძენს, რომ მას და კაპელოს ამ საკითხისადმი ერთმანეთის დამოკიდებულება არ გამოუკითხავთ და ერთმანეთის აზრზე ზეგავლენა არ მოუხდენიათ. ტრისმენი: *„ტერი საერთოდ ვერ ხვდებოდა, რა დააშავა. თავი მართალი ეგონა. დედ-მამამ უთხრა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია, ძმაკაცებმაც დაუდასტურეს, შენ ყოველთვის კარგად იქცევიო".*

მაგრამ, როგორც თავშიც მოგახსენეთ, მთავარი არც ტერის ამბავია და არც პრემიერლიგის შეფებთან კამათი. მთავარი რუსებისა და ესპანელების კორუფციული სქემა გახლავთ: *„არის მონაცემები, რომ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯების ვინაობის წინასწარ დადგენას ცდილობენ და მათთვის ქრთამის გადახდა უნდათ",* - ამბობს ჩანაწერში ინგლისური ფეხბურთის შეფი, ხოლო როდესაც სიტყვას 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოაქვს, ის განაგრძობს:

*„მგონი, აფრიკელები, ჩვენ და აზიის ერთი-ორი ქვეყანა ვმუშაობთ კარგად. არა უშავს ცენტრალურ და ჩრდილო ამერიკას. ისე, ეჭვი მაქვს, რომ სამხრეთამერიკელები ხმას ესპანელებს მისცემენ, მაგრამ ესპანელებმა, შეიძლება, ეს ყველაფერი რუსებს გადაულოცონ, თუკი რუსები მათ სამხრეთ აფრიკაში მსაჯებს მოუქრთამავენ".*

შემდეგ ლორდი ტრისმენი მის ჯეკობსს ეუბნება, რომ ინგლისის პროექტს შესაძლოა ხელი მისი და უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** მეგობრობამ შეუწყოს, თუმცა შიშობს, რომ ქრთამის მიმცემები ევროპაშიც გამოჩნდებიან.

რეკლამა

# ნაიკი ბედნიერებას გვპირდება

გაუპარსავი და გასაცოდავებული **უეინ რუნი** თავისი დანჯღრეული და გასაცოდავებული ვაგონის ზღურბლზე ცივ ლობიოს ჭამს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ფანებს ნერვიულობას არ ვურჩევთ. ნუ გეშინიათ, ფორვარდი არც ცოლს გაუგდია სახლიდან, მისთვის არც ქონება ჩამოურთმევიათ და არც გასუქებულა და გალოთებულა, ის უბრალოდ, „ნაიკის" ახალ რეკლამაში გადაიღეს. რეკლამა მსოფლიოს ტელეეკრანებზე მომდევნო შაბათიდან დატრიალდება და, წესითა და რიგით, დიდი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს.



უეინ რუნის სარეკლამო საქმიანობის ნაყოფი

რეკლამის იდეა ის არის, რომ ამ ცხოვრებაში ერთმა პატარა დეტალმა შეიძლება გაგაბედნიეროს ან გაგაუბედუროს. ის მოგვიწოდებს, საკუთარი ბედი თავად დავწეროთ. რუნის შემთხვევაში, თავიდან ნაჩვენებია, როგორ აწვდის ის პასს **თეო უოლკოტს** საფრანგეთთან მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრის ბოლო წუთებზე და ანგარიშს ათანაბრებს, მაგრამ მის შემდეგ ფრანგთა მხრიდან გმირობას **ფრანკ რიბერი** სჩადის და ინგლისელებს ამარცხებს. ამის შემდეგ მუხლებზე დაცემული უეინ რუნი სასოწარკვეთილებაში ვარდება და ცხოვრება დაღმა მიუდის.

„ნაიკის" ახალ რეკლამაში იქნებიან **დიდიე დროგბა, ფაბიო კანავარო, კრისტიანო რონალდო, რონალდინიო, უოლკოტი, სესკ ფაბრეგასი და ინიესტა.**

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი — ფინალი



# ბაიერნი ინტერისკენ რიხით მიდის

**ვერდერი-ბაიერნი 0:4**

**ვერდერი:** ვიზე 3 - ფრიტცი 4.5, მერტეზაკერი 5, ნალდო 4.5, ბოინიში 5 - ბარგფრედე 5 (54. მარინი 5), ფრინგსი 5 - ჰანტი 5 (46. უგო ალმეიდა 4.5), ბოროვსკი 5 (70. დ. იენსენი 4) - იოზილი 5 - პიზარო 4.
**ბაიერნი:** ბუტი 2.5 - ლამი 2, ვან ბუიტენი 3, დემიჩელისი 3, ბადშტუბერი 3 - ვან ბომელი 2.5, შვაინშტაიგერი 2 - რობენი 1.5 (86. ალტინტოპი), რიბერი 2 - მიულერი 3 (77. ტიმოშჩუკი) - ოლიჩი 2 (80. კლოზე).
**გოლები:** 0:1 რობენი (35-პენ), 0:2 ოლიჩი (51), 0:3 რიბერი (63), 0:4 შვაინშტაიგერი (83)
**გაძევება:** ფრინგსი (78. ვერდერი)
**მაყურებელი:** 75 420

„ბაიერნმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გერმანიაში ტოლ-სწორი არავინ ჰყავს - **ლუის ვან გაალმა** და მისმა ბიჭებმა რამდენიმე დღის წინ მოგებულ ვერცხლის სინს გერმანიის თასიც წაამატეს და ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ ფინალს უდიდესი ოპტიმიზმით ხვდებიან.

ბერლინის პირთამდე სავსე „ოლიმპიაშტადიონზე" მიუნხენელებმა ბრემენელებს თავიდანვე მოახვიეს თავზე საკუთარი თამაში და იმის მიუხედავად, რომ მეტოქის კარში სწრაფი გოლის გატანა ვერ შეძლეს, მათი უპირატესობა წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ.

ოთხი გოლის გარდა, „ბაიერნს" კიდევ არაერთხელ შეეძლო „ვერდერის" კარის დალაშქვრა, მაგრამ მატჩი ნორმალურად ჩაატარა **ტიმ ვიზემ**, რომელიც თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო. თუმცა უქმად არც მისი ვიზავი **ჰანს-იორგ ბუტი** იდგა, რომელმაც მატჩის დებიუტში ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, როცა ჯერ პირისპირ გასულ **კლაუდიო პიზაროს** აჯობა, დამატებაზე კი **ტორსტენ ფრინგსის** დარტყმაც მოიგერია. თუმცა ეს **თომას შააფის** გუნდის ეპიზოდური გამონათება იყო. ძნელი წარმოსადგენია, „ბაიერნს" საკუთარი ძალა თუნდაც ამ ბურთის გაშვების შემთხვევაში არ დაემტკიცებინა.

ახლა კი პირდაპირ გოლების ალწერაზე გადავიდეთ. „ბაიერნმა" ანგარიში პენალტით გახსნა. მართალია, ბრემენელებმა არბიტრ **ტორსტენ კინჰიოფერის** გადაწყვეტილება ენერგიულად გააპროტესტეს, მაგრამ განმეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ **პერ მერტეზაკერმა ივიცა ოლიჩთან** ბრძოლაში საკუთარ საჯარიმოში ბურთზე ხელით ითამაშა. თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან „ბაიერნის" ჰოლანდიელი ლიდერი და ფინალის საუკეთესო მოთამაშე **არიენ რობენი** მივიდა, რომელსაც ვიზემ კუთხე კი გამოუცნო, მაგრამ დარტყმა უზუსტესი და უძლიერესი იყო - 1:0.

ეს პირველი ტაიმის ბოლო საინტერესო მომენტი იყო, შეხვედრის მეორე ნახევარში კი „ბაიერნი" მოედანზე კიდევ უფრო გაბატონდა. გამონაკლისი მხოლოდ ტაიმის საწყისი წუთები იყო, როცა „ვერდერმა" ამაოდ სცადა თამაშის ჩარხის სათავისოდ შეტრიალება.

ისე როგორ იქნებოდა, მოედანი უგოლოდ ოლიჩს დაეტოვებინა. მიუნხენელთა ხორვატი გოლეადორის ჯერი 51-ე წუთზე დადგა - რობენის ჩამოწოდებულ კუთხურზე **დანიელ ვან ბუიტენმა** ბოლომდე იბრძოლა და ბურთი უმეთვალყურეოდ დატოვებულ ოლიჩს მიუვიდა - 2:0.

შემდეგი გოლის მთავარი შემოქმედი **მარკ ვან ბომელი** გახდა. „ბაიერნის" ჰოლანდიელმა კაპიტანმა მოედნის ცენტრში გაილაღა, რამდენიმე მეურვეს გასცდა და მეკარესთან პირისპირ **ფრანკ რიბერი** გაიყვანა. ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის დისკვალიფიცირებულმა ფრანგმა მანამ დაარტყა, სანამ ვიზეს მიუახლოვდებოდა - 3:0.

ბოლო გოლამდე ფრინგსის გაძევება იყო. „ვერდერის" კაპიტანს მოედანი **ბასტიან შვაინშტაიგერის** ფეხებში ვარდნისთვის დაატოვებინეს. ბრემენელთა განადგურებას წერტილი სწორედ შვაინშტაიგერმა დაუსვა, რომელმაც **ფილიპ ლამის** გრძელი დიაგონალური გადაცემით ისარგებლა და მოწინააღმდეგის მცველებსა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

„ბაიერნისთვის" ეს ისტორიაში მეთხუთმეტე თასია. ვან გაალის გუნდმა **ჟოზე მოურინიოს** „ინტერს" აუბა მხარი და სეზონის მეორე ტიტული მოიპოვა და კიდევ ერთხელ განაცხადა პრეტენზია ევროპის საუკეთესო გუნდობაზე. ვისი ამბიციებია უფრო მართებული და ვინ შეწვდება მესამე და უმთავრეს თასს, ამას 22 მაისს შევიტყობთ.

ამბები

## ბლანი სანაკრებოდ ემზადება

რომორც მოსალოდნელი იყო, საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე „ბორდოს" მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** თანამდებობა დატოვა. თითქმის გადაწყვეტილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ის საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე **რაიმონ დომენეკს** შეცვლის. „ბორდოს" ხელმძღვანელობა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის შეფებთან ბლანის კლუბიდან წაყვანის სანაცვლო კომპენსაციის თაობაზე მოლაპარაკებების წამოწყებას აპირებს. ბლანმა „ბორდოსთან" უკვე გაწყვიტა კონტრაქტი, რომელიც ძალაში 2011 წლამდე იყო.

ბლანის ნაკრებში დანიშვნას თვით დომენეკიც უჭერს მხარს: *„ბუნებრივია, ჩემი გადასაწყვეტი არაა, ვინ უნდა იყოს ნაკრების მწვრთნელი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ თუ ვინმეს ჩემი აზრი აინტერესებს, ლორანი იდეალური კანდიდატურაა. მან სამწვრთნელო კლასი უკვე დაამტკიცა საკლუბო დონეზე და დროა, სანაკრებო ასპარეზზეც მოსინჯოს ძალები. ბლანს სიტუაციაში გასარკვევად ბევრი დრო არ ექნება, ევრო 2012-ის შესარჩევი ეტაპი ხომ სექტემბერში იწყება".*

## რეალში მწვრთნელზე ბჭობენ

სამეფო კლუბის გენერალური მენეჯერის **ხორხე ვალდანოს** თქმით, ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ვინ უხელმძღვანელებს „რეალს" მომავალ სეზონში.

*„პირველ რიგში, „ბარსელონას" ჩემპიონობას ვულოცავ. მწვრთნელის საკითხს რაც შეეხება, ამაზე კლუბის ხელმძღვანელებს შორის გაცხოველებული მსჯელობა მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მივიღებთ. მანამდე კი იმის თქმა შემიძლია, რომ შემდეგი სეზონისთვის აუცილებლად დაგვჭირდება შემადგენლობის გაძლიერება"*, - აცხადებს არგენტინელი ფუნქციონერი.

## რიბერი არ ჩამოყალიბებულა

**ფრანკ რიბერი** აცხადებს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელებს კარიერას. *„ჯერაც არ ვიცი, დავრჩები თუ არა „ბაიერნში". ამის ალბათობას 50/50-ზე შევაფასებდი. იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლოსთვის ყველაფერი გარკვეული იქნება"*, - ამბობს ბავარიელთა ფრანგი ნახევარმცველი.

## პრანდელი ვიოლას ერთგულია

„ფიორენტინას" სპორტული დირექტორის **პანტალეო კორვინოს** განცხადებით, **ჩეზარე პრანდელი** მთავარ მწვრთნელად მინიმუმ ერთი წლით დარჩება. არადა, პრანდელის საინტერესო წინადადებები ნამდვილად არ აკლდა - თუნდაც, მუნდიალის შემდეგ იტალიის ნაკრებში **მარჩელო ლიპის** შეცვლა რად ღირს.

*„მან იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო და ევროპაში ანგარიშგასაწევი გუნდი ჩამოაყალიბა. მართალია, სეზონი არცთუ სახარბიელო შედეგით დავასრულეთ, მაგრამ მაინც ფანტასტიკური ფეხბურთი ვითამაშეთ"*, - ამბობს კორვინო.

## გვიდოლინი პარმას ტოვებს

**ფრანჩესკო გვიდოლინმა** „პარმას" დატოვების შესახებ განაცხადა და იქვე დასძინა - ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი, კლუბის ხელმძღვანელობას ახალი კონტრაქტი რომ შემოეთავაზებინაო.

## კინგმა ტოტენჰემთან გაახანგრძლივა

„ტოტენჰემის" კაპიტანმა **ლედლი კინგმა** თავის მშობლიურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. *„არასოდეს მიფიქრია, რომ ოდესმე სხვა კლუბის ღირსება დამეცვა. ფეხბურთის თამაში მხოლოდ „ტოტენჰემში" მსურს"*, - ამბობს ინგლისის ნაკრების მცველი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



სამბო



ნესტორ ხერგიანი



უშანგი კუზანაშვილი

# წლეულსაც სამბისტებმა ივარგეს

გუნდური მესამე ადგილი და პირად პირველობაში მოპოვებული ოქროს ორი, ვერცხლის სამი, ბრინჯაოს ერთი მედალი - ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ნაკრებმა მინსკში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატი. ჩვენებმა პარასკევს აღებული ჩინებული სტარტი, როცა ლეიბზე გასული ხუთი ქართველიდან ოთხმა მედალი მოიპოვა - ორი-ორი ოქრო-ვერცხლი, მომდევნო დღეებშიც გააგრძელეს, თუმცა ჯილდოების უმეტესობა მაინც პირველ დღეზე მოდის. ჩემპიონატის სტარტზე **უშანგი კუზანაშვილის** (52) და **ნესტორ ხერგიანის** (62) ოქროებს, ხოლო **კახა მამულაშვილისა** (74) და **დავით კარბელაშვილის** (90) ვერცხლის მედლებს შაბათს **ამირან პაპინაშვილმა** (57) ბრინჯაო, **ლევან ნახუცრიშვილმა** (68) კი ვერცხლი შემატეს. ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში ნახუცრიშვილს რუსი **დენის დავიდოვი** რომ დაემარცხებინა, ვინძლო, გუნდურიც მოგვეგო, მაგრამ, როგორც რუსული ინტერნეტფორუმებიდან შევიტყვეთ, აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში რუსმა მცირე უპირატესობით იმარჯვა. შედეგად, გუნდური პირველობა სწორედ რუსეთის ნაკრებმა მოიგო, მეორეზე კი მასპინძლები გავიდნენ.

თუმცა სამბისტთა შედეგი ურიგო არც ახლაა. ცხრაკაცანი გუნდი სამშობლოში ექვსი მედლით ბრუნდება, ხუთმა კი ფინალი იჭიდავა - ასეთი შედეგი ნებისმიერი გუნდისთვის მისალებია. შარშანდლისა არ იყოს, საჭიდაო სახეობებში ევროპის ჩემპიონი წლეულსაც მხოლოდ სამბისტებს ჰყავთ.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა — ანკარის ტურნირი

# ახალგაზრდების ანკარული წარმატება

ახალგაზრდა ქართველმა მოჭიდავეებმა დიდი წარმატებით იასპარეზეს ანკარაში დასრულებულ სოლიდურ საერთაშორისო ტურნირში. განსაკუთრებით კარგად „თავისუფლები" გამოვიდნენ, რომლებმაც ოქროს ხუთი, ვერცხლის ერთი და ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვეს. ტურნირის ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე ხიდეშელი** (96) და **ლევან ბერიანიძე** (120) გახდნენ. მძიმე წონაში სულაც ქართული ფინალი გაიმართა - ბერიანიძემ წონის აქამდელი ლიდერი, საქართველოს ჩემპიონი უფროსებსა და ახალგაზრდებში **გიორგი საკანდელიძე** დაამარცხა. მესამე ადგილზე **ვასილ მამულაშვილი** (60) და **მამუკა კორძაია** (84) გავიდნენ.

ბერძენ-რომაელთა მონაგარი ბრინჯაოს ხუთი მედალია, რომლებიც **თორნიკე მახარაძემ** (50), **უშანგი ჩიტიაშვილმა** (74), **დავით ჩაკვეტაძემ**, **რევაზ ნადარეიშვილმა** (ორივე - 84) და **ბექა ჩოფლიანმა** (96) მოიპოვეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ნადარეიშვილი 74-ის მოჭიდავეა, მაგრამ ამ ტურნირისთვის წონა ვერ დაიკლო და მწვრთნელებმაც 84-ში აჭიდავეს.

ორივე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და ეს შეჯიბრება მზადების ერთ-ერთი დასკვნითი ეტაპი. ყოველ შემთხვევაში, ბოლო უცხოური ტურნირი ნამდვილად გამოდგა. „თავისუფლები" შეჯიბრებებში საზღვარგარეთ გამოსვლას ისედაც არ აპირებდნენ, ბერძენ-რომაელები კი გეგმავდნენ საბერძნეთში წასვლას, მაგრამ იქ მიმდინარე მძაფრი საპროტესტო აქციების გამო მასპინძლებმა ის ტურნირი საერთოდ გააუქმეს. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ორივე ნაკრები ლამის სრული შემადგენლობით გამოვა 5-7 ივნისს გასამართ კარტოზია-ბალავაძის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" მეორე ტურნირში. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა ორივე გუნდისთვის საბოლოოდ სწორედ იქ გაირკვევა.

აგვეთანხმებით „თავისუფალთა" ანკარაში ნაჩვენები შედეგიდან განსაკუთრებით საინტერესო მძიმე წონაში მომხდარი ფაქტია, ის ძალზე სასიხარულოა ქართული ფინალის გამო და ძალზე მოულოდნელი - შედეგიდან გამომდინარე, თუმცა ჩვენთვის ესეც სიურპრიზია, როგორც წონაში უჩვეულოდ გაზრდილი კონკურენციის მაჩვენებელი. საკანდელიძე ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია. მაშინ ისე იყო ცნობილი, რომ ევროპაზე ის იჭიდავებდა, მსოფლიოზე - ბერიანიძე, მაგრამ ბოლო შეკრებაზე გუნდის თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** გადაწყვეტილება შეცვალა და მაინც საკანდელიძე წაიყვანა. მწვრთნელი არც შემცდარა, საკანდელიძემ წლეულსაც ჩინებულად დაიწყო სეზონი - უფროსებშიც და ახალგაზრდებშიც საქართველოს ჩემპიონი გახდა. თან ახალგაზრდულის ფინალში სწორედ ბერიანიძე დაამარცხა, მაგრამ ამის შემდეგ მისი ჭიდაობა ცოტა გაუფერულდა. ამის საპირისპიროდ, ბერიანიძემ თანდათან უმატა და ახლა რევანშიც აიღო. მოვლენათა ასეთი განვითარება, კონკურენციის ასეთი ზრდა ძალიან კარგია. მით უფრო, ახალგაზრდების გარდა ნაკრებში ამ წონაში ანგარიშგასაწევი უფროსი თაობის ფალავნებიც მოგვეპოვებიან. ასევე მისასალმებელია ხინჩეგაშვილის, ხუციშვილის, მარსაგიშვილის და ხიდეშელის სტაბილური გამოსვლა, რომელიც მერამდენე სეზონია, გრძელდება. კორძაია და მამულაშვილი შედარებით ახლები არიან ამ ნაკრებში, ისინი უფრო საგაისო შემადგენლობის წევრებად მოიაზრებიან, როცა ახლანდელი გუნდის ლიდერთა უმეტესობა დასრულებს ამ ასაკში გამოსვლას და გზას ახლებს დაუთმობს.

თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ ორივე ნაკრები შეკრებას დაიწყებს „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირისთვის - ბერძენ-რომაელები - ბათუმში, „თავისუფლები" - გორში.

**ირაკლი თავაძე**

სუმო — ნაცუ ბაშო. 9-24 მაისი, ტოკიო (იაპონია)

# ტოჩინოშინი: კომუსუბოამდე სამი მოგებაა

## გაგამარუ: ელიტამდე ორი

ტოკიოს სუმოს დარბაზ „რიოგოკუ კოკუგიკანში" ზაფხულის ბაშოს ნახევარზე მეტი მიილია. საშუალედო ფინიშამდე სამი ქართველი სუმოისტიდან ორი ბრწყინვალე შედეგებით მივიდა, უჭირს მხოლოდ ქართული სუმოს პიონერ **კოკაის (ლევან ცაგურია)**. ჩვენში ყველაზე დიდ ინტერესს **ლევან გორგაძის (ტოჩინოშინი)** ორთაბრძოლები იწვევს, რადგან ელიტის ყველაზე ახალგაზრდა ფალავანი ძალზე ახლოსაა კომუსუბის ტიტულის მოპოვებასთან. ლევანი დასავლეთის მეორე მაეგაშირაა და, შესაძლოა, მინიმალური დადებითი ბალანსიც კი (8-7) ეყოს, რათა კოკაის 2006 წლის გმირობა გაიმეოროს.

შაბათს ტოჩინოშინი კარიერაში მეოთხედ ერკინებოდა დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს**. იმპერატორის თასის მფლობელის წინააღმდეგ ქართველმა ხერხი იხმარა და სასტარტო დაჯახებისას მარცხნივ დაუსხლტა მეტოქეს, თუმცა იმავე მოძრაობით მეტოქის მავაში ხელთ ველარ იგდო. მცირე ბრძოლის შემდეგ იოკოძუნამ თავისი საფირმო ჰიდარი-უვატე დგომი მიილო, საიდანაც ქართველის დოჰიოდან გაძევება აღარ გასჭირვებია.

გუშინ ტოჩინოშინმა ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ მოიგო, მისი მეტოქე მე-5 მაეგაშირა **ჰაკუბა** იყო. მონღოლი „თეთრი ცხენი", ლევანმა ჰაერში აიტაცა და დოჰიოს რკალის მიღმა გაიყვანა. ამ ლონიერი ილეთით ტოჩინოშინს 5-3 ბალანსი გაუხდა. სასიხარულოა ისიც, რომ ტოჩინოშინი უკვე შეხვდა მასზე მაღალი რანგის 7 სუმოისტს, ერთიც ბაშოდან მოიხსნა, ასე რომ, ჩვენებურს უფრო მაღალი რანგის ხუთი რიკიშილა დარჩა „მენიუში".

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე სწორედ მასზე მაღალი რანგის რიკიშია, დასავლეთის პირველი მაეგაშირა **მიაბიამა** (3-5). „კეთილშობილ მთას" ქართველი აქამდე 6-ჯერ შეხვდა და 3-ჯერ მოუგო.

კოკაიმ კი ამ უქმეებზე ორი მარცხით დაგვწყვიტა გული, როგორც ჩანს, ის ვერ შეძლებს ამ ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულებას. შაბათს მას **ტოსაიუტაკა** გაუმკლავდა, კვირას კი - **ტოიოჰიბიკი** (კოკაის მე-300 მარცხი უმაღლეს დივიზიონში). ლევანს 2-6 ბალანსი აქვს და დარჩენილი 7 ორთაბრძოლიდან 6 მაინც უნდა მოიგოს, თუ წინსვლა სურს. შეგახსენებთ, რომ „შავი ზღვა" დღეისთვის მე-6 მაეგაშირაა. დღეს იგი მე-8 მაეგაშირა **კაკიძოეს** (3-5) შეერკინება. ეს მათი მე-20 ორთაბრძოლაა, ჯერჯერობით იაპონელი 11:8-ს იგებს. ბოლო ხუთი ურთიერთდაპირისპირებაც კაკიძოეს სასარგებლოდ დასრულდა.

ორი მოგებაც და მესამე ქართველ სუმოისტს ვიზეიმებთ უმაღლეს დივიზიონში - ძურიოს პირველი ნომერი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** ბრწყინვალედ ასპარეზობს. შაბათს, ნაცუ ბაშოზე მეორედ, მას მაკუუჩის დივიზიონში მოუწია ჭიდაობამ. ქართველის მეტოქე ყოფილი სეკივაკე **ტოჩინონადა** იყო. გაგამარუს სამი წამიც კი არ დასჭირვებია დამსახურებული ვეტერანის დოჰიოდან გასაგდებად. გუშინ კი გაგამარუს ხერხით აჯობეს, მისი მეტოქე ჩინეთის წარმომადგენელი მონღოლი **სოკოკურაი** იყო, სასტარტო დაჯახებისას მან განზე გაიწია, გაგამარუს მავაში იგდო ხელთ და უვატენაგეს ილეთით დააგდო. ქართველს 6-2 ბალანსი აქვს, უმაღლესის საგზურთან ერთად ის დივიზიონის ჩემპიონობისთვისაც იბრძვის. დღეს გაგამარუ ძურიოს მე-5 ნომერ **ბუშუიამას** (5-3) შეხვდება. 202-კილოგრამიანი ქართველი 170-კილოგრამიან იაპონელს პირველად მარტის ბაშოზე შეხვდა და იორიტაოშის ილეთით მოუგო.

შაბათს ბაშო კისრის ტრავმის გამო მიატოვა აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა **ჰომაშომ**, რომელსაც აქამდე 6 მარცხი ჰქონდა. დღეიდან ზაფხულის სუპერტურნირს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს, დიდი მონღოლი **ჰაკუჰო**. 8-0 ბალანსი მარტო მას აქვს, მხოლოდ იოკოძუნამ შეძლო უკვე დადებითი ბალანსის დაბევება.

### მაკუუჩი

**VII დღე: ჰაკუჰო**-ტოჩინოშინი (იორიკირი), **კოტოოშუ**-კისენოსატო (უვატენაგე), **კოტომიცუკი**-ამინიშიკი (ჰატაკიკომი), **ტოიონოშიმა**-კაიო (სუკუინაგე), **ბარუტო**-მიაბიამა (ოშიდაში), **ჰარუმაფუჯი**-კაკურიუ (ოშიდაში), **ტოჩიოძანი**-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), **ვაკანოსატო**-ჰომაშო (უბრძოლველად), **კიტატაიკი**-ტამავაში (იორიკირი), **კიოკუტენჰო**-ასასეკირიუ (იორიკირი), **ჰაკუბა**-კაკიძოე (ჰიკიოტოში), **ტოკიტენკუ**-ტოიოჰიბიკი (უვატედაშინაგე), **ტოსაიუტაკა**-კოკაი (იორიტაოში), **ტაკეკაძე**-გოეიდო (იორიკირი), **ტოკუსეგავა**-არანი (შიტატენაგე), **ოკინოუმი**-ტაკამისაკარი (იორიკირი), **მოკონამი**-ვაკაკოიუ (ჰიკიოტოში), **კიმურაიამა**-შიმოტორი (ოშიტაოში), **იოშიკაძე**-ჰოკუტორიკი (ჰიკიოტოში), გაგამარუ-ტოჩინონადა (იორიკირი), **ტამანოშიმა**-კორიიუ (ოშიდაში).

**VIII დღე: ჰაკუჰო**-ამინიშიკი (იორიკირი), **კოტომიცუკი**-ასასეკირიუ (უვატენაგე); **კაიო**-ვაკანოსატო (იორიკირი), **კაკურიუ**-ბარუტო (ოშიტაოში), **ჰარუმაფუჯი**-ტოჩიოძანი (ოშიდაში), **კოტოოშუ**-კიტატაიკი (იორიკირი), **კისენოსატო**-კოტოშოგიკუ (იორიკირი), **მიაბიამა**-ტოიონოშიმა (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-ჰაკუბა (ცურიდაში), **ტოიოჰიბიკი**-კოკაი (ოშიდაში), **კაკიძოე**-ტოკიტენკუ (ცუკიოტოში), **ტოკუსეგავა**-კიოკუტენჰო (სოტოგაკე), **ტამავაში**-ოკინოუმი (ოშიდაში), **იოშიკაძე**-გოეიდო (სუკუინაგე), **ტაკამისაკარი**-ტოსაიუტაკა (ჰიკიოტოში), **არანი**-შიმოტორი (იორიკირი), **კორიიუ**-მოკონამი (ცუკიტე), **კიმურაიამა**-ტამანოშიმა (ჰიკიოტოში), **ტაკეკაძე**-ჰოკუტორიკი (ჰიკიოტოში), **ვაკაკოიუ**-ტოჩინონადა (ჰიკიოტოში).

სატურნირო მდგომარეობა: **8-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა). **7-1: ბარუტო** (ოძეკი). **6-2: ჰარუმაფუჯი** (ოძეკი), **კოტოოშუ** (ოძეკი), **ჰაკუბა** (მაეგაშირა 5), **არანი** (მ 10), **მოკონამი** (მ 11), **იოშიკაძე** (მ 13), **შიმოტორი** (მ 15)... **5-3: ტოჩინოშინი** (მ 2)... **2-6: კოკაი** (მ 6).

### ძურიო

**VII დღე: ჩიოჰაკუჰო**-საგაცუკასა (ოშიდაში), **ტამაასუკა**-შოტენრო (იორიკირი), **კოტოკასუგა**-სოკოკურაი (იორიკირი).

**VIII დღე: სოკოკურაი**-გაგამარუ (უვატენაგე), **საგაცუკასა**-ტოსანოუმი (ოშიტაოში), **ბუშუიამა**-კოტოკასუგა (ოშიდაში).

სატურნირო მდგომარეობა: **7-1: დაიდო** (ძურიო 8), **კიოსეუმი** (ძ 10). **6-2: გაგამარუ** (ძ 1), **მაცუტანი** (ძ 12).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი — დევისის თასი

# ისევ ფსკერზე დავრჩით

## მხოლოდ მონდომებამ არ იკმარა

საქართველოს ნაკრები გაისადაც „დევისის თასის" ყველაზე დაბალ საფეხურზე, ევროპა-აფრიკის III ზონაში იასპარეზებს. იქ, სადაც უმთავრესად ჯუჯა სახელმწიფოთა წარმომადგენელი მოყვარული ჩოგბურთელები გამოდიან. საქართველოს ნაკრებმა, კერძოდ კი, მისმა ორმა „ვეტერანმა", რაც შეეძლო, სცადა, მაგრამ ვერას გახდა - პლეი-ოფში ტურნირის მასპინძელ საბერძნეთთან 1:2 წააგო...

**ირაკლი ლაბაძისა** და **ლადო ჩიხლაძის** გამოსვლა ნაკრებში ბევრისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო - 28 წლის ლაბაძეს, რომელიც 6 წლის წინათ მსოფლიოს 42-ე ჩოგანი იყო, და 25 წლის ლადო ჩიხლაძეს დიდი ხანია, ჩოგბურთი არ უთამაშიათ. საბერძნეთში ყველამ აღნიშნა, რომ ლაბაძე მონაწილეთა შორის ყველაზე მაღალი კლასის ჩოგბურთელი იყო და რამდენიმე კილოგრამის დაკლების და სერიოზული ვარჯიშის შემთხვევაში მას უმალვე შეუძლია მოწინავე 200-ეულში დაბრუნება, ხოლო ლადო ჩიხლაძეს, უთამაშებლობის მიუხედავად, მაინც ყველაზე ძლიერი მოწოდება ჰქონდა. მაგრამ ამ ორი ჩოგბურთელის პატრიოტიზმი საკმარისი აღარაა, რათა გუნდმა თუნდაც მცირე მიზანს მიაღწიოს. რას ვიზამთ, როცა ამ ორის იქით სრული სიცარიელეა, ერთადერთი მოქმედი ჩოგბურთელი, რომელსაც „რაღაც" რეიტინგი აქვს (**ნიკოლოზ ბასილაშვილი**), ჯერ კიდევ ყოყმანობს, ითამაშოს თუ არა საქართველოს სახელით, ერთი იმედის მომცემი (**ლაზარე კუხალაშვილი**) „ვერ გაიზარდა", **თეიმურაზ გაბაშვილის** „გაქართველების" წინასაარჩევნო დაპირება კი დაპირებად დარჩა... მოკლედ, ქართულ ვაჟთა ჩოგბურთში სრული კრიზისი, უფრო კი - კატასტროფა...

საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში მოხვდა, რომელიც ხუთგუნდიანი იყო და ჩვენ გარდა მხოლოდ ერთი ანგარიშგასაწევი გუნდი თამაშობდა - ლუქსემბურგისა, ისიც იმიტომ, რომ **ჟილ მიულერმა** (280) ამჯერად უარი აღარ თქვა მშობლიური ქვეყნის გუნდში თამაშზე, დანარჩენები: მალტა, ანდორა და ისლანდია ერთმანეთზე სუსტები იყვნენ. მაგრამ საჭირო იყო ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, რათა მასპინძლებს პლეი ოფში ავცდენოდით, ეს კი ვერ მოვახერხეთ.

საბედისწერო მე-4 ტურის მატჩი იყო ლუქსემბურგთან, რომელიც 1:2 წავაგეთ. ლადო ჩიხლაძემ **მაიკ შაიდვაილერი** ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:4. ერთეულთა მეორე მატჩში ჟილ მიულერის წინააღმდეგ **ნოდარ ითონიშვილი** (ირაკლი ლაბაძე იმ კონდიციებში ვერაა, რომ ერთეულებშიც შეძლოს თამაში და წყვილებშიც) გამოვიდა და ვერაფერი გააწყო - 2:6, 1:6. გადამწყვეტი წყვილთა შეხვედრა გამოდგა, სადაც ჩვენი ვარსკვლავური დუეტი მიულერმა და შაიდვაილერმა ორ სეტში დაამარცხეს - 7:6 (4), 6:1. ამავე ტურში ანდორამ ისლანდიას 2:1 მოუგო.

პლეი ოფში გასასვლელად აუცილებლად უნდა მოგვეგო მალტის ნაკრებისთვის. ორივე გუნდს 2-2 მოგება ჰქონდა. ჩიხლაძემ **ბრედლი კალუსი** იოლად დაამარცხა - 6:0, 6:1. **გიორგი ცივაძემ** ვერაფერი მოუხერხა **მეტიუ ასიაკს** - 3:6, 4:6. აღსანიშნავია, რომ ვერც ცივაძემ და ვერც ითონიშვილმა ვერ შეძლეს თუნდაც ოდნავ დახმარებოდნენ ნაკრებს საჭირო მომენტში. ათენის ოლიმპიური კომპლექსის კორტზე ლადო და ირაკლი გავიდნენ და სირცხვილისგან გვიხსნეს, მალტელები, ასიაკი და **გატი** 6:2, 6:4 დაამარცხეს. ამ მოგებით საქართველოს ნაკრებმა მე-2 ადგილი დაიკავა ჯგუფში. ბოლო ტურში ლუქსემბურგის ნაკრებმა 2:1 მოუგო ანდორას და პირველი ადგილი გაინაღდა, მალტა მესამე ადგილით დაკმაყოფილდა, ანდორა მეოთხეზე გავიდა, ისლანდია - ბოლო ადგილზე.

ბ ჯგუფში პირველი ადგილი მასპინძელთა ნაკრებმა დაიკავა, მეორე - მოლდოვამ, ჩერნოგორიის ნაკრები კი პლეი ოფის მიღმა დარჩა.

და, აი, შაბათს გადამწყვეტი მატჩის დღეც დადგა, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ერთეულებში ირაკლი ლაბაძე ითამაშებდა. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ მატჩს ჩიხლაძესა და 32 წლის **კონსტანტინოს ეკონომიდისს** შორის. სამივე სეტში ტაი-ბრეიკი გახდა საჭირო, სამწუხაროდ, ლადომ მხოლოდ პირველი ტაი-ბრეიკი მოიგო - 7:6 (5), 6:7 (4), 6:7 (4). ლაბაძე ბერძნების პირველი ნომრის, **თეოდოროს ანგელინოსის** (429) წინააღმდეგ გავიდა, მაგრამ ვერას გახდა - 6:7 (5), 2:6. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო და ბერძნები ლაბაძისა და ჩიხლაძის წყვილს არ გამოუცხადდნენ - 1:2. საბერძნეთი გაისად ევროპა-აფრიკის II ზონაში ითამაშებს. ისევე, როგორც ლუქსემბურგის ნაკრები, რომელმაც 2:1 მოუგო მოლდოვას. მე-5 ადგილისთვის შეხვედრაში ჩერნოგორიამ მალტა გაანადგურა - 3:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა · ზულის ტურნირი

# ფანჩულიძის სიურპრიზი გერმანიიდან

ქართულ სპორტში და მით უფრო - ტყვიის სროლაში იშვიათად ვხვდებით ისეთ სასიამოვნო მოულოდნელობებს, რაც ამ დღეებში ახალგაზრდა ქუთაისელმა **ნინო ფანჩულიძემ** გააკეთა. ის და თბილისელი **ანა გაგილაძე** გერმანულ ზულში ახალგაზრდების ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ, სადაც ორივე საკუთარი ხარჯით გაემგზავრა. დასამალი არაა, მათი აქამდელი შედეგები არ იძლეოდა ოპტიმიზმის საფუძველს და ამიტომ სათანადო ინსტანციებს არც მათ დაფინანსებაზე უზრუნიათ. ზულის ტურნირი იმდენად ძლიერი და ავტორიტეტულია, ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობასაც კი შეიძლება შევადაროთ. იქ ჩვენები მხოლოდ პნევმატური პისტოლეტით სროლაში გამოდიოდნენ და ფანჩულიძემ დიდი სიურპრიზი გაგვიკეთა - მეხუთე ადგილზე გავიდა, მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო შესარჩევ ეტაპზე მის მიერ ნაჩვენები შედეგია - 374 ქულა ანუ იმ მაჩვენებელზე გავიდა, რასაც ბოლო წლებში ჩვენი ეროვნული ნაკრების მეორე-მესამე ნომრები აკეთებდნენ. ფანჩულიძე საერთოდ პირველად ასპარეზობდა უცხოეთში და აქამდე არც მსგავსი მიღწევა ჰქონია. ამიტომ ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ სტაბილურად გააკეთებს ასეთ შედეგს და ამ ზონაში დაიმკვიდრებს ადგილს, მაგრამ 370-იანი მიჯნა უფროსთა ტურნირებშიც კი ფინალში შესვლის კარგი წინაპირობაა. აქ ისიც ვთქვათ, რომ შეჯიბრებები ახალგაზრდებსა და უფროსებში აბსოლუტურად ერთნაირი პრინციპით ტარდება და ამ შედეგით ეროვნულ გუნდზეც შეიძლება ორიენტაციის აღება. თუ ფანჩულიძე სტაბილურად შეინარჩუნებს ამ დონეს, ეს ძალიან წაადგება ნაკრებსაც, სადაც გუნდურ პირველობაში წარმატებები მოგვეპოვება -ჩვენებმა 2002 წელს ევროპის პირველობაზე ვერცხლი მოიპოვეს, ორჯერ კი ბრინჯაომდე თითო ქულა დააკლდათ. არაფერს ვამბობთ კონკურენციის გაზრდაზე, რაც ასევე დაეტყობა შედეგებს. შესარჩევი ეტაპი ფანჩულიძემ მეშვიდე ადგილზე დაასრულა, თუმცა გერმანელ **ვანესა დუსინგსა** და იტალიელ **არიანა კომის** მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა. მაინცდამაინც დიდი სხვაობა არც პირველ ოთხეულთან ყოფილა, საიდანაც საგრძნობლად მხოლოდ საკვალიფიკაციოს გამარჯვებულმა, ჩეხმა **იანა ლორენცოვამ** გაუსწრო - 380 ქულა დააგროვა. რუსმა **ეკატერინა ბარსუკოვამ** 377 გააკეთა და ერთი ქულით აჯობა ინდოელ **ლოვლენ კაურის**. თავის მხრივ, ამან ასევე ერთი ქულით გაუსწრო თანაგუნდელ **რაჰი სარნობატს**, ფინალური ოქტეტი კი ფინელმა **ანეტე კალიმ** დაახურა 373 ქულით, რომელმაც ფინალში დამატებითი სერიის ხარჯზე შეასწრო გერმანელ **ლეა ჯორდანს**.

ფინალში ფანჩულიძემ 96,1 გააკეთა, რაც მეოთხე შედეგი იყო, თუმცა ბარსუკოვას და სარნობატს მეათედებით ჩამორჩა. ჩვენებურმა საბოლოოდ 470,1 დააგროვა და მეხუთეზე დამკვიდრდა. ფინალურ სერიას შესარჩევის შემდეგ დაფიქსირებულ განლაგებაში დიდი ცვლილებები არ შეუტანია, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ინდოელებმა გაცვალეს ადგილები - მესამეზე სარნობატი გავიდა, რომელმაც კაური ერთი საფეხურით დააქვეითა. საკვალიფიკაციოს მსგავსად, ფინალური სერიაც ლორენცოვამ მოიგო 98,9 ქულით და ჯამში დაგროვებული 478,9-ით დამსახურებულად გაიმარჯვა, ვერცხლი კი ბარსუკოვას ერგო - 473,6.

რაც შეეხება გაგილაძეს, ურიგოდ არც ის გამოსულა, თუმცა ფინალში ვერ მოხვდა - 361 ქულით 36-ზე გავიდა.

სამწუხაროდ, ამ სახეობაში ახალგაზრდობის მსოფლიოს პირველი ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი უკვე ჩატარდა და მასში ჩვენები არ გამოსულან, თუმცა ფანჩულიძეს იქ მოხვედრის მცირე შანსი მაინც რჩება. ეს იმედი ძირითადად 29 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით მიუნხენში გასამართ მსოფლიოს პირველობას უკავშირდება (ის ახალგაზრდებსა და უფროსებში ერთმანეთის პარალელურად ტარდება). ჩვენს ფედერაციაში უკვე დაიწყეს ზრუნვა იმაზე, რომ ფანჩულიძე ამ ტურნირისთვის მოსამზადებელ შეკრებებში ჩართონ. ძალიან ცუდია, რომ ქუთაისელ მსროლელს მიზეზთა გამო შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა. მისი ახლანდელი შედეგი ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანია შეჯიბრებები ახალგაზრდებისთვის - კაცმა არ იცის, ვინ როდის „გაისვრის" და ამის დასამტკიცებლად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა უახლოესზე შევჩერდეთ - შარშან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **მანუჩარ ცხადაიაც** (66) ასე, თავისი ხარჯით წავიდა უნგრეთში ტურნირზე და სწორედ იქ მოპოვებული წარმატების შემდეგ დამკვიდრდა ნაკრებში. შედეგად, შარშან ის ჩვენი გუნდის ერთადერთი მედალოსანი გამოდგა - ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა, მსოფლიოზე - ვერცხლი, წლის ბოლოს კი აბსოლუტურად ყველა ნომინაციით ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. მსგავსი მაგალითები კიდევ ერთხელ აქარწყლებს ჩვენში დამკვიდრებულ სტერეოტიპს - ჯერ შედეგი გვაჩვენეთ და მერე დაგაფინანსებთო. მარტივი ჭეშმარიტებაა - შედეგი შეჯიბრებების გარეშე ვერ იქნება.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი



ზვიად დავითიანი შეგირდებთან ერთად · ავტორის ფოტო

# ზევ ოლიმპიკში, ხუთი საათიდან

იყო დრო, ლაგუნა ვერეს საწყლოსნო კომპლექსში წყალბურთელთა ისეთი საერთაშორისო ტურნირები იმართებოდა, დღევანდელ მოწინავე ქვეყნებს რომ შეშურდებოდათ. ქართველ გულშემატკივარს თბილისის საცურაო აუზში ბევრი ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონისა და პრიზიორის თამაშები უხილავს. პლანეტის აღიარებულ სპორტსმენებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მასპინძლები, რომლებსაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება და ქომაგთა ოვაციებიც არაერთხელ დაუმსახურებიათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენთან განვითარებული მოვლენების შემდეგ, სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, წყალბურთის ტრადიციები დავიწყებას მიეცა. და აი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტისა და საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის საერთო ძალისხმევით თბილისის საერთაშორისო ტურნირი აღდგა — 19 მაისს 18.30 საათზე რეკონსტრუირებულ საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" საზეიმოდ გაიხსნება ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად დიდი ბრიტანეთის, უკრაინისა და ბელარუსიმ ეროვნული გუნდები იასპარეზებენ.

**განრიგი**

19 მაისი. **17:00 უკრაინა-დიდი ბრიტანეთი,**
**19:00 საქართველო-ბელარუსი.**
20 მაისი. **18:00 დიდი ბრიტანეთი-ბელარუსი,**
**19:30 საქართველო-უკრაინა.**
21 მაისი. **18:00 უკრაინა-ბელარუსი,**
**19:30 საქართველო-დ/ბრიტანეთი.**

შეჯიბრების დელეგატია **მილიდო ბებიჩი** (ხორვატია), ორთაბრძოლებს კი **ირაკლი სანაძე** (საქართველო), **ნიკოლას სტავროპულოსი** (საბერძნეთი), **ატილო პაოლეტი** (იტალია) და **მარკ კოგანოვი** (აზერბაიჯანი) იმსაჯებენ.

ამ პასუხსაგები ასპარეზობისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები, რომლის მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად დავითიანმა** გუშინ საღამოს ჩვენი გუნდის შემადგენლობაც დაგვისახელა. ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, ვლადიმერ მარკოვიჩი, კოტე გელაშვილი, ზურაბ რურუა, გიორგი ახვედელიანი, ტატო ნიკოლეიშვილი, სანდრო ნამორაძე, ბექა ქავთარაძე და მიხეილ ბალათურია.**

„თბილისის ტურნირისთვის საფუძვლიანად მოვემზადეთ. ჯერ ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება სერბეთში, კერძოდ, ნოვი სადის კლუბში გავიარეთ, შემდეგ ოთხი შეხვედრა უკრაინის ღია ჩემპიონატში ვითამაშეთ. ბევრი ახლაგაზრდა გამოვცადეთ. ყველაფერი ეს, თბილისის ტურნირის ჩათვლით, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ორთაბრძოლებისთვის გამოგვადგება. ნატურალიზებული უცხოელებიდან ამჯერად მხოლოდ სამი სპორტსმენი დაგვეხმარება. დანარჩენები ჩამოსვლას ვერ ახერხებენ, რადგან, საკუთარ კლუბებში აქვთ ეროვნული ჩემპიონატების ბოლო მატჩები გასამართავი. თბილისის ტურნირთან დაკავშირებით ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გვეწვევა და მასთან შეთანხმებით ამ შეჯიბრებას სამომავლოდ, ალბათ, ივნისისთვის გადავიტანთ. რაც შეეხება კონტინენტის პირველობას, შესარჩევი პაექრობების ვადები 29 მაისს ლენ-ის კონგრესზე დამტკიცდება და სამოქმედო გეგმასაც ამის მიხედვით დავსახავთ.

თბილისის ტურნირის სამივე მონაწილესთან გვითამაშია, მათს შესაძლებლობებს ვიცნობთ. ცხადია, პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ, რომ დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ გულშემატკივრები კვლავ გავახაროთ. მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავ: ოცი წლის წინათ - 1988-1989 წლებში მეც მომისინჯავს ძალები ლაგუნა ვერეს აუზში საქართველოს გუნდის შემადგენლობაში, ახლა კი ეროვნული ნაკრები იასპარეზებს ჩემი ხელმძღვანელობით. ვეცდები, დებიუტი წარმატებული გამოდგეს,- მითხრა ზვიად დავითიანმა.

„ერთ-ერთ პრიორიტეტად წყალბურთი რომ შევარჩიეთ, არ შევმცდარვართ. მეორე წელიწადია, რაც სპორტის ამ სახეობის აღორძინება დავიწყეთ და უკვე შედეგებსაც ვიმკით. მარტო ის წარმატება რად ღირს, რომელსაც ახალგაზრდა წყალბურთელებმა **რევაზ ჩომახიძის** ხელმძღვანელობით მიაღწიეს: სულ რაღაც ექვსთვიანი ვარჯიშის შემდეგ გუნდი ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გავიდა. ეროვნულ ნაკრებს საიმედო ცვლა ეზრდება. ეს აუცილებელიცაა, რადგან მუდმივად ნატურალიზებულ წყალბურთელთა იმედად ვერ ვიქნებით.

მოგეხსენებათ, მიზნად 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაც დავისახეთ და საამისოდ არაფერს ვიშურებთ. არ ვიცი, რამდენად გაგვიმართლებს, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 2016 წლის ოლიმპიადაზე ანგარიშგასაწევი, კონკურენტუნარიანი ნაკრები გვეყოლება. ქართველებს წყალბურთის სიყვარული გენში გვაქვს. წინა საუკუნეში ჩვენთან 5-6 ისეთი სპორტსმენი გაიზარდა, დღეს ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებს რომ დაამშვენებდა. დარწმუნებული ვარ, მათი შთამომავლები თავს აუცილებლად ისახელებენ, თბილისის ტურნირზეც, რომელიც ოლიმპიკის განახლებულ აუზში ზეგ დაიწყება,- თქვა სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა**.

**ვაჟა დანელია**

## ფინალში ივერია და ლიგამუსი

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" გრძელდება 1995-1996 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობა 8 გუნდის მონაწილეობით.

გასულ უქმეებზე მოასპარეზეებმა დაამთავრეს ჯგუფური ტურნირები და ნახევარფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.

**A ჯგუფი. 15 მაისი.** ბათუმი - სკოლა-ლიცეუმი 22:1, ივერია (1)-თბილისი 20:3. **16 მაისი.** ივერია (1)-სკოლა-ლიცეუმი 33:2, ბათუმი-თბილისი 8:9.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ივერია 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 60:9 | 6 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | 27:29 | 4 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 34:17 | 2 |
| სკ.-ლიცეუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:70 | 0 |

**B ჯგუფი. 15 მაისი.** ლიგამუსი(2)-ტონუსი 14:4, ლიგამუსი(1)-ივერია (2) 11:1; **16 მაისი.** ლიგამუსი (1)-ტონუსი 24:1, ლიგამუსი(2)-ივერია (2) 4:4.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიგამუსი 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 43:4 | 6 |
| ლიგამუსი 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 21:16 | 3 |
| ივერია 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 19:17 | 3 |
| ტონუსი | 3 | 0 | 0 | 3 | 7:52 | 0 |

გუშინვე ნახევარფინალური შეხვედრებიც გაიმართა.

A ჯგუფის გამარჯვებულმა ივერია 1-მა B ჯგუფში ბურთების უკეთესი სხვაობით მეორე ადგილზე გასულ ლიგამუს 2-ს 21:1 სძლია, ხოლო B ჯგუფში უძლიერესმა ლიგამუს-1-მა თბილისი დაამარცხა 17:6. ამდენად, დღეს ფინალში ოქროს მედლებისთვის ივერია 1 და ლიგამუსი 1 იბრძოლებენ, ხოლო ლიგამუსი 2-ისა და თბილისის პაექრობა ბრინჯაოს მფლობელს გამოავლენს.

V-VIII ადგილებისთვის კვირის შეხვედრები ასე დამთავრდა: ბათუმი-ტონუსი 17:2, სკოლა/ლიცეუმი - ივერია (2) 3:20.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

# სპორტის დედოფალი ეროვნულ სტადიონზე

მთელი მსოფლიო ყოველ მაისს ზეიმით აღნიშნავს მძლეოსნობის დღეს. გასულ უქმეებზე სწორედ სპორტის დედოფლის დღესასწაულს მიეძღვნა პაექრობები, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა. საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 100-ზე მეტი გოგონა და ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას ორ ასაკობრივ ჯგუფში. საგულისხმოა, რომ ექვს-ექვსი საუკეთესო შედეგი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციაში გაიგზავნება, სადაც შეჯამდება ხუთ კონტინენტზე გამართული ორთაბრძოლების მაჩვენებლები და რჩეულებს წლეულს აგვისტოში ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრებად მიიწვევენ. აქამდე ამგვარი პატივი ორ ქართველ მძლეოსანს (1999 წელს — ნინო ბაგაშვილს, 2003 წელს — სოფიო მაჭავარიანს) ერგო. იმედია, რჩეულთა შორის ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი ამჯერადაც აღმოჩნდება.

ახლა კი ეროვნულ სტადიონზე გამართული პაექრობების გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ:

**1995-1996 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 80 მ.** 1. სოფიო ჩალაშვილი (თბილისი, 10.6), 2. მარიამ ბედუკაძე (თბილისი, 10.7), 3. სალომე ხაჟომია (ქუთაისი, 11.1). **150 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 18.9), 2. სოფიო ჩალაშვილი (თბილისი, 19,5), 3. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 20.6); **1000 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 3.10,5), 2. გაიანე გაბრიელიანი (ახალციხე, 3.38.1), 3. თამარ შამოევა (თბილისი, 3.40.2). **ვაჟები. 80 მ.** 1. ნიკა ლუკავა (თბილისი, 9.4), 2. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 9.5), 3. ლაშა ნუცუბიძე (ქუთაისი, 10.5); **150 მ.** 1. ნიკა ლუკავა (თბილისი, 17,6), 2. გიორგი აზარაშვილი (თბილისი, 17.8), 3. გიგა ჭიკაძე (თბილისი, 19.1); **1000 მ.** 1. ნიკა კაჯაევი (თბილისი, 3.17.6), 2. სანდრო ლამბაშიძე (თბილისი, 3.18.8), 3. გუგა კერესელიძე (თბილისი, 3.52.9).

**1993-1994 წლებში დაბადებულნი. გოგონები. 100 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12.5), 2. ლიკა ლოლუა (ფოთი, 12.8), 3. მარინე კალატოზი (ოზურგეთი, 14.1), **200 მ.** 1. ლიკა ლოლუა (ფოთი, 25.6), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 27.2), 3. მარინე კალატოზი (ოზურგეთი, 29.5); **400 მ.** 1. სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 1.03.1), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.03.7), 3. ოქსანა სტეფანოვა (თბილისი, 1.05.7); **800 მ.** 1. თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომი, 2.24.1), 2. სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხე, 2.35.8), 3. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 2.42,2); **1500 მ.** 1. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 5.43.1); **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 10.7მ); **ბირთვი.** 1. ხატია ხურცია (ხონი, 9.29 მ). 2. ნანა კორტავა (ფოთი, 8.7); **შუბი.** 1. ხატია ხურცია (ხონი, 30.7 მ); **სიგრძე.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 4.90 მ), 2. ნათია გიორგაძე (საჩხერე, 4.90 მ), 3. სალომე ჩაბაკური (თბილისი, 4.50).

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 10.9), 2. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 11.3), 3. იოსებ მარუქაშვილი (ახმეტა, 11,5); **200 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ, 22.6), 2. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 23.5), 3. იოსებ მარუქაშვილი (ახმეტა, 23.6); **400 მ.** 1. ნიკა რურუა (აშშ, 54.6), 2. შოთა ზოიძე (ოზურგეთი, 55.9), 3. ტიგრან ვართანიანი (თბილისი, 56.2); **800 მ.** 1. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.10.1), 2. ნიკა რურუა (აშშ, 2.12.1), 3. დათო ძიმისტარაშვილი (ქუთაისი, 2.12.3); **1500 მ.** 1. გიორგი ლომიძე (თბილისი, 4.22.4), 2. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 4.31.6), 3. თორნიკე გიორგაძე (ქუთაისი, 4.53.2); **3000 მ.** 1. გიორგი ლომიძე (თბილისი, 10.06,0), 2. დავით კოპალეიშვილი (ვანი, 11.32.3); **110 მ თარჯრბენი.** 1. თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 11.7), 2. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 19.5); **400 მ. თარჯრბენი.** 1. თემურ არზუმელაშვილი (თბილისი, 1.02.5), 2. თემური ცირამუა (ზუგდიდი, 1.04.6), 3. გიორგი წითურიძე (თბილისი, 1.06.0); **ბირთვი.** 1. გიორგი გოგოლაშვილი (ოზურგეთი, 13.10 მგ), 2. გიგლა გეგუჩია (ზუგდიდი, 11.77), 3. ვაჟა აბესაძე (ქუთაისი, 9.82); **სიგრძე.** 1. შოთა ზოიძე (ოზურგეთი, 5.25 მ), 2. ლევან ონაშვილი (საჩხერე, 5.10), 3. თემურ მაისურაძე (თბილისი, 5.05); **შუბი.** 1. შოთა იმედაძე (თბილისი, 34.34 მ); **ბადრო.** 1. გიორგი გოგოლაშვილი (ოზურგეთი, 43.30).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

სუპერლიგა ფინალი

# კომბინაცია კ-ჭ და გაკოჭილი ენერჯი

რუსთავში გამართულ მეორე ფინალში კომბინაციის დაწყებისას არც ერთი გუნდის გამთამაშებელს დაუძახია, კომბინაცია ჭ-ს ვიწყებო. სათაურში მხოლოდ ბგერების („ჭ“ და „კ“) კომბინაცია იგულისხმება. ისინი ერთად არაერთ სიტყვაში გვხვდება: კოჭი, კენჭი, გაკოჭვა, კუჭავა...

ვინც შაბათის ფინალი იხილა, ამ სიტყვებს თსუ-ს იოლად დაუკავშირებს: **კოჭნატკენი** სტუდენტები კაუის **კენჭებივით** დაუდგნენ მასპინძლებს და **კუჭავას** დახმარებით **გაკოჭეს**...

ბოლო სიტყვა, შეიძლება, ცოტა უხეშად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: „ენერჯი“ მიმდინარე სუპერლიგაში პირველად ვნახეთ შეტევისას ასეთი შებოჭილი. მეოთხე პერიოდში, როცა გამარჯვებულის ბედი წყდებოდა, თამაშიდან ვერც **ტულუშმა** ჩააგდო, ვერც **ბოისამ**, ვერც **ტუჯანმა**, ხოლო **ტილფორდმა** და **ბაბიაშვილმა** თითო ორქულიანი გამოიყენეს... მხოლოდ **პირველაშვილმა** ჩააგდო თითოთითო სამი და ორქულიანი. ასეთი ჩავარდნა და სუპერლიგაში პირველი მარცხი ორ ფაქტორს უნდა განეპირობებინა: თსუ-ს მონდომებას და „ენერჯის“ არასათანადო კონცენტრირებას. რაც უნდა მდგრადი გუნდი იყოს, მასზე გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორები მაინც მოქმედებს: რუსთაველებმა დაინახეს, რომ პირველ მატჩში გამთამაშებლის, **გაფრინდაშვილის** გარეშე დარჩენილმა სტუდენტებმა თამაში ვერ დაალაგეს. გიორგის გარდა თსუ-ს ორი ტრავმირებული ჰყავს - **ფანჩულიძე** და **ლოსაბერიძე**. ამიტომ ქვემოქართლელები შინაგანად გამარჯვებაში დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ჰოდა, როცა მეტოქე კაჟის კენჭივით მყარად დახვდა... არც ეს შედარებაა თითიდან გამოწოვილი: მატჩის შემდეგ თსუ-ს ბრძოლისუნარიანობით ყველა გაკვირვებული იყო. სუპერლიგის ოფიციალურ საიტზე დაიწერა: „სეზონის ყველაზე მებრძოლი გუნდის პრიზი რომ იყოს დაწესებული, მას ეჭვგარეშე თსუ მიიღებდა.“ სტუდენტები ყოველი მოხსნისთვის, ჩაჭრისთვის და თითოეული მეურვის შესაჩერებლად გაორმაგებული ენერგიით იბრძოდნენ. ასეთ დროს ბუნების კანონს ვერსად გავექცევით: დიდი ენერგიის დახარჯვის შემდეგ ადამიანის ორგანიზმი ილლება და შედეგიანობაც იკლებს. **ხეცურიანმა** და **კოხრეიძემ** 37-37 წუთი ითამაშეს, **კეიდიამ** - 32, **მინაშვილმა** - 28, თუმცა მათ ბრძოლისუნარიანობა არც მეოთხე რაუნდში დაჰკლებიათ. ეს შედეგზეც აისახა: მეოთხე პერიოდში „ენერჯის“ 19:12 აჯობეს. ნახევარფინალებისას გამოჩნდა და შაბათსაც დადასტურდა, რომ **ნუგზარ ჭეიშვილმა** გუნდი ფსიქოლოგიურად კარგად მოამზადა.

შესავალში „კ“ და „ჭ-ს“ კომბინაციის შედეგად ერთი გვარი მივიღეთ - კუჭავა. სერიის პირველ შეხვედრაში, როცა გაფრინდაშვილმა კოჭი გადაიბრუნა, მის ნაცვლად მოედანზე გიორგი კუჭავა შევიდა. პირველივე შეტევისას იგი ისე არ მოიქცა, როგორც მწვრთნელს სურდა და სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა. მეორე მატჩამდე ნუგზარ ჭეიშვილს კუჭავასთვის ლიდერის ფუნქციების გასაცნობად ერთი დღე ჰქონდა. როგორც ჩანს, მწვრთნელმა მოთამაშე ფსიქოლოგიურადაც (ფიზიკურად მთელი გუნდია კონდიციებში) სათანადოდ განაწყო, მეორე მატჩში თამამი და შედეგიანი გიორგი ვიხილეთ. თავად განსაჯეთ: მან მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, პირველ მეოთხედში 10 ქულა, 5 მოხსნა (3 მეტოქის ფარზე) და 1 ჩაჭრა მოინაგრა. მან 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 სამიანი ჩააგდო. საბოლოოდ, კუჭავა მხოლოდ ვახტანგ მინაშვილს ჩამორჩა. ფობიმ 16 ქულა მოაგროვა, ხოლო გიორგიმ - 15. სწორედ კუჭავას დამაჯერებელი თამაშის წყალობით, სტუმრებმა პირველი პერიოდი 28:18 მოიგეს. აქვე არ უნდა დავივიწყოთ **დავით ხიზანიშვილის** გარჯა. კუჭავას მსგავსად, ნახევარფინალებისას ისიც უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თუმცა ფინალის მეორე მატჩში 13 წუთში გუნდს სათანადოდ დაეხმარა.

ზემოთ არაერთხელ ვახსენეთ სიტყვა „კოჭი“, რომლის ტრავმის გამო გუნდს ჯერ ფანჩულიძე გამოაკლდა, შემდეგ გაფრინდაშვილი. შაბათის მატჩის მეექვსე წუთზე მოედანზე შევიდა **დავით ბარბაქაძე**, რომელმაც ზვიად ბაბიაშვილის მეურვეობისას კოჭი იტკინა და მოედნიდან თანაგუნდელთა დახმარებით გავიდა. ამ ეპიზოდში რუსთაველთა და თბილისელთა ქომაგები დაწყნარდნენ. სწორედ მაშინ ერთ-ერთ კალათბურთელს აღმოხდა - ეს ვინ დაგვწყევლაო...

სტუდენტთა ბედად, დათოს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ბარბაქაძე მესამე პერიოდში მოედანს დაუბრუნდა, ხოლო სირენამდე 35 წამით ადრე თსუ-ს ოქროს ორქულიანი შემატა და თანაგუნდელები 80:75 დააწინაურა.

ზემოთ წაკითხულის მიხედვით მატჩის ზოგადი სურათის აღდგენა შეგეძლებათ, თუმცა ქრონოლოგიის დარღვევით. ბოლოს მეოთხე პერიოდის სრულ ქრონოლოგიას შემოგთავაზებთ, მანამდე კი გეტყვით, რომ მტკიცე დაცვისა და შეტევაში ზუსტი თამაშის წყალობით მესამე პერიოდის შუამდე თსუ 10-ქულიან ფორას ინარჩუნებდა. 25-ე წუთიდან ზვიად ბაბიაშვილი ამოქმედდა. „ენერჯის“ ყველა იერიშს ის აგვირგვინებდა, ერთმანეთის მიყოლებით 11 ქულა ჩააგდო და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა - 55:58. მესამე პერიოდის დასრულებამდე 1 წამით ადრე დომონიკ ტილფორდმა დრიბლინგი ორქულიანით დაასრულა და ჯარიმის ტყორცნის უფლებაც მოიპოვა. მას სტატიკური მდგომარეობიდანაც რომ ჩაეგდო, „ენერჯი“ 64:63 დაწინაურდებოდა, მაგრამ ააცილა და მოხსნისთვის ბრძოლისას პირველაშვილი მინაშვილზე დაჯარიმდა. ფობიმ ორივე საჯარიმო ჩააგდო და - 65:63.

15 მაისი, რუსთავი. ქიმიკოსების დარბაზი

**ენერჯი-თსუ 75:84**

18:28, 22:22, 23:15, 12:19

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

| ენერჯი | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 5 ზვიად ბაბიაშვილი * | 26:51 | 7 | 13 | 53.8 | 0 | 2 | 0 | 7 | 12 | 58.3 | 3 | 2 | 5 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 21 |
| 6 მიხეილ ჩიტაშვილი * | 04:17 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 |
| 7 ლევან ცეკვავა | 09:11 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 კოტე ტულუში* | 34:11 | 3 | 6 | 50 | 2 | 5 | 40 | 3 | 7 | 42.9 | 2 | 2 | 4 | 2 | 3 | 3 | 1 | 0 | 15 |
| 11 აკაკი დვალიშვილი | 01:43 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12 დავით არწივიძე | 09:03 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 13 ლუკა ხმელიძე | 00:00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14 ჟოლივეტ ტუჯანი * | 38:17 | 4 | 7 | 57.1 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 33.3 | 3 | 5 | 8 | 4 | 4 | 5 | 1 | 1 | 9 |
| 15 მიხეილ ჭოჭუა | 09:03 | 1 | 2 | 50 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 |
| 17 ანატოლი ბოისა * | 25:54 | 1 | 4 | 25 | 2 | 4 | 50 | 0 | 0 | 0 | 2 | 6 | 8 | 0 | 5 | 2 | 1 | 0 | 8 |
| 18 გიორგი პირველაშვილი | 13:09 | 2 | 2 | 100 | 1 | 2 | 50 | 1 | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 8 |
| 19 დომონიკ ტილფორდი | 28:21 | 3 | 7 | 42.9 | 1 | 6 | 16.7 | 2 | 3 | 66.7 | 0 | 4 | 4 | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 11 |
| | | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | |
| | | 21 | 42 | 50 | 6 | 24 | 25 | 15 | 28 | 53.57 | 12 | 24 | 36 | 15 | 33 | 16 | 6 | 3 | 75 |

შენიშვნა: ვარსკვლავით აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყეს

| თსუ | წთ | 2-ქულიანი | | | 3-ქულიანი | | | საჯარიმო | | | მოხსნა | | | პ | ჯ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | ჩ | ნ | % | მ | ს | ჯ | | | | | | |
| 5 მიხეილ ფანჩულიძე | 02:47 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 |
| 7 ვახტანგ მინაშვილი | 28:27 | 4 | 6 | 66.7 | 0 | 0 | 0 | 8 | 10 | 80 | 3 | 6 | 9 | 1 | 4 | 1 | 1 | 1 | 16 |
| 8 შალვა კოხრეიძე * | 37:47 | 2 | 6 | 33.3 | 0 | 0 | 0 | 3 | 10 | 30 | 1 | 6 | 7 | 7 | 4 | 2 | 4 | 0 | 7 |
| 9 ირაკლი კეიდია * | 32:39 | 4 | 11 | 36.4 | 2 | 7 | 28.6 | 0 | 2 | 0 | 1 | 5 | 6 | 1 | 4 | 4 | 0 | 1 | 14 |
| 11 ლაშა ლოსაბერიძე | 00:28 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12 ლუკა შანიძე | 03:38 | 2 | 3 | 66.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 |
| 13 შიო ხეცურიანი * | 37:25 | 3 | 5 | 60 | 1 | 2 | 50 | 6 | 11 | 54.5 | 0 | 2 | 2 | 6 | 2 | 2 | 1 | 1 | 15 |
| 14 ირაკლი ივანეიშვილი | 00:00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 15 დავით ბარბაქაძე * | 19:29 | 3 | 7 | 42.9 | 1 | 2 | 50 | 1 | 4 | 25 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 10 |
| 16 ზვიად დეკანოიძე | 00:00 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 18 დავით ხიზანიშვილი | 13:18 | 1 | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 |
| 20 გიორგი კუჭავა * | 24:02 | 3 | 4 | 75 | 3 | 4 | 75 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 | 6 | 0 | 5 | 3 | 1 | 0 | 15 |
| | | | | | | | | | | | 0 | 5 | 5 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | |
| | | 22 | 43 | 51.16 | 7 | 15 | 46.67 | 19 | 39 | 48.72 | 10 | 32 | 42 | 16 | 23 | 16 | 9 | 3 | 84 |

შენიშვნა: თ - თამაში, წ - წუთი, 2-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; 3-ქულიანი - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; საჯარიმო - (ჩ) ჩაგდებული, (ნ) ნატყორცნი; მოხსნა - (მ) მეტოქის ფარზე, (ს) საკუთარ ფარზე (ჯ) ჯამი; პ - პასი, ჯ - ჯარიმა, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა

**ფინალური სერიის ანგარიში 1:1**

**ახლა ქრონოლოგიის ჯერია:**

**09:06 - ტულუში 1ქ (64:65)**
**07:35 - მინაშვილი 2ქ (64:67)**
**07:21 - კოხრეიძე 1+1ქ (64:69)**
**06:59 - ხეცურიანი 2+1ქ (64:72)**
**06:30 - მინაშვილი 1ქ (64:73)**
**05:24 - ბაბიაშვილი 2ქ (66:73)**
**04:48 - პირველაშვილი 2+1ქ (69:73)**
**04:10 - ბარბაქაძე 2ქ (69:75)**
**03:44 - პირველაშვილი 3ქ (72:75)**
**01:42 - ფანჩულიძე 1ქ (72:76)**
**01:27 - ტილფორდი 2ქ (74:76)**
**01:11 - ხეცურიანი 2ქ (74:78)**
**01:02 - ტულუში 1ქ (75:78)**
**00:35 - ბარბაქაძე 2ქ (75:80)**
**00:23 - კოხრეიძე 1ქ (75:81)**
**00:14 - ხეცურიანი 1ქ (75:82)**
**00:11 - მინაშვილი 1ქ (75:82)**
**00:03 - ხიზანიშვილი 2ქ (75:84)**

ვიდრე თსუ-ს მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის კომენტარს შემოგთავაზებდეთ, ორ დეტალზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. მატჩი 18 საათის ნაცვლად 18:30-ზე დაიწყო. ამის მიზეზი რუსთავში გამართული საფეხბურთო მატჩი იყო, რომლის დასრულების შემდეგ ქომაგთა ნაწილმა კალათბურთზე გადაინაცვლა.

შეიძლება სწორედ დროის ცვლილებამ განაპირობა თსუ-ს გულშემატკივართა დიდი ნაწილის უადგილოდ დარჩენა. რადგან დარბაზში ბილეთები არ იყიდება (რაც დადებითად უნდა შეფასდეს), როგორც იტყვიან, ადგილები დასწრებაზეა. მაგრამ მასპინძელი ყოველთვის ვალდებულია, ადგილების წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა სტუმარს შეუნახოს.

ახლა ნუგზარ ჭეიშვილს მოვუსმინოთ:

*- როგორც მოვემზადეთ, ისე ვითამაშეთ. პირველი, წაგებული მატჩიდან სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და დღეს გავიმარჯვეთ. წარმატებას ბრძოლისა და მტკიცე დაცვის წყალობით მივაღწიეთ. მომავალ მატჩებში თუ თოფისწამალი გვეყო, წარმატებაზე ფიქრიც შეიძლება. ძალიან მწირი რესურსი გვაქვს: გვაკლია გაფრინდაშვილი, ტრავმა ახლა მოიშუშა ფანჩულიძემ, ტვინის შერყევის გამო ვერ გვეხმარება ლოსაბერიძეც. შანიძე ნაოპერაციებია და ვერ ვტვირთავთ. დავით ბარბაქაძესაც ფეხი აწუხებს და ნახევარი ძალით თამაშობს...*

**ვაჟა სიმონიშვილი**




ლეგიონერები

# ნახევარფინალში 9 ქულით

საქართველოს ნაკრების მეფარე **გიორგი შერმადინმა** „პანათინაიკოსის“ მაისურით საბერძნეთის პირველობის ნახევარფინალში ითამაშა. 216 სმ სიმაღლის ცენტრმა მეოთხე პერიოდი შეუცვლელად ჩაატარა და თანაგუნდელებს 9 ქულით, 3 მოხსნითა და 1 პასით შეეწია. მან 4-4 ორქულიანი და საჯარიმო ისროლა, რომელთაგან 3-3 გამოიყენა. *„მწვრთნელმა ნდობა გამოუცხადა ქართველ შერმადინს. თავის მხრივ კალათბურთელმაც დაამტკიცა, რომ გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო შეხვედრებში ქართველ ცენტრს მწვრთნელი მეტად დაეყრდნობა,“* - ვკითხულობთ ბერძნულ გაზეთ „სპორტნეტში“.

გიორგიმ თანაგუნდელების მიერ კარგად დაწყებული საქმე სირენამდე 8 წუთით ადრე ორქულიანით გააგრძელა (69:44) და ბოლო წამებზე ფარქვეშიდან ზუსტი ტყორცნით დაასრულა (88:55). საპასუხო შეტევისას პანელინიოსელმა **კოლოკასმა** საფინალო ანგარიში შორეული ტყორცნით დააფიქსირა - 88:58.

როგორც მიხვდით, „პანათინაიკოსმა“ „პანელინიოსი“ დაამარცხა. ეს გახლდათ სერიის პირველი მატჩი. განმეორებით შეხვედრას „მწვანეები“ 18 მაისს სტუმრად ჩაატარებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ლეგიონი*

**იტალიის ჩემპიონატი**

**ვირტუსი-მონტეპასკი 66:87**

ვიქტორ სანიკიძე: 34 წუთი, 16 ქულა, 9 მოხსნა, 1 დაფარება

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**კახასოლი-გრან კანარია 70:65**

ტაირონ ელისი: 22 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი

**ბილბაო-ფუენლაბრადა 80:75**

ნიკა ცქიტიშვილს არ უთამაშია (ტრავმა)

**ხორვატიის ჩემპიონატი**

**ზადარი-ტრიგორი 87:71**

ვლადიმერ ბოისა: 20 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი

ჭადრაკი

# ოცდათხუთმეტი უდანაკარგოდ

სასტუმრო დ-პლაზაში რვა ქვეყნის მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი. 190 ქალვაჟი შვეიცარული სისტემით 9 ტურად გაითამაშებს თბილისის მერიის თასს (საპრიზო ფონდი 64000 ათასი ლარი). გუშინ მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ-მეორე დაფებზე ჩვენს მოჭადრაკე ვაჟებს აზერბაიჯანელი დები - **ზეინაბ და ტურჩან მამედიაროვები** დაუპირისპირდნენ. **მიხეილ მჭედლიშვილმა** თეთრებით შეძლო ზეინაბის დამარცხება, **თამაზ გელაშვილი** კი ტურჩანს დაუზავდა. თითო ქულით გაიმდიდრეს მონაგარი **ლევან ფანცულაიამ, მერაბ გაგუნაშვილმა, დავით არუთინიანმა, კონსტანტინე შანავამ, დავით ჯოჯუამ**, სლოვენიელმა **ანა მუზიჩუკმა, მარიამ დანელიამ** (მან ტურნირზე რეიტინგით მე-14 მოჭადრაკე დიდოსტატი **ლევონ ბაბუჯიანი** დაამარცხა), **ხვიჩა სუპატაშვილმა, ნინო ხურციძემ , მადონა ბოკუჩავამ**. მე-2 ტურის შემდეგ 2-2 ქულა სულ 35 მონაწილეს აქვს.

დღეს მე-3 ტურში ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: **მიხეილ ზასლავსკი-მიხეილ მჭედლიშვილი, ივერი ჭილაძე-ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი-ბაჩანა მორჩიაშვილი, გიორგი ნიკოლაშვილი-ანა მუზიჩუკი, მერი არაბიძე-დავით ბენიძე, მარიამ დანელია-ნინო ხურციძე...**

შეხვედრები 12.00 საათზე იწყება.

**ვაჟა დანელია**

# ნორჩები დიდოსტატების ნაკვალევზე

ქუთაისის მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი 8-წლამდე მოჭადრაკე გოგონათა და ვაჟთა შორის, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 140-მდე ბავშვი ასპარეზობს. ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს ერთ პარტიაზე 90 წუთი ეძლევა, ნორჩ მოჭადრაკეებს კი ყოველ სვლაზე დამატებით 30 წამის გამოყენების უფლებაც აქვთ. ჩემპიონატი საჭადრაკო სკოლის დირექტორმა და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ალექსანდრე არსენიძემ** გახსნა. „ამ დარბაზში რამდენიმე დღის წინ საქართველოს ვაჟთა და ქალთა ოლიმპიური ნაკრებები თითქმის მთლიანი შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილი. ტურნირში არაერთმა დიდოსტატმა მიიღო მონაწილეობა. სხვა რომ არაფერი, მარტო ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის ასპარეზობა რად ღირს... თქვენთვის ეს ტურნირი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია დიდი ჭადრაკისკენ და იმედი მაქვს, რომ ბევრი თქვენგანი სწორედ ჩვენი სახელოვანი დიდოსტატების გზას დაადგება,“ აღნიშნა მან გახსნის ცერემონიალზე.

გოგონათა და ვაჟთა შორის საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულები მიიღებენ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს, რომელიც წლეულს საბერძნეთში გაიმართება. მეორე ადგილის მფლობელები კი ბათუმში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# აია დაწინაურდა

საქართველოს ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა ქუთაისის „აია". ასევე დაუმარცხებელია, ოღონდ ერთი თამაშით ნაკლები აქვს თბილისის „ლოკომოტივს", მაგრამ ეს ქუთაისურთა წარმატებას ოდნავაც არ აკნინებს.

„აიამ" მე-6 ტურის შეხვედრა „ბათუმი XV"-თან ვაკის ცარიელ სტადიონზე გამართა. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, შეხვედრას მხოლოდ მწვრთნელები, გუნდების ხელმძღვანელები და ადგილობრივი პოლიცია ესწრებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ფიცხელი გამოდგა. თამაშის დასრულებას ათი წუთი აკლდა, „აია" მხოლოდ სამი ქულით - 30:27 იგებდა. სტუმართა გუნდს, ცხადია, შეეძლო მატჩის ბედის სათავისოდ შემობრუნება, მაგრამ მასპინძლებმა არ დაანებეს, მალევე მეტოქეს ლელო გაუტანეს და მძიმე, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს - 37:27.

„აიამ" მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა. თავი გამოიჩინეს **ირაკლი ჩხიკვაძემ, თორნიკე ლომიძემ, ვილენ** და **გელა შალამბერიძეებმა. გაგა სინაურიძემ** ოთხივე ლელო გარდასახა და ზედ სამი საჯარიმოც მიაყოლა.

მომდევნო, პირველი წრის ბოლო ტურში „აია" სტუმრად ეთამაშება თბილისის „ლოკომოტივს", რომლის შეხვედრაც მე-6 ტურში „ვისოლი/ყოჩებთან" ავდრის გამო გადაიდო.

ამავე მიზეზით არ გაიმართა ვაკეში, „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე „ლელოსა" და „აკადემიას" დაპირისპირება.

მე-6 ტურის კიდევ ერთ მატჩში აუტსაიდერმა რუსთავის „ხარებმა" სტუმრად წააგეს თბილისის „არმაზთან" - 10:25 და კიდევ უფრო გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. „ხარები" ერთადერთი გუნდია, რომელსაც მოგებათა გრაფაში დღემდე ნული უწერია. რუსთაველ მორაგბეებს მომდევნო ტურში კიდევ უფრი რთული მეტოქე, ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „ლელო" ელით.

„არმაზმა" კი მიმდინარე გათამაშებაში მეორე გამარჯვება მიითვალა და საპლეიოფო ოთხეულს მიუახლოვდა.

**VI ტური**

| | |
|---|---|
| აია-ბათუმი XV | 37:27 |
| არმაზი-ხარები | 25:10 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 5 | 5 | 0 | 0 | +57 | 10 |
| 2. ლოკომოტივი | 4 | 4 | 0 | 0 | +64 | 8 |
| 3. ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | +29 | 6 |
| 4. ლელო | 4 | 2 | 0 | 2 | +53 | 4 |
| 5. არმაზი | 5 | 2 | 0 | 3 | -28 | 4 |
| 6. აკადემია | 4 | 1 | 0 | 3 | -7 | 2 |
| 7. ბათუმი XV | 5 | 1 | 0 | 4 | -77 | 2 |
| 8. ხარები | 5 | 0 | 0 | 5 | -93 | 0 |

**VII ტური**

**22 მაისი**

ვისოლი/ყოჩები-არმაზი, ლოკომოტივი-აია, ბათუმი XV-აკადემია, ხარები-ლელო

ლეგიონერები



დავით ზირაქაშვილის ლელო. მარჯვენივ დავით ქუბრიაშვილი

# ზირაქაშვილისა და კლერმონის ზედიზედ მეოთხე ფინალი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში საპლეიოფო ბრძოლები დაიწყო. ელიტურ, პირველ დივიზიონში ფინალისტთა ვინაობა გაირკვა. ისევე როგორც შარშან, წლეულსაც ჩემპიონობისთვის **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" და ქვეყნის ჩემპიონი „პერპინიანი" იბრძოლებენ.

„კლერმონს" ნახევარფინალში, რომელიც სენტ ეტიენში გაიმართა, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონთან" დიდი ბრძოლა გადახდა. მატჩის ძირითადი დრო 22:22 დასრულდა და ორი დამატებითი ათ-ათწუთიანი ტაიმი დაინიშნა.

პირველ ტაიმში გუნდები ზედმეტად ფრთხილობდნენ. უფრო აქტიურად და თამამად კლერმონელები უტევდნენ, თუმცა ტულონელებმა მოიგეს - 9:6. თავი ქუბრიაშვილის თანაგუნდელმა **ჯონი ვილკინსონმა** გამოიჩინა, ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა. კლერმონელთა ცხრა ნომერ **მორგან პარას** საჯარიმოს ფულბეკმა **ენტონი ფლოშმა** არეკნი მიაყოლა.

შესვენების მერე „კლერმონის" ახალზელანდიელმა მწვრთნელმა ვერნ კოტერმა თამაშში საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი ჩართო. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და დამატებით დროშილა შეცვალეს.

„ზირაქას" გამოსვლით „კლერმონის" შერკინება კიდევ უფრო მძლავრად, მობილურად ათამაშდა. მორგან პარამ ზედიზედ სამი საჯარიმო გაიტანა და „ვულკანები" 15:9 დააწინაურა. 63-ე წუთზე ვილკინსონმა საჯარიმოთი ანგარიში სამ ქულამდე შეამცირა - 12:15.

შვიდ წუთში ზირაქაშვილის ჯერიც დადგა. მან მეტოქის ლელოდან სამიოდ მეტრში წარმოქმნილი რაკიდან ბურთი აიტაცა და ჩათვლის ხაზს იქით გადადო. პარამ გარდასახვა ზუსტად დაარტყა და „კლერმონი" ათი ქულით დაწინაურდა - 22:12.

ვულკანებს, წესით, სასურველი ანგარიშის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელის **ჯო ფანიკერკის** მეთაურობით გააფთრებით ათამაშებული ტულონელების შეტევებს ვერაფერი დაუპირისპირეს.

75-ე წუთზე შუამარბმა **სონი ბილ ვილიამსმა** გაიტანა ლელო, რომელიც ვილკინსონმა გარდასახა. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი „ვილკომ" საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა და ორი დამატებითი ტაიმიც დაინიშნა.

პირველ დამატებულ ტაიმში ხელი უკვე „კლერმონის" მგეზავმა ბრუკ ჯეიმზმა გამოილო. მან ჯერ საჯარიმოთი დააწინაურა თავისიანები, მერე კი 50 მეტრიდან გაიტანა არეკნით - 28:22. მეორე ტაიმში გუნდებმა თითო ლელო გაცვალეს და „კლერმონმა" ფინალში გააღწია.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში, მონპელიეში, „პერპინიანმა" ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი" დაამარცხა - 21:13.

ფინალი 29 მაისს „სტად დე ფრანსზე" გაიმართება.

პლეი ოფის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა ელიტურ მეორე დივიზიონშიც. **გიორგი ჟღენტის** „ოიონაქსი" რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით - 3:6 დამარცხდა „ლა როშელთან". ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში **გურამ კავთიძის** „ლიონმა" უპრობლემოდ დაამარცხა „პო" - 29:13 და ფინალში, რომელიც 23 მაისს ბრივში გაიმართება, პირველი დივიზიონის საგზურისთვის „ლა როშელს" დაუპირისპირდება. კავთიძეს „პოსთან" არ უთამაშია.

ზე 14



სთორმერზი-ბლუ ბულზი

# ნახევარფინალი: ბულზი–კრუსეიდერზი, სთორმერზი–ვორათაზი

ზე 14-ის რეგულარული გათამაშება, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა" მოიგო. ბოლო ტურში გაირკვა პლეი ოფის მონაწილეთა ვინაობაც. პრეტორიელები ზე 14-ის შვიდგზის ჩემპიონს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს" იოჰანსებურგში უმასპინძლებენ. კეიპთაუნის „სთორმერზი", რომელიც რეგულარულში მეორე ადგილს დასჯერდა, შინ მესამეადგილოსანს, სიდნეის „ვორათაზს" ეთამაშება.

„ვორათაზმა" და „კრუსეიდერზმა" ნახევარფინალის საგზური პარასკევს გამართულ ბოლო ტურის მატჩებში გამარჯვების შემდეგ მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ სიდნეელებმა საკუთარ მოედანზე პლეი ოფისთვის მებრძოლი ველინგთონის „ჰარიკენზი" ჩამოიცილეს გზიდან - 32:16, ხოლო „კრუსეიდერზმა" ასევე შინ დაამარცხა კონკურენტი, კანბერის „ბრამბიზი" - 40:22.

შაბათის მატჩებში გასარკვევი მეოთხე ნახევარფინალისტილა იყო. „სთორმერზს" ძალიან გაუმართლა, რადგან მეტოქეს, „ბლუ ბულზს" პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა. ამიტომ პრეტორიელები კეიპთაუნში სათამაშოდ სათადარიგო შემადგენლობით ჩავიდნენ, რამაც სთორმერზელებს საქმე მნიშვნელოვნად გაუადვილა.

ცხადია,"სთორმერზი" მატჩს მეტი სერიოზულობით მიუდგა, გაცილებით მონდომებულმა და შემართულმა ითამაშა და 38:10 მოიგო. ანგარიში მესამე წუთზე ტრავმამოშუშებულმა გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ** „ლელოთი" გახსნა. მანვე ოც წუთში მეორე ლელოც მიითვალა, რასაც 28-ე წუთზე მეორეხაზელმა **ანდრეას ბეკერმა** კიდევ ერთი ლელო მიაყოლა. მასპინძლებმა ტაიმი 25:3 მოიგეს.

„ბლუ ბულზს" თავი არც მეორე ტაიმში გამოუდვია. ერთადერთი ლელო პრეტორიელებმა თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გაიტანეს. ულელოოდ არ დატოვა მოედანი სამხრეთ აფრიკის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო შუამარბმა **ჟაკ ფურიმ**. მგეზავმა **პიტერ გრანტმა** კი გუნდს 18 ქულა მოუტანა (ოთხი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

ამრიგად, სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური სამხრეთაფრიკულმა გუნდებმა „ბლუ ბულზმა" და „სთორმერზმა" დაიკავეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნახევარფინალურ მატჩებს ისინი საკუთარ მოედანზე გამართავენ, ალბათ, ფინალშიც გააღწევენ.

პლეი ოფში გასვლის თეორიული შანსი ჰქონდა ბრისბენის „რედსს", რომელსაც შინ დანიდინის „ჰაილენდერზის" დიდი ანგარიშით დამარცხება მართებდა. ბრისბენელებმა დავალება ვერ შეასრულეს და მეტოქე მხოლოდ ორი ქულით - 38:36 დაამარცხეს, თუმცა ამას, პრაქტიკულად, არანაირი მნიშვნელობა ალარ ჰქონდა, რადგან პარალელურად „სთორმერზს" შინ უნდა წაეგო „ბლუ ბულზთან".

ყველაფრის მიუხედავად, თამაში საინტერესო გამოდგა. „წითლებმა" მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს, აქედან ორი შცვლაზე შესული მესამეხაზელის **პოუტასი ლუაფუტუს** ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ ის მოედანზე მატჩის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გამოჩნდა.

ჰაილენდერზელები მასპინძლებს ერთი ლელოთი ჩამორჩნენ. სტუმართა მხრიდან დუბლი გარემარბმა **ფეტუუ ვაინიკოლომ** გააკეთა. საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა დანიდინელთა ფულბეკი **იზრაელ დაგი,** რომელმაც გუნდს 16 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და ერთი საჯარიმო). საბოლოოდ, „რედსს" პლეი ოფში მოსახვედრად ორი ქულა დააკლდა.

უცნაურად წარუმატებელი გამოდგა წლევანდელი სეზონი დურბანის „ნატალ შარქსისთვის". „ზვიგენებმა" სეზონი არასტაბილურად ჩაატარეს. სტარტზე განცდილი ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ გუნდი კი გამოცოცხლდა და ხუთი მატჩი ასევე ზედიზედ მოიგო, მაგრამ უკვე გვიან იყო. დურბანელები პლეი ოფზე ოცნებას ჯერ კიდევ ბოლოსწინა ტურამდე გამოეთხოვენ და 33 ქულით მე-9 ადგილს დასჯერდნენ.

კიდევ უფრო უარესად იასპარეზა შარშანდელმა ფინალისტმა, ჰემილთონის „ჩიფსმა", რომელიც სეზონის იმედგაცრუებად შეიძლება მივიჩნიოთ. ოთხი მოგება, ერთი ფრე და რვა წაგება - ასეთია ვიცე-ჩემპიონების მონაგარი. „ჩიფსი" 26 ქულით მე-11 ადგილზეა.

**XIV ტური: ვორათაზი-ჰარიკენზი 32:16, კრუსეიდერზი-ბრამბიზი 40:22, ნატალ შარქსი-ფორსი 27:22, ბლუზი-ჩიფსი 30:20, რედსი-ჰაილენდერზი 38:36, ჩიტაზი-ლაიონზი 59:10, სთორმერზი-ბლუ ბულზი 38:10**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბლუ ბულზი - 47 ქულა, 2. სთორმერზი - 44, 3. ვორათაზი - 43, 4. კრუსეიდერზი - 41, 5.რედსი - 39, 6. ბრამბიზი - 37, 7. ბლუზი - 37, 8. ჰარიკენზი - 37, 9. ნატალ შარქსი - 33, 10. ჩიტაზი - 26, 11. ჩიფსი - 26, 12. ჰაილენდერზი - 19, 13. ფორსი - 19, 14. ლაიონზი - 5**

**ნახევარფინალი. 22 მაისი**

ბლუ ბულზი-კრუსეიდერზი, სთორმერზი-ვორათაზი

აზიის ხუთი ერი

# ყაზახეთის ერთი შანსი

აზიის ხუთი ერის გათამაშებაში, რომელიც 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა, ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. ფავორიტმა, იაპონიის ნაკრებმა ტოკიოში ყაზახეთის ნაკრებს უმასპინძლა და დიდი ანგარიშით დაამარცხა - 101:7.

კიდევ ერთ შეხვედრაში არაბთა გაერთიანებული საამიროების ნაკრებმა შინ მოუგო სამხრეთ კორეის ნაკრებს - 21:19. არაბთა გუნდმა ასპარეზობა დაასრულა და 10 ქულით მესამე ადგილზეა.

ბოლო ტურში იაპონელები მეორეადგილოსან ჰონკონგის ნაკრებს უმასპინძლებენ. ამომავალი მზის ქვეყნის შვილების გამარჯვებაში, ცხადია, ეჭვი არავის ეპარება და იაპონიის ნაკრები მსოფლიო თასის საგზურს ოფიციალურადაც გაიფორმებს.

გასარკვევი დარჩება მეორეადგილოსანი გუნდი, რომელიც რეპეშაჟის გავლით შეეცდება მსოფლიო თასზე მოხვედრას. ამის ძალიან კარგი შანსი აქვს ყაზახეთის ნაკრებს, რომელიც ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება სამხრეთ კორეის ნაკრებს. ყაზახებმა მეტოქე აუცილებლად უნდა დაამარცხონ და მინიმუმ ოთხი ლელო გაუტანონ.

**აზიის ხუთი ერი**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. იაპონია - 16 ქულა, 2. ჰონკონგი - 12, 3. არაბთა საემიროები - 10, 4. ყაზახეთი - 7, 5. სამხრეთი კორეა - 1.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ფორმულა 1 — მონაკოს გრან-პრი

# უებერი კლასს ამტკიცებს

## დღის ყველაზე ეფექტურმა მანევრმა შუმახერს 8 ქულა დააკარგვინა



ამ სეზონის წინ ყველა იმაზე მსჯელობდა, ვინ გახდებოდა 2011 წელს „რედ ბულში" **სებასტიან ფეტელის** მეწყვილე. ამბობდნენ, რომ ავსტრალიელი **მარკ უებერი** ველარ უმკლავდება კონკურენტებს და მის შეცვლას პროგნოზირებდნენ **კიმი რაიკონენით** ან რომელიმე ახალგაზრდა პილოტით. მაგრამ ბოლო ორ ეტაპზე ავსტრალიელმა ხმა გააკმენდინა კრიტიკოსებს - მარკმა ზედიზედ ორი გრან-პრის კვალიფიკაცია და რბოლა მოიგო და სათავეში ჩაუდგა საერთო ჩათვლას.

უებერმა გუშინ დამაჯერებელი სტარტით დაიწყო მონაკოს გრან-პრი და ლიდერობა ფინიშამდე შეინარჩუნა. სამაგიეროდ, ადგილები გაცვალეს სასტარტო ბილიკზე მეორე და მესამე ადგილების მფლობელებმა - **რობერტ კუბიცამ** („რენო") და სებასტიან ფეტელმა. პოლონელმა ვერ შეძლო გერმანელის ბლოკირება და სები წინ გაუშვა. იმავეს გაკეთება სცადეს **ფელიპე მასამ** („ფერარი") და **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი"), მაგრამ პირველ მოსახვევთან კუბიცამ ოპტიმალური ტრაექტორია აირჩია და მესამე ადგილი შეინარჩუნა.

სტარტის მთავარ გმირად კი შეიძლება **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი) მოვნათლოთ, რომელმაც ერთდროულად ჩამოიტოვა უკან **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი") და „მერსედესის" დუეტი - **ნიკო როსბერგი** და **მიხაელ შუმახერი**. ბრაზილიელი მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა. თავის მხრივ, შუმახერმა როსბერგს გაუსწრო, ბატონისთვის კი რბოლა მალე დასრულდა - მას ძრავა გადაეწვა. ამ დროისთვის ტრასაზე პეისკარი იყო გამოსული, რადგან პირველივე წრეზე დაამსხვრია მანქანა **ნიკო ჰიულკენბერგმა** („უილიამსი").

სხვათა შორის, ამ ავარიამ დიდი სამსახური გაუწია **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი"): ესპანელი მაშინვე ბოქსებში შევიდა და „სუპერსოფტის" საბურავი „მედიუმით" შეცვალა, რითაც თავიდან აიცილა მექანიკოსებთან მომავალი ვიზიტი. ფერნანდოს ტაქტიკურმა გათვლამ 100 პროცენტით გაამართლა: მეტოქეთა აუცილებელი პიტსტოპების შემდეგ, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

რაც შეეხება ლიდერებს, უებერი ინარჩუნებდა ჯერ კიდევ ბარსელონაში აღებულ ტემპს: ავსტრალიელი ძალიან მალე დაშორდა ფეტელისა და კუბიცას წყვილს. ამ სამეულს მიჰყვებოდნენ მასა, ჰემილტონი, ბარიკელო და ორი „მერსედესი".

თუმცა ბარიკელომ მეექვსე პოზიცია მხოლოდ პირველ პიტ-სტოპებამდე შეინარჩუნა. ბოქსებში ვიზიტის შემდეგ მას შუმახერმა გაუსწრო, ყველაფერი კი ბრაზილიელისთვის უსიამოვნო ავარიით დასრულდა და ვეტერანის ბოლიდმა პრაქტიკულად ტრასა ჩახერგა, ამას კი უსაფრთხოების მანქანის მეორე გამოჩენა მოჰყვა. შემდეგ იყო მესამე - ტრასაზე რაღაც უცნობი საგანი აღმოაჩინეს, თანაც ზუსტად იმ ადგილას, სადაც ბრძოლას ბარიკელო გამოეთიშა.

განსაკუთრებული ტაქტიკის გამოყენება სცადა ნიკო როსბერგმა, რომელმაც შუმახერსა და სხვა კონკურენტებზე გვიან გადაწყვიტა პიტ-სტოპზე შესვლა. გერმანელი თითქოს ახერხებდა სწრაფი წრეების გავლას და დროის გარკვეული მარაგის შექმნას, მაგრამ მაინც დააგვიანა ბოქსებში შესვლა. უკვე თითქმის ბოლომდე გაცვეთილი საბურავებით გარკვეული დრო დაკარგა და ტრასაზე დაბრუნების შემდეგ, წამით ჩამორჩებოდა თანაგუნდელს. იქვე „მერსედესის" ორივე პილოტმა აღმოაჩინა, რომ მათ წინ ალონსო იმყოფებოდა - ეს იყო „ფერარის" ბრწყინვალე ტაქტიკური სვლა, რაც „სკუდერიასთვის" ნამდვილად არ არის დამახასიათებელი.

რბოლის შუაში უსაფრთხოების მანქანის ორ ვიზიტს ბრძოლა დიდად არ გაუმძაფრებია - მას შემდეგ, რაც პელოტონი თავისუფლებას იღებდა, უებერი უპრობლემოდ ახერხებდა ფეტელისგან გაქცევას და სებასტიანი მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ უკანა ხედვის სარკიდან აკვირდებოდა კუბიცას მანევრებს. მთელი რბოლის განმავლობაში სებმა ვერაფრით შეძლო პოლონელის დიდი მანძილით ჩამოტოვება. იქვე მიდიოდა მასა, ხოლო ჰემილტონი მას შემდეგ ჩამორჩა, რაც გუნდისგან გაფრთხილება მიიღო - საბურავებს გაუფრთხილდიო. ეს ლუისის ტიპური პრობლემაა.

ალონსოსა და „მერსედესის" დუეტის უკან „ფორს ინდიას" ორი ბოლიდი მიდიოდა. **ადრიან სუტილი** ჯერ კიდევ სტარტზე მშვენივრად ორიენტირებდა, რამაც მას მეცხრე პოზიცია მოუტანა. **ვიტანტონიო ლიუცი** ერთი პირობა გავარდა ტოპათეულიდან, მაგრამ ბარიკელოს ავარიამ ისევ დააბრუნა იტალიელი ქულათა ზონაში.

რბოლის ბოლოს ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. ჯერ ერთი, ფეტელმა არ შეასრულებინა უებერს „დიდი სლემი" (კვალიფიკაციისა და რბოლის მოგება და უსწრაფესი წრე) და საუკეთესო წრის ავტორი გახდა. და მეორე მოვლენა - ბოლო რამდენიმე წრე პილოტებმა კვლავ პეისკარის თანხლებით იარეს: **იარნო ტრულისა** („ლოტუსი") და **კარუნ ჩანდჰოკის** (HRT) ბრძოლა ბოლოსწინა მოსახვევში ეფექტური შეჯახებით დასრულდა: იარნომ შიდა რადიუსით დააპირა გავლა და საბოლოოდ, მისი „ლოტუსი" ზემოდან დაასკდა ინდოელის ბოლიდს. საბედნიეროდ, ჩანდჰოკი არ დაზარალებულა. მანქანების ევაკუირებას ძალიან დიდი დრო დასჭირდა და საბოლოოდ, პეისკარი ბოქსებში მხოლოდ ბოლო წრეზე დაბრუნდა. იქვე კი ფინიშიც შედგა - ბოლო ერთი კვირის განმავლობაში მარკ უებერმა მეორე გრან-პრი მოიგო! საერთო ჩათვლაში მარკსა და მის თანაგუნდელ ფეტელს 78-78 ქულა აქვთ, მაგრამ უებერი უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, რადგან უფრო მეტი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

ფინიშზე პატარა გმირობა ჩაიდინა შუმახერმა - მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ბოლო მოსახვევში ალონსოს გაუსწრო. პეისკარს უკვე დატოვებული ჰქონდა ტრასა, ასე რომ, გერმანელის მოქმედება თითქოსდა აბსოლუტურად ლეგალური იყო. ალბათ, ეს გახლდათ მთელი რბოლის ყველაზე ეფექტური მანევრი!

როგორც მოგვიანებით გაირკვა, უმჯობესი იქნებოდა მიხაელ შუმახერს თავი შეეკავებინა და მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. რბოლის სტიუარდებმა ამ ინციდენტის განხილვის შემდეგ გერმანელის დისკვალიფიკაცია გადაწყვიტეს. როგორც ირკვევა, შუმიმ დაარღვია რეგლამენტის 40.13-ე პუნქტი, რომლის მიხედვითაც აკრძალულია გასწრება მაშინ, როცა უსაფრთხოების მანქანა ბოქსებში ბოლო წრეზე მიდის.

ამის შედეგად, შუმახერის დროს 20 წამი დაუმატეს და მიხაელი მე-12 ადგილამდე ჩამოქვეითდა, ხოლო ქულათა ზონაში **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო") შევიდა, რომელმაც პირველი ქულა მოიპოვა სეზონში.

შეგახსენებთ, რომ გუშინ რბოლის ერთ-ერთი სტიუარდი ბრიტანელი **დეიმონ ჰილი** იყო - შუმახერის მთავარი კონკურენტი 90-იანი წლების შუაში.

■ ■ ■

ესპანური პრესის ინფორმაციით, ფორმულა 1-ის დებიუტანტმა გუნდმა - HRT-მ („ისპანია რეისინგ თიმ"), შესაძლოა, სეზონის დასრულებამდე შეწყვიტოს არსებობა.

წლევანდელი ჩემპიონატის წინ ესპანური საჯინიბო ბოლო მომენტში გადაარჩინეს გაკოტრებას **ხოსე რამონ კარაბანტემ** და მისმა პარტნიორმა **კოლინ კოლესმა**. დღეს **ადრიან კამპოსის** „პირმშო" სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის, ხოლო „ისპანიას" ბოლიდები, რომელიც ცნობილი იტალიური კომპანია „დალარას" მიერ არის შექმნილი, სისწრაფეში ძალიან ჩამორჩებიან კონკურენტებს. რბოლების დროს გუნდის პილოტები - **ბრუნო სენა** და კარუნ ჩანდჰოკი ლიდერებთან ყოველ წრეზე 7-8 (!) წამს აგებენ.

| მონაკოს გრან-პრი | |
|---|---|
| 78 წრე, 260.52 კმ | |
| 1(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1:50.13,335 |
| 2(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +0,448 |
| 3(2). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +1,675 |
| 4(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +2,666 |
| 5(5). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 4,363 |
| 6(7). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +5,712 |
| 7(20). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +6,341 |
| 8(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +6,651 |
| 9(12). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +6,970 |
| 10(10). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | +7,305 |
| 11(13). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | +8,199 |
| 12(17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +9,135 |
| 13(14). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 5 წრე |
| 14(23). კარუნ ჩანდჰოკი (HRT. ინდოეთი) | 8 წრე |
| 15(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 8 წრე |
| 16(18). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 19 წრე |
| 17(22). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 19 წრე |
| 18(9). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 32 წრე |
| 19(16). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | 50 წრე |
| 20(21). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 50 წრე |
| 21(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 54 წრე |
| 22(15). პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) | 55 წრე |
| 23(8). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 76 წრე |
| 24(11). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | 78 წრე |

**უსწრაფესი წრე:** სებასტიან ფეტელი (რედ ბული) - 1.15,192

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 156; 2. ფერარი - 136; 3. მაკლარენი - 129; 4. მერსედესი - 76; 5. რენო - 65; 6. ფორს ინდია - 30; 7. უილიამსი - 8; 8. ტორო როსო - 4.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

| | ბაჰ | ავს | მალ | ჩინ | ესპ | მონ | თურ 30.05 | კან 13.06 | ევრ 27.06 | ბრიტ 11.07 | გერ 25.07 | უნგ 01.08 | ბელ 29.08 | იტა 12.09 | სინ 26.09 | იაპ 10.10 | კორ 24.10 | ბრა 07.11 | ა-დაბ 14.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **უებერი** (რედ ბული) | 4 | 2 | 18 | 4 | 25 | 25 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 78 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 12 | – | 25 | 8 | 15 | 18 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 78 |
| **ალონსო** (რენო) | 25 | 12 | – | 12 | 18 | 8 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 75 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 6 | 25 | 4 | 25 | 10 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 70 |
| **მასა** (ფერარი) | 18 | 15 | 6 | 2 | 8 | 12 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 61 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 8 | 8 | 18 | – | 10 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 59 |
| **კუბიცა** (რენო) | – | 18 | 12 | 10 | 4 | 15 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 59 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | 10 | 10 | 15 | 15 | – | 6 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 56 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | 8 | 1 | – | 1 | 12 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 22 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | – | – | 10 | – | 6 | 4 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 20 |
| **ლიუცი** (ფორს ინდია) | 2 | 6 | – | – | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 10 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | 1 | 4 | – | – | 2 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 7 |
| **პეტროვი** (რენო) | – | – | – | 6 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | – | – | 2 | – | 1 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 3 |
| **ჰიულკენბერგი** (უილიამსი) | – | – | 1 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 1 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | – | – | – | – | – | 1 | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ფილადელფიური სასწაული

აქამდე ჰოკეის ეროვნული ლიგის არსებობის ისტორიაში ორი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა გუნდი პლეი ოფის სერიას 0:3-ს აგებდა და შემდეგ მოახერხა მომდევნო რაუნდში გასვლა. NHL-ს თუ არ ჩავთვლით, ასეთი რამ უმსხვილესი ამერიკული პროფესიული ლიგების ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მომხდარა - 2004 წელს ბოსტონის ბეისბოლის კლუბმა „რედ სოქსმა" „ნიუ იორკ იანკიზი" დაამარცხა. მაგრამ ჰოკეის დავუბრუნდეთ. ბოლო გუნდი, რომელმაც 0:3-დან მოიგო სერია, „ნიუ იორკ აილენდერსი" იყო - შორეულ 1975 წელს მან „პიტსბურგის" წინააღმდეგ გაიმარჯვა პრაქტიკულად წაგებულ სერიაში.

და აი, ამგვარი გმირობის ავტორი ამჯერად „ფილადელფია ფლაიერზი" გახდა. 0:3-ის შემდეგ ნებისმიერი შეხვედრის მოგება რთულია, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ სერიაზე. „ბოსტონისა" და „ფილადელფიას" მეშვიდე შეხვედრამ სრულად გაიმეორა მთელი სერიის სცენარი და სამუდამოდ შეიყვანა **პეტერ ლავიოლეტის** გუნდი ისტორიაში.

ზედიზედ სამი მატჩის წაგების შემდეგ, „ბოსტონი" მძიმე ფსიქოლოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა, საიდანაც გამოსვლა მეშვიდე მატჩში სწრაფ გოლს ან უფრო უკეთესი - ორ გოლს თუ შეეძლო. „დათვებმა" გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და მე-15 წუთისთვის უკვე 3:0-ს იგებდნენ. ბევრი გულშემატკივარი ამის შემდეგ, ალბათ, დასაძინებლად წავიდა და ძალიანაც შეცდა - „ფილადელფიამ" ამ ჩამორჩენის გაბათილებაც შეძლო.

სტუმართაგან პირველი შაიბა ნორჩმა **ვან რიმსდიკმა** გაიტანა, რომელმაც მეკარის მოგერიებულს დაამატა. ასევე ასხლეტილი შაიბები გავიდა „ბოსტონის" კარში დარჩენილ სამ შემთხვევაშიც. მეორედ შაიბას **ჰარტნელი** დაუდარაჯდა, მესამედ - **ბრიერი**, ხოლო გადამწყვეტი გოლის ავტორი **საიმონ განიე** გახდა, რომელიც მოუშუშებელი ტრავმით დაბრუნდა ყინულზე და სერიის ოთხ შეხვედრაში ოთხი გოლი გაიტანა, საიდანაც ორი გამარჯვებისა იყო.

მაშ ასე, აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალში „მონრეალს" „ფილადელფია" შეხვდება. გასაოცარია, რომ სტენლის თასის ფინალში გასასვლელად კონფერენციის მეშვიდე და მერვე გუნდები იბრძოლებენ. დასავლეთში სრულიად საპირისპირო სიტუაციაა - იქ პირველობისთვის პირველი და მეორე განთესვის ნომრების მფლობელები - „სან ხოსე" და „ჩიკაგო" დაიწყებენ ურთიერთობის გარკვევას.

**ბოსტონი-ფილადელფია 3:4**

3:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 რაიდერი-4 (რეკი-4, ხარა-5), 2:0 ლუჩიჩი-4 (ვიდემანი-11, ბოიჩუკი-4), 3:0 ლუჩიჩი-5, 3:1 ვან რიმსდიკი-1 (ცირუ-6), 3:2 ჰარტნელი-2 (ლეინო-4, ბრიერი-8), 3:3 ბრიერი-7 (ჰარტნელი-4), 3:4 საიმონ განიე-4 (მ. რიჩარდსი-12, ლეინო-5).

**სერია: 3:4**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

II ეტაპი

E ჯგუფი

**სლოვაკეთი-დანია 0:6**

0:6, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 რეგინი-2 (ბოდკერი-1, ნილსენი-1), 0:2 ლარსენი-2 (დამგაარდი-2, რეგინი-3), 0:3 კრისტენსენი-1 (მ. გრინი-1, რეგინი-4), 0:4 მადსენი-1 (ნილსენი-2, ელერი-1), 0:5 მ. გრინი-1 (დეგნი-2), 0:6 ლასენი-2 (ელერი-2, მადსენი-1).

**ფინეთი-ბელარუსი 2:0**

0:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 იმონენი3 (მიეტინენი-1), 2:0 პიტონენი-1 (პილსტრიომი-1, პუისტოლა-2).

**რუსეთი-გერმანია 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-2 (ფროლოვი-1, ემელინი-1), 2:0 კულემინი-1 (აფინოგენოვი-2, კოზლოვი-2), 2:1 ერჰოფი-1 (ვოლფი-1, ჰოსპელტი-1), 3:1 ოვეჩკინი-4 (სიომინი-3), 3:2 ბარტა-1 (კროიტცერი-1, ფელსკი-1).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. რუსეთი - 9 ქულა (+5); 2. დანია - 6 (+7); 3. ფინეთი - 6 (0); 4. გერმანია - 3 (0); 5. სლოვაკეთი - 3 (-11); 6. ბელარუსი - 0 (-6).

F ჯგუფი

**კანადა-ნორვეგია 12:1**

1:1, 7:0, 4:0

**გოლები:** 0:1 ჰოლოში-1, 1:1 ე. კეინი-1 (მ. სტაალი-1), 2:1 პერი-2 (რასელი-3, უიტნი-5), 3:1 ჯორდანო-3 (დუშენი-3, ებერლე-1), 4:1 ტავარესი-4, 5:1 პეველი-1 (ე. კეინი-2, ებერლე-2), 6:1 დაუნი-2, 7:1 უიტნი-1 (ბერნსი-3), 8:1 ე. კეინი-2 (ებერლე-3, პეველი-2), 9:1 ებერლე-1 (პეველი-3), 10:1 ტავარესი-5 (პერი-4), 11:1 ტავარესი-6 (ბერნსი-4), 12:1 დუშენი-2 (ბოშემენი-1, უიტნი-6).

**შვედეთი-ლატვია 4:2**

3:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პააიარვი-სვენსონი-3 (ჰედმანი-1), 1:1 კარსუმსი-2 (სპრუკტსი-2), 2:1 ეკმან ლარსონი-1 (პეტერსონი-1, ნიულანდერი-2), 3:1 ნიულანდერი-1 (ვალინი-4, ბეკმანი-2), 3:2 კარსუმსი-3 (სპრუკტსი-3), 4:2 მარტენსონი-1 (გუნარსონი-1, პააიარვი-სვენსონი-3).

**შვეიცარია-ჩეხეთი 3:2**

2:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პლუსი-4 (ბეზინა-2, რუტემანი-3), 2:0 ამბული-3 (ბრუნერი-3, მონე-2), 2:1 მარეკი-1 (ვორაჩეკი-1), 3:1 ამბული-4 (ჰელბლინგი-1), 3:2 ბლატაკი-2 (ჩერვენკა-1).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. შვეიცარია - 9 ქულა (+6); 2. კანადა - 6 (+13); 3. შვედეთი - 6 (+4); 4. ნორვეგია - 3 (-13); 5. ჩეხეთი - 3 (-1); 6. ლატვია - 0 (-9).

მძლეოსნობა

# პაუელმა მოგებით დაიწყო

კატარის დედაქალაქ დოჰაში პრესტიჟული კომერციული სერიის - „ბრილიანტის ლიგის" პირველი ეტაპი გაიმართა. ისტორიულმა სტარტმა გულშემატკივართა მოლოდინი გაამართლა, თუმცა თავად დოჰას სტადიონის ტრიბუნები ბოლომდე შევსებული არ ყოფილა. მონაწილეებს ამინდმაც არ შეუწყო ხელი - მათ ქარი და აუტანელი სიცხე დახვდათ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დისციპლინაში სეზონის საუკეთესო შედეგი დაფიქსირდა.

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ყურადღება მამაკაცთა სპრინტს დაეთმო, სადაც იამაიკელი გრანდი **ასაფა პაუელი** გამოდიოდა. რაც შეეხება მის მთავარ კონკურენტებს - **უსაინ ბოლტსა** და **ტაისონ გაის**, მათ დოჰას ტურნირის გამოტოვება გადაწყვიტეს. პაუელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ წელს ბოლტის რეკორდის დამხობას აპირებს, თუმცა მისგან დოჰას ეტაპზე ამგვარ გმირობას არავინ მოითხოვდა, რაც არ უნდა იყოს, ეს მხოლოდ სეზონის დასაწყისია და სპორტსმენები ჯერ შორს არიან ოპტიმალური სპორტული ფორმისგან.

100 მეტრზე შედეგები სავსებით პროგნოზირებადი აღმოჩნდა. ასაფას გარდა, კიდევ სამი იამაიკელი სპრინტერი - **ნესტა კარტერი, მაიკლ ფრეიტერი** და **კლარკ ლეორუნი** გავიდა ფინალში. მათ შეუერთდნენ ამერიკელები **ტრევის პაჯეტი** და **რაე მონზავუ ედვარდსი**, ნორვეგიელი **ჯეისუმა საიდი ნდურე** და იტალიელი **სიმონე კოლიო**.

პაუელმა თავისი კარგი მზადყოფნა ნახევარფინალურ გარბენში დაადასტურა, როცა დისტანცია 9,75 წამში დაფარა. ფინალში ასაფას უფრო მოკრძალებული შედეგი ჰქონდა - 9,81 წამი, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად. მის გარდა კიდევ ოთხმა სპრინტერმა შეძლო 10 წამზე ნაკლებ დროში ჩატევა. ეს ვერ მოახერხა ამერიკელმა ედვარდსმა, რომელმაც სტარტის წინ განაცხადა, რომ თვით უსაინ ბოლტის დასამარცხებელი ტაქტიკა შეიმუშავა. ედვარდსის დრო 10,09 წამი იყო. როგორც ჩანს, ამერიკელის ტაქტიკა არ მოქმედებს ან უშუალოდ ლეგენდარულ იამაიკელთან დუელში აპირებს მის გამოყენებას.

მაშ ასე, სეზონი გახსნილად შეიძლება ჩაითვალოს. უკვე რამდენიმე მაღალი შედეგია ნაჩვენები, რომელიც კიდევ გაუმჯობესდება. „ბრილიანტის ლიგის" მომდევნო ეტაპი 23 მაისს შანხაიში გაიმართება.

**ბრილიანტის ლიგა**

I ეტაპი. დოჰა (კატარი)

კაცები

**100 მ.** 1. ასაფა პაუელი (იამ) - 9,81; **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.43,00 (სეზონის ლიდერი); **5000 მ.** 1. ელიუდ კიპჩოგე (კენ) - 12.51,21 (სეზონის ლიდერი); **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. ეზეკილ კემბოი (კენ) - 8.06,28 (სეზონის ლიდერი); **400 მ/თარჯრბენი.** 1. ბერშოუნ ჯექსონი (აშშ) - 48,66; **სამხტომი.** 1. ალექსის კოპელო (კუბ) - 17,47 (სეზონის ლიდერი); **ბირთვის კვრა.** 1. კრისტიან კანტველი (აშშ) - 21,82 (სეზონის ლიდერი).

ქალები

**200 მ.** 1. კერონ სტიუარტი (იამ) - 22,34; **400 მ.** 1. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 50,15 (სეზონის ლიდერი); **1500 მ.** 1. ნენსი ჯებეტ ლანგატი (კენ) - 4.01, 63; **100 მ/თარჯრბენი.** 1. ლოლო ჯონსი (აშშ) - 12,63; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 1,98; **ჭოკით ხტომა.** 1. ზილკე შპიგელბურგი (გერ) - 4,70 (სეზონის ლიდერი); **ბადროს ტყორცნა.** 1. იარელის ბარიოსი (კუბ) - 64,90; **შუბის ტყორცნა.** 1. მარია აბაკუმოვა (რუს) - 68,89 (სეზონის ლიდერი).

კალათბურთი

## ევროპულ კალათბურთს ახალი შეფი ჰყავს

ოთხი წლის განმავლობაში FIBA-ის ევროპული განყოფილების ხელმძღვანელი ისლანდიელი **ოლაფურ რაფნსონი** იქნება. მიუნხენში გამართულ FIBA-Europe-ის გენერალურ ასამბლეაზე ევროპული ფედერაციების 51 წარმომადგენლიდან ისლანდიელის კანდიდატურას 32-მა დაუჭირა მხარი.

FIBA-Europe-ის ახალი პრეზიდენტი ადრე მოთამაშე და მწვრთნელი იყო. მოგვიანებით ისლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ, შედიოდა FIBA-ის ალმასკომში... არჩევნებში რაფნსონის კონკურენტი თურქი **თურგაი დემირელი** იყო.

ადრე FIBA-Europe-ის პრეზიდენტის პოსტი ბერძენ **გიორგოს ვასილაკოპულოსს** ეკავა.

## პარკერს ტურიაფმაც მიჰბაძა

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის NBA-ის კიდევ ერთი ლეგიონერი დაკარგა. „სან ანტონიო სპურსის" მცველ **ტონი პარკერის** შემდეგ, პლანეტის პირველობაზე თამაში იუარა „გოლდენ სტეიტის" ფორვარდმა **რონი ტურიაფმა**, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს. რონი უახლოეს დღეებში გაივლის სამედიცინო შემოწმებას, რომელმაც უნდა გაარკვიოს, სჭირდება თუ არა ფრანგს ოპერაციის ჩატარება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ორლანდო-ბოსტონი | 88:92 |
| **გერმანია** | |
| გეტინგენი-ბრემერჰავენი | 83:78 |
| ალბა-სკაილაინერსი | 87:76 (ო) |
| ტელეკომი-ბამბერგი | 82:84 |
| ოლდენბურგი-ბრაუნშვაიგი | 66:70 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-პანელინიოსი | 88:58 |
| ოლიმპიაკოსი-მარუსი | 69:53 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ხუვენტუდი | 96:94 |
| ალიკანტე-ბარსელონა | 68:85 |
| ბრუესა-ფუენლაბრადა | 80:75 |
| რეალი-მანრესა | 81:79 |
| სევილია-გრან კანარია | 70:65 |
| ობრადოირო-ესტუდიანტესი | 78:88 |
| ბილბაო-ვალიადოლიდი | 86:77 |
| მურსია-გრანადა | 70:76 |
| უნიკახა-კახა ლაბორალი | 70:62 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-მილანი | 91:59 |
| ბიელა-ფერარა | 82:79 |
| ვანოლი-აველინო | 81:76 |
| ვირტუსი-სიენა | 66:87 |
| კაზერტა-რომა | 85:69 |
| მონტეგრანარო-ტერამო | 87:81 |
| სკავოლინი-ვარეზე | 89:84 |

| საფრანგეთის თასი | |
|---|---|
| **ფინალი** | |
| გრაველენი-ორლეანი | 69:73 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| სან ხოსე-ჩიკაგო | 1:2 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| აშშ-საფრანგეთი | 4:0 |
| იტალია-ყაზახეთი | 2:1 |
| ლატვია-ნორვეგია | 5:0 |
| რუსეთი-დანია | 6:1 |
| გერმანია-ბელარუსი | 1:1 დ.დ. 0:1 |
| კანადა-შვედეთი | 1:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მადრიდი** | |
| **ნადალი**-ალმაგრო | 4:6, 6:2, 6:2 |
| **ფედერერი**-ფერერი | 7:5, 3:6, 6:3 |
| **ნადალი**-ფედერერი | 6:4, 7:6 |
| **ATP. ნიცა** | |
| სეპი-ბერერი | 6:3, 7:5 |
| ნიემინენი-**სტახოვსკი** | 6:2, 3:6, 4:6 |
| **ATP. მს. ჩემპიონატი** | |
| კოლშრაბიერი-**შარდი** | 2:6, 4:6 |
| მატიო-ა. ბეკი | 6:7, 7:6, 4:6 |
| სებალიოსი-კრაინოვიჩი | 6:1, 6:4 |
| **კუერი**-ლუჩაკი | 6:7, 7:6, 6:3 |
| ხიმენო ტრავერო-**ჰაიეკი** | 2:6, 2:6 |
| ისნერი-**ჰიუიტი** | 2:6, 4:6 |
| **WTA. მადრიდი** | |
| **რეზაი**-საფაროვა | 6:1 უარი |
| **ვ. უილიამსი**-პეერი | 6:3 6:0 |
| ვ. უილიამსი-**რეზაი** | 2:6, 5:7 |

TV პროგრამა

**17 მაისი. ორშაბათი**

**I არხი**

14:00 კალათბურთი. ფინალი. სტუ-ენერჯი
22:00 არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
08:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია.
12:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
13:10 100% დინამო.
13:30 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი.
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:10 ტრიატლონი.
19:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-სამპდორია.
21:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
22:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია.
02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰამბურგი.
04:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-რომა.
06:40 100% დინამო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:00 ცერემონია - „წლის სპორტული გმირი".
09:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
09:55 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ავსტრია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
11:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. საუკეთესო მატჩები. ხიმკი-რეალი.
15:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსაკა. იაპონია.
17:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლევერკუზენი-მაინცი.
19:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:55 ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ავსტრია-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
21:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-იუვენტუსი.
00:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:55 კალათბურთი. ევროლიგა. საუკეთესო მატჩები. ხიმკი-რეალი.
02:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
04:25 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსაკა. იაპონია.

**EUROSPORT**

10:30 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
10:45 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კიალამი. ს. აფრიკა.
11:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VIII ეტაპი. იტალია.
12:30 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. I ეტაპი. აშშ.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
16:40 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
16:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IX ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. I ეტაპი. აშშ.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ევროგოლი - ფაბიო კაპელო.
22:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
02:30 ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. II ეტაპი. აშშ (LIVE).
03:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.

ველოსპორტი — ჯირო დ'იტალია

**VI ეტაპი**

**ფიდენცა-დი კარარა. 172 კმ**

1. **მეტიუ ლოიდი** (ავსტრა, Omega Pharma-Lotto); 2. **რუბენს ბერტოლიატი** (შვეიც, Androni Giocattoli) - +1,08; 3. **დანილო ჰონდო** (გერ, Lampre) - +1,20; 4. **მანუელ ბელეტი** (იტა, Colnago-CSF) - იგივე დრო; 5. **ფილიპო პოცატო** (იტა, Team Katyusha) - იგივე დრო; 6. **ვილიამ ბონე** (საფ, Bbox) - იგივე დრო...

**VII ეტაპი**

**დი კარარა-მონტალჩინო. 220 კმ.**

1. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - 5.13,37; 2. **დამიანო კუნეგო** (იტა, Lampre) - +0,02; 3. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana) - +0,02; 4. **მარკო პინოტი** (იტა, HTC-Columbia) - +0,06; 5. **ვლადიმირ კარპეცი** (რუს, Caisse d'Epargne) - +0,12; 6. **სტეფანო გარძელი** (იტა, Acqua e Sapone) - +0,27...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Team Astana); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +1,12; 3. **დევიდ მილარი** (ბრიტ, Garmin-Transitions) - +1,29; 4. **ვლადიმირ კარპეცი** (რუს, Caisse d'Epargne) - +1,30; 5. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - +1,33; 6. **მარკო პინოტი** (იტა, HTC-Columbia) - +1,40...

# რაფას რევანში და რეზაის სენსაცია

სენსაციურად დასრულდა მადრიდში ქალებს შორის „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირი. ყველასთვის მოულოდნელად მთავარი პრიზი - 620 ათასი ევრო ირანული წარმოშობის ფრანგმა **არავან რეზაიმ** მოიპოვა.

არადა, ამ ჩოგბურთელისგან ასეთ პროგრესს არავინ ელოდა. ბარსელონისა და რომის ტურნირებზე, რომელიც წინ უძღოდა მადრიდის ჩემპიონატს, რეზაი შესაბამისად, პირველ და მეორე წრეებში გამოეთიშა ბრძოლას. აქ კი არნახულ შედეგს მიაღწია - პირველად კარიერაში ტოპათეულის ორი წევრი დაამარცხა და მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ერთი სეტი დათმო.

ფინალში რეზაის მეტოქე ამერიკელი **ვენუს უილიამსი** იყო, რომელიც დღეიდან WTA-ის რეიტინგის მეორე ჩოგანი გახდება. ვენუსისთვის ეს საიუბილეო, 70-ე ფინალი იყო კარიერაში. უფროს უილიამსს აქამდე თიხნარზე 10 ტიტული ჰქონდა მოგებული და ამ საფარზე წელს 13-დან 12 მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. შესაბამისად, ბევრს არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ვენუსი კლასით დაბალ მეტოქესთან გამარჯვებას მოიპოვებდა.

მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. რეზაიმ თითქმის უნაკლოდ ითამაშა პირველ სეტში. მის ანგარიშზე მხოლოდ ხუთი უნებლიე შეცდომა იყო და ამის წყალობით ფრანგმა მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო ამერიკელს - 2:6.

სამაგიეროდ, მეორე სეტში არავანმა შეცდომებს უმატა და მათმა საერთო რიცხვმა 26 შეადგინა. ვენუსი ვალდებული იყო სეტებს შორის ანგარიში გაეთანაბრებინა. ის ჯერ 2:0-ს იგებდა, შემდეგ 3:1-ს, 5:3-ზე კი მატჩზე აწვდიდა. სწორედ ამ დროს ამერიკელის თამაშში რაღაც მოიშალა, რეზაიმ კი ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სხვათა შორის, ერთხელ (4:5-ზე) ფრანგს სეტ-პოინტის მოგერიებაც მოუწია.

ეს 23 წლის რეზაის მესამე ტიტულია კარიერაში, თუმცა „პრემიერ“ კატეგორიის ტურნირი კარიერაში პირველად მოიგო.

■ ■ ■

გუშინდელი დღის მთავარი მატჩი კი, რა თქმა უნდა, **როჯერ ფედერერისა** და **რაფაელ ნადალის** ფინალი იყო. ეს ჩოგბურთელები შარშანაც გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება (6:4, 6:4) შვეიცარიელმა მოიპოვა, ახლა კი ესპანელმა შეძლო რევანშის აღება. სხვათა შორის, შარშანდელი ფინალის შემდეგ ეს პრინციპული მეტოქეები დღემდე აღარ შეხვედრიან ერთმანეთს.

წლევანდელ ფინალში, რომელიც 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა, მაყურებელმა სულ 7 ბრეიკი იხილა. პირველ სეტში ნადალმა ამ მაჩვენებლით 2:1 მოიგო, რაც სეტში ასეთ ანგარიშში გამოისახა - 6:4. მეორე პარტიაში მეტოქეებმა ორ-ორი ბრეიკი გაცვალეს. ფედერერმა 2:4-დან შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ტაი-ბრეიკზე მაინც წააგო (5:7) და დათმო შარშან მოპოვებული ტიტული. ახლა ნადალსა და ფედერერს შორის ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში გახდა - 14:7 ესპანელის სასარგებლოდ.

ნადალმა 585 ათასი ევრო გამოიმუშავა, რეიტინგში სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** გაუსწრო და მეორე ადგილი დაიბრუნა. მაგრამ რაფას მთავარი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ მან კარიერაში მე-18 მასტერსი მოიგო და ყველა დროის რეკორდსმენი გახდა. აქამდე 17 ტიტულით ნადალი პირველ-მეორე ადგილს იყოფდა ლეგენდარულ ამერიკელ **ანდრე აგასისთან**.






### ATP
### Madrid Open

მადრიდი (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 3:6, 6:1, 6:4; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-გაელ მონფილსი (საფ, 12) 6:1, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 9)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 3) 7:5, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6) 6:3, 6:1.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) 4:6, 6:2, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-დავიდ ფერერი (ესპ, 9) 7:5, 3:6, 6:3.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 6:4, 7:6(5).

### WTA
### Madrid Open

მადრიდი (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ვენუს უილიამსი (აშშ, 4)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 8) 6:3, 6:3; **არავან რეზაი (საფ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 7) 7:5, 6:4; **შაარ პეერი (ისრ)**-ნა ლი (ჩინ, 13) 6:4, 3:6, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ნადია პეტროვა (რუს, 16) 6:1, 1:6, 6:4.

**1/2 ფინალი**

**არავან რეზაი (საფ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:1 საფაროვას უარი; **ვენუს უილიამსი (აშშ, 4)**-შაარ პეერი (ისრ) 6:3 6:0.

**ფინალი**

**არავან რეზაი (საფ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 4) 6:2, 7:5.




# კიმი როლან გაროსის მიღმა

## უიმბლდონს ბრიტანეთის დედოფალი დაასწრებს

სანამ წამყვანი ჩოგბურთელები მადრიდში ბოლო რეპეტიციას გადიოდნენ როლან გაროსის წინ, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ **კიმ კლაისტერსი** მონაწილეობას ვერ მიიღებს საფრანგეთის ღია პირველობაზე.

ბელგიელმა ჩოგბურთელმა როლან გაროსზე გამოსვლა საბოლოოდ მას შემდეგ იუარა, რაც ტომოგრაფიის ახალი შედეგები გაიგო. კიმი ვერ ასწრებს ფეხის ტრავმის მკურნალობას, რომელიც ფედერაციის თასზე ესტონეთთან მატჩის დროს მიიღო.

*„ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ შევძლებ როლან გაროსზე გამოსვლას. პარიზი ყოველთვის ჩემს მეორე სახლად მიმაჩნდა. სწორედ იქ ვითამაშე კარიერაში „დიდი სლემის“ პირველი ფინალი. უნდა ვაღიარო, რომ ტრავმამ დამამარცხა. ახლა გავაგრძელებ აღდგენით პროცესს, რათა სრულ მზადყოფნაში შევხვდე ბალახის სეზონს“*, - განაცხადა 26 წლის კიმმა.

კლაისტერსი როლან გაროსის ერთადერთი დანაკლისი არ გახლავთ. ამ დღეებში ასევე გაირკვა, რომ პარიზში ვერ ითამაშებს ATP-ის ტოპათეულის წევრი, რუს **ნიკოლაი დავიდენკო**. მისი ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა რუსმა - **იგორ ანდრეევმა**. უფრო ადრე იყო ცნობილი, რომ საფრანგეთის ღია პირველობას დააკლდებოდნენ არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო**, გერმანელი **ტომი ჰაასი** და ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**.

როგორც ტურნირის ოფიციალური ვებგვერდზე წერია, ამ ჩოგბურთელებს ძირითად ბადეში პოლონელი **მიხალ პრსიეუნი**, ესპანელი **დანიელ ხიმენო-ტრავერო**, იტალიელი **პაოლო ლორენცი**, ბრაზილიელი **რიკარდო მელო** და სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონი** შეცვლიან.

საფრანგეთის ღია პირველობა 24 მაისს დაიწყება.

■ ■ ■

როგორც გაზეთი „ტელეგრაფი“ წერს, ბრიტანეთის დედოფალი **ელიზაბეტ II** წელს უიმბლდონის ტურნირზე დასწრებასა და შოტლანდიელ **ენდი მიურეის** გულშემატკივრობას აპირებს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ დედოფალი ბოლოს სახელგანთქმულ საჩოგბურთო ტურნირს შორეულ 1977 წელს სტუმრობდა. ის შარშან აპირებდა მამაკაცთა ტურნირის ფინალის დასწრებას, მაგრამ მაშინ მიურეიმ ვერ შეძლო გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობა, რადგან ნახევარფინალში წააგო ამერიკელ **ენდი როდიკთან**.

ბოლო ბრიტანელი, რომელმაც უიმბლდონზე მამაკაცებს შორის მთავარი პრიზი მოიპოვა, **ფრედ პერი** გახლდათ. მისი ტრიუმფი 1936 წლით თარიღდება. 1977 წელს ელიზაბეტ II-მ გამარჯვება მოულოცა ქალებს შორის უკანასკნელ ბრიტანელ გამარჯვებულს **ვირჯინია უეიდს**.

წელს უიმბლდონი 21 ივნისს დაიწყება და 4 ივლისს დასრულდება.



# ჯონსის დებიუტი

ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სკანდალურად ცნობილი მძლეოსნის - **მერიონ ჯონსის** დებიუტი შედგა. ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა რეგულარული ჩემპიონატის პირველ ტურში „ტულსის“ მაისურით „მინესოტა ლინკსის“ წინააღმდეგ ითამაშა.

ჯონსის გუნდმა 74:80 წააგო, თავად მერიონმა კი მოედანზე სამი წუთი და 19 წამი დაყო. ყოფილ მძლეოსანს განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია. მისთვის გამოყოფილ დროში ჯონსმა ერთი პერსონალური მიიღო, ხოლო სარგებლიანობის მაჩვენებელი - „მინუს 4“ ჰქონდა.

*„ვიცი, რომ ხალხი ჩემგან მეტს ელოდება. ისინი ფიქრობენ, რომ თუ მოედანზე გავედი, იქ აუცილებლად 40 წუთი უნდა გავატარო. მაგრამ ეს ასე უცებ არ ხდება. ჩემი პარტნიორები გაცილებით გამოცდილები არიან და მათგან ხელმეორედ ვსწავლობ თამაშს“*, - თქვა ჯონსმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**